პროგრამა ითვალისწინებს, როგორც ახალი საქმიანობის ხელშეწყობას, ასევე არსებული საქმიანობის გაფართოება/მოდერნიზებას, რომელიც მიზნად ისახავს სოფლად სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობების, გარემოს დაცვის და კლიმატის ცვლილებების შერბილების ღონისძიებების მხარდაჭერას, ბუნებრივი რესურსების ენერგოეფექტური და განახლებადი ენერჯის გამოყენების ხელშეწყობას.

მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა

პროგრამის მიზანია კონკურენტუნარიანი და მდგრადი მეფუტკრეობის დარგის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

პროგრამის ფარგლებში, სააგენტოს თანადაფინანსება განისაზღვრება პროგრამით გათვალისწინებული სკების ღირებულების 50% არაუმეტეს 70 ლარი, არაუმეტეს 5,000 ლარი ერთ ბენეფიციარზე გადაანგარიშებით.

პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად პოტენციურ ბენეფიციარს უნდა ჰყავდეს არანაკლებ 10 ფუტკრის ოჯახი (არანაკლებ 10 სკა), ხოლო მოთხოვნილი სკების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს განაცხადის გაკეთების მომენტისთვის პოტენციური ბენეფიციარის საფუტკრე მეურნეობაში რეგისტრირებული ფუტკრის ოჯახების რაოდენობის 150%-ს.

პროგრამის აუცილებელი პირობაა, რომ პოტენციური ბენეფიციარი რეგისტრირებული იყოს ბიზნესოპერატორად და საფუტკრე დარეგისტრირებული ჰქონდეს ცხოველთა იდენტიფიკაციისა და მიკვლევადობის ეროვნულ სისტემაში (NAITS).

რეგიონები, პროექტები და ინვესტიციები

„მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა“ - პროექტების რაოდენობა და ინვესტიციები რეგიონების მიხედვით (01.01.2024-31.12.2024 წ.)

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციები (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)
აჭარა	1	1,500	700
გურია	3	14,000	7,000
თბილისი	1	1,500	700
იმერეთი	47	322,637	160,330
კახეთი	32	235,810	116,740
მცხეთა-მთიანეთი	7	20,290	9,940
რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი	23	89,320	44,508
სამეგრელო-ზემო სვანეთი	19	150,560	74,550
სამცხე-ჯავახეთი	14	72,430	34,960
ქვემო ქართლი	5	21,450	10,010
შიდა ქართლი	3	22,800	10,740
სულ	155	952,297	470,178

ირიგაციით უზრუნველყოფილ მიწის ნაკვეთებზე სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის პროგრამა

პროგრამის მიზანი კლიმატგონივრული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობაა;

პროგრამის ფარგლებში ფინანსდება ერთწლოვანი კულტურებისთვის თანამედროვე სარწყავი სისტემების, აგრომეტეოროლოგიური სადგურების, მზის ენერჯიაზე მომუშავე ელექტროსადგურების და სასათბურე მეურნეობების მოწყობა.

პროგრამის ფარგლებში ერთი ბენეფიციარის თანადაფინანსება ჯამურად განისაზღვრება არაუმეტეს 30,000 ლარით.

პროგრამით ისარგებლებს ყველა ის პირი რომელთა მიწის ნაკვეთიც წყალუზრუნველყოფილია „საქართველოს ირიგაციისა და მიწის ბაზრის განვითარების პროექტის“ ფარგლებში რეაბილიტირებული სარწყავი სისტემით. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, სადაც განხორციელდება პროექტი, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ბენეფიციარის საკუთრებად იყოს რეგისტრირებული ან/და მიღებული ჰქონდეს სახელმწიფოსგან/მუნიციპალიტეტის ორგანოსგან იჯარით.

სახელმწიფო პროგრამა „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“

პროგრამის მიზანია ქვეყნის მასშტაბით ბოსტნეულის წარმოების ხელშეწყობა თანამედროვე კლიმატგონივრული ტექნოლოგიების დანერგვის გზით.

პროგრამა ითვალისწინებს პოტენციური ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას დაფინანსების სახით, ახალი სასათბურე მეურნეობების მოსაწყობად (მათ შორის საბრუნავი საშუალებებისთვის).

პოტენციურ ბენეფიციარს შესაძლებლობა აქვს მიიღოს კომბინირებული სახის დაფინანსება, როგორც საგრანტო, ასევე პროგრამის ფარგლებში კომერციული ბანკის მიერ გაცემული კრედიტის არაუმეტეს 24 თვის საპროცენტო განაკვეთის სრული დაფინანსების სახით. კრედიტის მოცულობა უნდა შეადგენდეს არანაკლებ 50,000 ლარს და არაუმეტეს 1,000,000 ლარს, ხოლო საგრანტო დაფინანსება განისაზღვრება სესხის თანხის არაუმეტეს 30%-ით და გაიცემა ბენეფიციარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემდეგ. ამასთან ჯამური დაფინანსება განისაზღვრება გაცემული სესხის თანხის არაუმეტეს 50%-ით.

რეგიონები, პროექტები და ინვესტიციები

სახელმწიფო პროგრამა „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ - პროექტების რაოდენობა და სესხის ოდენობა რეგიონების მიხედვით (01.01.2024-31.12.2024 წ.)

რეგიონი	პროექტების რაოდენობა	ინვესტიციები (ლარი)	სახელმწიფო თანადაფინანსება (ლარი)
იმერეთი	8	783,000	385,845
კახეთი	3	720,000	360,000
მცეთა-მთიანეთი	2	117,000	58,500
სამეგრელო-ზემო სვანეთი	1	50,000	25,000
ქვემო ქართლი	2	300,000	150,000
შიდა ქართლი	8	550,000	271,483
სულ	24	2,520,000	1,250,828

ინოვაციური ტექნოლოგიების საგრანტო პროგრამა

პროგრამის მიზანია ფერმერთა ცოდნისა და უნარების განვითარების ხელშეწყობა საქართველოს რეგიონებში მყოფი მცირე ზომის ფერმერების პროდუქტიულობისა და შემოსავლის გაზრდის მხარდასაჭერად, სხვადასხვა ინოვაციური ტექნოლოგიების გაძლიერებისა და დანერგვის გზით.

პროგრამის ფარგლებში სააგენტოს თანადაფინანსების მოცულობა ერთ პოტენციურ ბენეფიციარზე ჯამურად შეადგენს შესასყიდი საქონლის ღირებულების არაუმეტეს 50%-ს, მაგრამ არაუმეტეს 5,000 ლარს, ხოლო ქალის შემთხვევაში არაუმეტეს 60%-ს, მაგრამ არაუმეტეს 5,000 ლარის.

პროგრამა განხორციელდება იმერეთის რეგიონსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში.

ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაციის პროგრამა

პროგრამა მიზნად ისახავს ქართული აგროსასურსათო პროდუქციის წარმოების განვითარებას, ექსპორტის ზრდასა და საექსპორტო პოტენციალის ხელშეწყობას. სახელმწიფოს მიერ გამოფენებში ქართველი მწარმოებლების მონაწილეობის მიღების ორგანიზება და მრავალმხრივი მხარდაჭერა, უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ბაზრების დივერსიფიცირების და ქართული აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობისთვის.

სოფლის განვითარების სააგენტოს მხრიდან გამოფენების ორგანიზებას უზრუნველყოფს საზოგადოებასთან ურთიერთობისა და მარკეტინგის დეპარტამენტი. 2024 წელს სააგენტოს ორგანიზებით ქართველმა მეწარმეებმა 8 საერთაშორისო გამოფენაში მიიღეს მონაწილეობა.

1. 19-28 იანვარს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე International Green Week Berlin 2024, 16 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი, მათ შორის საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.
2. 7-9 თებერვალს, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე FRUIT LOGISTICA 2024, 11 ქართული კომპანია იყო წარმოდგენილი.
3. 15-17 მაისს, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში, ქალაქ ბაქოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში CASPIAN AGRO 2024 8 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი.



4. 28-29 მაისს, ნიდერლანდების სამეფოში, ქ. ამსტერდამში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე Amsterdam Private Label Trade Show 2024 8 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი.
5. 2-4 სექტემბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, ქ. შენჭენში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე Sial Shenzhen 2024 6 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი.
6. 5-7 სექტემბერს, ლატვიის რესპუბლიკაში, ქ. რიგაში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში RIGA FOOD 2024 7 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი.
7. 16-19 სექტემბერს, საუდის არაბეთში ქ. რიადში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე Foodex Saudi 2024 10 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი.
8. 17-19 ნოემბერს, აშშ-ში, ქ. ჩიკაგოში გამართულ საერთაშორისო გამოფენაზე U.S. Private Label Trade Show 6 ქართული კომპანიის პროდუქცია იყო წარმოდგენილი.

2024 წელს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის 48 მწარმოებელ კომპანიას ჰქონდა შესაძლებლობა წარედგინა პროდუქცია სხვადასხვა საერთაშორისო გამოფენაში.

სულ გამოფენაში მონაწილეობის ხარჯი შეადგენს 2,062,747 ლარს, ხოლო გამოფენაში მონაწილეობის შედეგად მონაწილეების მიერ მიღებული/მისაღები სავარაუდო შემოსავალი 10,756,182 ლარს.



თარიღორია (საქართველო/უცხოეთი), ჩატარებული ღონისძიებები

„ქართული აგროსასურსათო პროდუქციის პოპულარიზაცია“ - ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა (2022-2024 წწ.)

წელი	უცხოეთში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა	საქართველოში ჩატარებული ღონისძიებების რაოდენობა
2022	6	1
2023	8	1
2024	8	2
სულ	22	4

ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი

პროექტის მიზანია საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული ყველა პირის (გარდა იმ პირებისა, რომლებიც სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას ეწევიან მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებული იურიდიული პირ(ებ)ის დაკვეთით ან/და გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე) აღრიცხვა, რაც შესაძლებლობას მისცემს სახელმწიფოს ფლობდეს ინფორმაციას, რომელიც გამოყენებული იქნება სამიზნე ჯგუფების სწორი შერჩევისათვის და მათთვის სხვადასხვა მასტიმულირებელი პროექტების/პროგრამების საჭიროებისამებრ დაგეგმვისა და განხორციელებისთვის.

„ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტი“ არეგულირებს ფერმათა/ფერმერთა ერთიანი რეესტრის სისტემას, რითაც მოხდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებული პირების, მათი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და მათ საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული სასოფლო-სამეურნეო აქტივების შესახებ ინფორმაციის ერთიან ელექტრონულ ბაზაში კონსოლიდაცია.

განხორციელებული ღონისძიებები

2024 წელს მიმდინარეობდა ტექნიკური სამუშაოები, მონაცემებზე ონლაინ წვდომის (ვებსერვისის) აწყობის თაობაზე, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოსთან, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსთან და სურსათის ეროვნულ სააგენტოსთან. ფერმერთა რეესტრში განხორციელდა, არსებული ველების ანალიზი და რედაქტირება/ცვლილებები.

2024 წელს, აქტივობის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შედეგად:

„ფერმათა/ფერმერთა რეგისტრაციის პროექტის“ ფარგლებში დარეგისტრირდა 20,775 ფერმერი/ფერმერული მეურნეობა. სულ პროექტის დაწყებიდან პროექტის ფარგლებში დარეგისტრირებული ფერმერების/ფერმერული მეურნეობების რაოდენობამ შეადგინა 212,005 ერთეული.

სასოფლო-სამეურნეო ექსტენსია

ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ რეგიონული სამსახურებისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების (ექსტენციის სამსახურების) ძირითადი ფუნქცია ფერმერებისათვის და აგრარულ სფეროში დასაქმებული სოფლად მცხოვრები მოსახლეობისათვის სასოფლო-სამეურნეო ექსტენციის განხორციელებაა - საოფისე, დისტანციურ და საველე პირობებში. ექსტენციის სამსახურები დარგობრივი მიმართულებით საინფორმაციო-საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელების პარალელურად, უზრუნველყოფენ სააგენტოს მიერ განხორციელებული და მიმდინარე პროგრამების/პროექტების შესახებ ინფორმირებას.

ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს რეგიონული სამსახურები და საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრები, ექსტენციის სერვისის გაძლიერების მიზნით, 2024 წლის განმავლობაში უზრუნველყოფენ მთელ რიგ აქტივობებს, კერძოდ:

- სოფლად გასვლითი შეხვედრები კარდაკარის პრინციპით;
- წარმატებული ისტორიების გაზიარება;
- ექსტენციონისტების ტრენინგები ფერმერებისთვის;
- ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურების გაწევა საოფისე, საველე და დისტანციურ პირობებში;
- დონორ ორგანიზაციებთან, ასოციაციებთან თანამშრომლობა და მათი მხარდაჭერით სხვადასხვა აქტივობების (განათლება, გამოცდილების გაზიარება) დაგეგმვა/ განხორციელება ფერმერთათვის;
- ექსტენციონისტების მიერ საზღვარგარეთ მიღებული ცოდნის და გამოცდილების გაზიარება ექსტენციის სამსახურებისათვის.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 9 რეგიონული სამსახურისა და 45 საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრის მიერ საერთო ჯამში განხორციელდა 34,415 კონსულტაცია. სოფლად, ადგილობრივ მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრების რაოდენობამ შეადგინა 1,040 ერთეული. საკონსულტაციო მომსახურება ხორციელდებოდა სხვადასხვა საშუალებით (ოფისში; სატელეფონო საუბრები; მოკლე ტექსტური შეტყობინება; დაინტერესებულ პირებთან ვიზიტი; სოფლებში ფერმერთან ჯგუფური შეხვედრები; შეხვედრები იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივ ცენტრებში; ელექტრონული ფოსტა და სოციალური ქსელები). კონსულტაციების მიმღებთა რაოდენობამ შეადგინა 43,296 ფიზიკური და იურიდიული პირი, მათ შორის 11,957 ქალი და 30,998 კაცი.

რეგიონი	სულ გაწეული კონსულტაციების რაოდენობა	კონსულტაცია სოფლად/გასვლითი შეხვედრა	კონსულტაციის მიმღები ბენეფიციარების რაოდენობა	კონსულტაციის მიმღები ქალების რაოდენობა	კონსულტაციის მიმღები კაცების რაოდენობა
სამეგრელო-ზემო სვანეთი	7,420	119	7,802	2,373	5,429
რაჭა-ლეჩხუმი ქვ სვანეთი	2,889	179	4,563	1,328	3,235
გურია	5,919	51	6,634	2,076	4,558
სამცხე-ჯავახეთი	1,170	114	2,899	448	2,110
იმერეთი	3,877	171	5,728	2,020	3,708
ქვ ქართლი	1,434	95	2,117	416	1,701
შ ქართლი	1,652	92	2,411	421	1,990
მცხეთა-მთიანეთი	922	62	1,293	388	905
კახეთი	4,072	157	4,789	1,281	3,508
სოციალური ქსელით და სატელეფონო საუბარი/შეტყობინება	5,060	0	5,060	1,206	3,854
სულ:	34,415	1,040	43,296	11,957	30,998

* სოციალური ქსელითა და სატელეფონო საუბარით/შეტყობინებით გაცემული კონსულტაცია არ ითვლება რეგიონის მიხედვით.

2024 წლის განმავლობაში აქტიურად მიმდინარეობდა ტრენინგები, გადამზადდნენ როგორც ექსტენციონისტები, ასევე ფერმერები დარგობრივ და არადარგობრივ მიმართულებებში

რეგიონი	თანამშრომელთა/ექსტენციონისტთა რაოდენობა	ფერმერთა რაოდენობა	სულ გავლილი ტრენინგები/ჯამურად
გურია	47	142	189
თბილისი	76	42	118
იმერეთი	146	144	290
კახეთი	309	300	609
მცხეთა-მთიანეთი	24	46	70
რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი	43	193	236
სამეგრელო ზემო-სვანეთი	143	210	353
სამცხე-ჯავახეთი	36	37	73
ქვემო-ქართლი	32	129	161
შიდა ქართლი	183	179	362
სულ	1039	1422	2461

ახალგაზრდა კადრების სოფლის მეურნეობის დარგით დაინტერესების მიზნით, 2024 წელს სტაჟირების პროგრამის ფარგლებში, რეგიონულ სამსახურებსა და მუნიციპალურ საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრებში ანაზღაურების გარეშე სტაჟირება გაიარა 6-მა ახალგაზრდამ. ხოლო, მიმდინარე პერიოდისათვის ანაზღაურებად სტაჟირებაზე იმყოფება 9 ახალგაზრდა.

საექსტენციო მომსახურების მეტი ხელმისაწვდომობის მიზნით, რეგიონული სამსახურები და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლები სარგებლობენ შემდეგი ელექტრონული პლატფორმებით:

- regions.mepa.gov.ge - ხდება ფერმერთა პრობლემებზე ოპერატიული რეაგირება; გაწეული კონსულტაციების აღრიცხვა; სტიქიების აღრიცხვა; ფერმერთა ტრენინგების აღრიცხვა; სხვადასხვა საინფორმაციო შეტყობინებების გაგზავნის შესაძლებლობები;
- elibrary.mepa.gov.ge - მოიცავს ელექტრონულ ბიბლიოთეკას; სადემონსტრაციო ნაკვეთების ეროვნულ ქსელს; ღონისძიებების კალენდარს; წარმატებულ პროექტებს; სიახლეების გამოწერის ველს;

2024 წელს, ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტომ, საექსტენციო მიმართულებით, გააგრძელა ორ მიმდინარე პროექტზე მუშაობა რომელიც 2022 წელს დაიწყო.

მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება

სოფლის განვითარების სააგენტო, გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერით პროგრამას „მრავალმხრივი საფრთხეების ადრეული გაფრთხილების სისტემის გაფართოება და კლიმატთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოყენება საქართველოში“ ახორციელებს.

პროგრამა გულისხმობს კახეთსა და შიდა ქართლში გავრცელებული ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მწარმოებლებისათვის ამინდის გათვალისწინებით შემუშავებული აგრორეკომენდაციების მიწოდებას.

პროგრამის მიზანია, ფერმერებისა და აგრობიზნესში ჩართული პირების შესაძლებლობების გაძლიერება და კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით ცნობიერების ამაღლება, იმისათვის, რომ მათ საკუთარი მეურნეობების მართვისას შეძლონ ამინდის ცვალებადობით გამოწვეული რისკების შემცირება პრევენციული ღონისძიებების გატარებით.

ამ მიზნით, აგრო-მეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელის აღჭურვილობისა და შესაძლებლობების გაუმჯობესებისათვის დაინერგება, GECSA-ს სისტემა. აღნიშნული სისტემა ვებპორტალზე დაფუძნებული ციფრული პლატფორმაა აგრო-მეტეოროლოგიური სერვისებისთვის. პროექტის სამიზნე რეგიონებში, კახეთსა და შიდა ქართლში ერთიან სისტემაში ჩაერთვება 15 ახალი და 19 რეაბილიტირებული მეტეოსადგური. დარგის სპეციალისტების მიერ მომზადდება აგრო-კლიმატური რუკები, კალენდრები და რეკომენდაციები 5 ძირითად კულტურასთან დაკავშირებით (ვაშლი, ვენახი, ატამი და ნექტარინა, ხორბალი, სიმინდი).

GECSA-ს სისტემას ოპერირებას გაუწევს სოფლის განვითარების სააგენტო, გარემოს ეროვნულ სააგენტოსა და სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან კოორდინაციაში. პროგრამის ფარგლებში, შემუშავებული რეკომენდაციები გაიცემა აგრო-მეტეოროლოგიურ მონაცემთა ბაზაში არქივირებული მეტეოროლოგიური და სასოფლო-სამეურნეო მონაცემების გაანგარიშების და ანალიზის საფუძველზე. აგრო-მეტეოროლოგიური საინფორმაციო პროდუქტები მოიცავს ისეთ ინფორმაციას, როგორცაა აქტიურ ტემპერატურათა ჯამი, დაგროვილი ნალექი, ნალექის სიხშირე და ბუნებრივი კატასტროფების ინდექსები (გვალვა, სიცხე, სიცივე და ა.შ.) და მავნე ორგანიზმების გავრცელების რისკის ინდექსები;

დარგის სპეციალისტების მიერ მომზადებული რეკომენდაციები, გასატარებელი აგროღონისძიებების შესახებ, გაეგზავნება მიზნობრივი რეგიონებიდან, კახეთიდან და შიდა ქართლიდან, პროგრამის ფარგლებში შერჩეული კულტურების, კერძოდ, ვაშლის, ვენახის, ატმისა და ნექტარინას, ხორბლის, სიმინდის მწარმოებლებს, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობრივი და ხარისხობრივი ზრდის უზრუნველსაყოფად.

პროგრამა პროექტის „კლიმატის ცვლილებით გამოწვეული კატასტროფების რისკის შემცირება საქართველოში“ ნაწილია, რომელიც ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ, კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), საქართველოს, შვედეთისა და შვეიცარიის მთავრობების ხელშეწყობით.

მიმდინარე წლის განმავლობაში პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შეიქმნა ტექნიკური სამუშაო ჯგუფი (TWG);
- საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლების მიერ შეგროვდა ისტორიული და ზოგადი აგრონომიული მონაცემები, მიმდინარეობს რეალურ დროში დაკვირვება და მონაცემების აღრიცხვა;
- ჩატარდა საბაზისო კვლევა; რომელიც მოიცავდა ფერმერების ინტერესების განსაზღვრას მათთვის აგროკონსულტაციების მიწოდების საჭიროების შესახებ.
- ჩატარდა შეხვედრები ფერმერებთან და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან;
- განხორციელდა ფერმერების ვიზიტი სადემონსტრაციო ნაკვეთებზე;
- შემუშავდა: კულტურებზე მცენარის განვითარების ფაზების, კლიმატური და მავნებლები-დაავადებების რისკების აგრო კალენდარი, ყოველთვიური და ყოველკვირეული სარეკომენდაციო რჩევები;
- სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრისა და საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრების თანამშრომლების მიერ შემუშავდა გადაწყვეტილების მიღების ხეები (CDT), როგორც რეგიონულ, ასევე მუნიციპალურ დონეზე;
- შეიქმნა GECSA-ს აპლიკაციის დემო ვერსია;

პროექტის ფარგლებში 6 სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფთან ჩატარდა პროექტის პრეზენტაცია და 300-მდე ფერმერთან ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრა, რაც გულისხმობდა, როგორც GECSA-ს სისტემის გაცნობას, ასევე მათს აპლიკაციაში რეგისტრაციაში დახმარებასა და იმ სადემონსტრაციო ნაკვეთზე ვიზიტს, სადაც განთავსებულია მეტეო სადგური.

პროექტში ჩართულ რეგიონებში მიმდინარე პერიოდისათვის დამონტაჟებულია და პროექტში ჩართულია გარემოს ეროვნული სააგენტოს 44 მეტეო სადგური, სოფლის განვითარების სააგენტოს 9 მეტეო სადგური და 1 მავნებლების იდენტიფიცირების მოწყობილობა. ასევე, 3D-ინოვაციური სადგური სეულის უნივერსიტეტისა და UNDP-ს მხარდაჭერით და მაშავის პროგრამის ფარგლებში გადმოცემული 2 მეტეო სადგური

„პროფესიული განათლების სისტემის მოდერნიზაცია საქართველოს სოფლის მეურნეობაში“

პროექტის მიზანია სასოფლო-სამეურნეო საექსტენციო მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც გულისხმობს ინოვაციური და კლიმატგონივრული ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციზე ხელმისაწვდომის ზრდას და ციფრული ექსტენციის სერვისების დანერგვას.

პროგრამა ხორციელდება UNDP-ს მხარდაჭერით იმერეთის, გურიის, სამცხე-ჯავახეთის, სამეგრელო-ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონებისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გეოგრაფიულ არეალში.

პროგრამის ფარგლებში, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან; პროგრამა მოიაზრებს ინოვაციური და ჯკვიანი სოფლის მეურნეობის საუკეთესო პრაქტიკების პოპულარიზაციას რეგიონებში, ასევე გათვალისწინებულია მცირე გრანტების პროგრამის განხორციელება.

2024 წელს პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები:

- შემუშავდა სტაჟირების სისტემის დანერგვისთვის რეკომენდაციის დოკუმენტი;
- გადამუშავებული სერვის-პორტფელის პილოტური დანერგვა აჭარისა და იმერეთის რეგიონებში - გულისხმობს საერთაშორისო ექსტენციის მოდელის მორგებული ვარიანტის წარდგენას აჭარისა და იმერეთის რეგიონების ექსტენციონისტებთან და სტუდენტებთან;
- გამოცხადდა სტარტაპ გრანტები რომლებიც მოიცავს ექსტენციის კომპონენტს და ცოდნის გადაცემის მექანიზმებს;
- გაიმართა შეხვედრები პროფესიული სასწავლებლების წარმომადგენლებთან იმერეთისა და აჭარის რეგიონებში;
- შემუშავდა ორი საექსტენციო პაკეტი: ხორბალი და კარტოფილი. დამატებით შემუშავდება წიწიბურა; როგორც ქართულ, ასევე სომხურ ენაზე - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებისთვის
- საერთაშორისო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების მიზნით 2024 წლის ივნისის თვეში განხორციელდა ვიზიტი ესპანეთის სამეფოში, კოოპერატივებთან, ფერმერთა ასოციაციასთან და მსხვილ მწარმოებლებთან;
- ექსტენციის სპეციალისტები მიიღებენ საჭირო ცოდნას და ინფორმაციას ახალ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით.

- დაიბეჭდა და გავრცელდა საინფორმაციო მასალები.
- განხორციელდა ტრენინგები ექსტენციის სამსახურების ინსტიტუციური გაძლიერებისა და მცირე ფერმერებისთვის ექსტენციის მომსახურების მოქნილი, მრავალფეროვანი და ეფექტური მიწოდების უზრუნველსაყოფად, მოეწყო სადემონსტრაციო დღეები, რომლის ფარგლებშიც როგორც ექსტენციონისტები, ასევე ფერმერები გადაყვანილ იქნენ სხვადასხვა ლოკაციებზე.
- იმერეთის და გურიის რეგიონებს გადაეცა საველე-ტექნიკური აღჭურვილობები;
- იმერეთის რეგიონის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა;
- განხორციელდა სამეგრელოსა და გურიის ფერმერების სასწავლო ვიზიტი ქობულეთის მუნიციპალიტეტის ციტრუსის საწარმოში

სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტების/პროგრამების სტატისტიკა გენდერულ ჯრით

პროექტების/პროგრამების 2024 წლის სტატისტიკა გენდერულ ჯრით 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

პროექტის/პროგრამის დასახელება	ხელშეკრულებების რაოდენობა/ბანკის მიერ გაცემული სესხების რაოდენობა/სადაზღვევო კომპანიების მიერ გაცემული პოლისების რაოდენობა რაოდენობა				უნიკალური ბენეფიციარების			
	რაოდენობა		რაოდენობა		რაოდენობა		რაოდენობა	
	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი/ მდედრობითი	ჯამურად (მათ შორის იურიდიული პირები)	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი/ მდედრობითი	ჯამურად (მათ შორის იურიდიული პირები)
შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი	71,825	10,917	-	90,473	37,694	7,788	-	48,255
სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“	3,100	905	393	5,465	2,536	774	384	4,467
„სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR)“ თანადაფინანსების პროგრამა	555	104	-	708	502	97	-	643
სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - "ახალგაზრდა მეწარმე"	147	96	-	244	146	96	-	243
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა	295	45	-	524	282	42	-	501

აგროდაზღვევის პროგრამა	136,779	40,550	-	179,097	48,012	21,318	-	69,654
აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	280	55	-	384	274	53	-	375
სოფლის განვითარების პროგრამა (UNDP)	27	10	-	77	25	10	-	70
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	2	1	-	49	2	1	-	48
მწვანე საგრანტო პროგრამა	81	21	-	106	81	21	-	106
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა	32	10	1	58	32	10	1	57
საპილოტე პროგრამა ქალებისთვის	-	100	-	100	-	100	-	100
მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა	46	55	-	114	46	55	-	114
ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამა	342	203	-	545	342	203	-	545
მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა	2,891	727	-	3,618	2,874	720	-	3,594
მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა	122	33	-	155	122	33	-	155
სახელმწიფო პროგრამა „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“	17	7	-	24	17	7	-	24
სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა	1,713	291	-	2,415	1,713	291	-	2,415
მერძეულობის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა (DIMMA)	604	741	-	1,359	594	581	-	1,188

პროექტის/პროგრამის დასახელება	თანადაფინანსება (ლარი)				ინვესტიციის ჯამური მოცულობა/ბანკის მიერ გაცემული სესხის ოდენობა/დაზღვეული მოსავლის ღირებულება (ლარი)			
	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი/ მდედრობითი	ჯამურად (მათ შორის იურიდიული პირები)	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი/ მდედრობითი	ჯამურად (მათ შორის იურიდიული პირები)
შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი	438,942,609	68,012,104	-	1,158,092,207	2,655,161,686	411,220,350	-	7,182,375,260
სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“	77,439,353	23,461,018	5,811,959	195,653,975	131,536,230	39,388,401	6,596,663	388,165,860
„სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR)“ თანადაფინანსების პროგრამა	8,014,988	1,725,303	-	15,207,568	20,178,179	4,331,992	-	38,545,332
სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - „ახალგაზრდა მეწარმე“	5,464,364	4,119,073	-	9,643,437	14,114,081	10,575,710	-	24,841,335
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა	15,585,041	2,369,082	-	34,204,963	39,474,738	5,947,475	-	92,854,771
აგროდაზღვევის პროგრამა	70,688,102	16,082,721	-	91,430,879	1,179,586,234	275,902,504	-	1,528,957,603
აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	6,542,600	1,588,574	-	9,651,127	12,911,121	4,105,069	-	20,171,540
სოფლის განვითარების პროგრამა (UNDP)	2,047,631	412,645	-	7,818,878	2,645,034	512,381	-	11,188,993
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	780,000	600,000	-	19,390,254	1,300,000	1,000,000	-	32,952,030
მწვანე საგრანტო პროგრამა	485,930	164,689	-	669,078	697,966	249,821	-	974,779
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა	306,226	124,879	1,300	610,118	471,670	180,570	1,857	925,668
საპილოტე პროგრამა ქალებისთვის	-	1,838,334	-	1,838,334	-	2,043,132	-	2,043,132
მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა	3,459,352	4,412,989	-	9,058,450	6,482,979	8,454,297	-	17,592,878
ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამა	90,642	54,346	-	144,987	259,603	159,892	-	419,495

მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა	4,001,376	993,599	-	4,994,975	5,972,100	1,464,417	-	7,436,517
მეფუტკერების მხარდაჭერის პროგრამა	370,283	99,895	-	470,178	750,227	202,070	-	952,297
სახელმწიფო პროგრამა „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“	1,014,828	236,000	-	1,250,828	2,048,000	472,000	-	2,520,000
სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა	29,173,681	4,400,203	-	47,151,371	87,825,762	13,037,249	-	146,136,852
მერძეულების დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა (DIMMA)	27,850,048	20,697,729	-	50,928,698	40,393,579	26,975,924	-	70,570,433

პროექტის/პროგრამის დასახელება	ფართობი (ჰა)			
	მამრობითი	მდედრობითი	მამრობითი/მდედრობითი	ჯამურად (მათ შორის იურიდიული პირები)
შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი	-	-	-	-
სახელმწიფო პროგრამა „დანერგე მომავალი“	10,698	3,061	277	26,040
„სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მოქნილობის (AMMAR)“ თანადაფინანსების პროგრამა	-	-	-	-
სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - "ახალგაზრდა მეწარმე"	-	-	-	-
სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა	-	-	-	-
აგროდაზღვევის პროგრამა	130,882	32,493	-	172,106
აგროწარმოების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა	-	-	-	-
სოფლის განვითარების პროგრამა (UNDP)	-	-	-	-
საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამა	-	-	-	-
მწვანე საგრანტო პროგრამა	-	-	-	-
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა	-	-	-	-

საპილოტე პროგრამა ქალებისთვის	-	-	-	-
მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო				
საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა	-	-	-	-
ენერგოეფექტური ღუმელების თანადაფინანსების პროგრამა	-	-	-	-
მაღალმთიან დასახლებებში სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის თანადაფინანსების პროგრამა				
მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა	-	-	-	-
სახელმწიფო პროგრამა „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“	-	-	-	-
სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა	-	-	-	-
მერძეუბის დარგის მოდერნიზაციისა და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა (DIMMA)	-	-	-	-
შელავათიანი აგროკრედიტის პროექტი	-	-	-	-

სოფლის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო დეპარტამენტი

ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“ საინფორმაციო დეპარტამენტი (ცხელი ხაზი 1501/153) ემსახურება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მასში შემავალი უწყებების საქმიანობით დაინტერესებულ პირებს, უწევს მათ პირველად კონსულტაციას და აწვდის ინფორმაციას 24 საათის განმავლობაში, როგორც სატელეფონო, ასევე ონლაინ სერვისის საშუალებით.

2024 წლის მაჩვენებლებით სატელეფონო მომსახურება გაეწია 96,629 დაინტერესებულ პირს, ხოლო ონლაინ სერვისის საშუალებით 7,446 დაინტერესებულ პირს.

2025 წელს იგეგმება საინფორმაციო დეპარტამენტის კონტაქტ ცენტრის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება მოთხოვნებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

2025 წელს იგეგმება საინფორმაციო ბიბლიოთეკის ციფრული პლატფორმის პროგრამული უზრუნველყოფის განახლება მოთხოვნებისა და თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

შენიშვნა: *ცხელი ხაზი 2013 წლიდან 2016 წლამდე ემსახურებოდა მხოლოდ ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“, 2016 წლიდან 2019 წლამდე ემსახურებოდა მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მასში შემავალ უწყებებს, ხოლო 2019 წლიდან გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მასში შემავალ უწყებებს.

**ონლაინ ჩეთი 2014 წლიდან 2016 წლამდე ემსახურებოდა მხოლოდ ა(ა)იპ „სოფლის განვითარების სააგენტოს“, 2016 წლიდან 2020 წლამდე ემსახურებოდა მხოლოდ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მასში შემავალ უწყებებს, ხოლო 2020 წლიდან დაემატა გარემოს ზედამხედველობის დეპარტამენტი.



ღვინის ეროვნული სააგენტო



www.rda.gov.ge

სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ძირითადი საქმიანობა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების ხელშეწყობაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, ღვინის ეროვნული სააგენტო რამდენიმე მიმართულებებით მუშაობს:

- მევენახეობის განვითარება;
- ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ექსპორტის ზრდის ხელშეწყობა;
- რთველის პროცესის ხელშეწყობა;
- ქართული ვაზის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია;
- ქართული ღვინის ადგილწარმოშობების სისტემის განვითარება;
- ღვინის ლაბორატორიული კვლევა.

2024 წელი საქართველოს მეღვინეობის ინდუსტრიისთვის წარმატებული იყო: საქართველოდან ქართული ღვინის და ალკოჰოლიანი სასმელების ექსპორტის რაოდენობამ და შემოსავლებმა მიაღწია რეკორდულ მაჩვენებელს, რეკორდული რაოდენობის ყურძენი დაბინავდა და გადამუშავდა რთველის პერიოდში, ქართული ღვინო პროდუქცია წარმოდგენილი იყო მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან საერთაშორისო გამოფენასა და ფესტივალზე, ქვეყნის მასშტაბით აქტიურად გაგრძელდა ქართული ღვინის პოპულარიზაციასა და მის სამომხმარებლო კულტურის ზრდაზე ორიენტირებული აქტიობები, განხორციელდა ღონისძიებები ქართული ღვინის ხარისხის მონიტორინგის მიმართულებით, გაგრძელდა ვენახების კადასტრის ეროვნული პროგრამა, გატარდა მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარებისკენ მიმართული სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ქართული ღვინის პოპულარიზაცია

ქართული ღვინის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია ღვინის ბაზრების დივერსიფიკაცია და საექსპორტო პოტენციალის ზრდის ხელშეწყობა, 2024 წელს 16 მილიონი ლარით განისაზღვრა, რაც 2 მილიონი ლარით აღემატებოდა 2023 წლის ანალოგიურ ბიუჯეტს.

ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო 24 საერთაშორისო გამოფენასა და 13 ფესტივალზე და 98 დეგუსტაცია-პრეზენტაციაზე, რომლებშიც სულ ჯამურად ქართული ღვინის 170 კომპანია მონაწილეობდა. ქართული ღვინის წარდგენები გაიმართა მსოფლიოს 21 ქვეყანაში: აშშ, პორტუგალია, ფინეთი, დანია, ავსტრია, ნორვეგია, იტალია, ნიდერლანდები, იაპონია, პოლონეთი, გერმანია, ჩინეთი, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, ბელგია, უნგრეთი, კორეის რესპუბლიკა, შვეიცარია, თურქეთი, ბრაზილია და ლატვია.

ქართული ღვინის პრიორიტეტული ბაზრებია აშშ, დიდი ბრიტანეთი, გერმანია, პოლონეთი, ბალტიისპირეთის ქვეყნები, ჩინეთი, სამხრეთ კორეა და იაპონია, სადაც ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, სხვადასხვა ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიები ახორციელებენ.

ადგილობრივ ბაზარზე ქართული ღვინოპროდუქციის მხარდაჭერის პოპულარიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ღვინის გამოფენები, კონკურსები, ტურები და ფესტივალები გაიმართა საქართველოს მასშტაბითაც, რაც მნიშვნელოვანია ღვინის ტურიზმის პოტენციალისა და ადგილობრივ მოსახლეობაში ღვინის მოხმარების კულტურის ზრდისთვის. პროგრამის ფარგლებში, თანადაფინანსების თანხამ 1 559 284 ლარი შეადგინა. ქართული ღვინო საქართველოში, წარმოდგენილი იყო 54 ღონისძიებაზე, მათ შორის, 17 გამოფენა/ფესტივალზე და 15 დეგუსტაცია-პრეზენტაციაზე, უცხოელი ღვინის პროფესიონალების მონაწილეობით გაიმართა 16 ღვინის ტური, ასევე გაიმართა კონკურსები და სიმპოზიუმი.

2024 წელს გაგართული, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერილი ღონისძიებებიდან აღსანიშნავია:

ქართული ღვინის წარდგენა საფრანგეთში

11-12 თებერვალს, 12 ქართული კომპანია წარმოდგენილი იყო ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაზე „RAW Wine Paris“; ასევე 12 კომპანია მონაწილეობდა 12-14 თებერვალს ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „VinExpo Paris“.

SIMPLEMENTE VINHO

23-25 თებერვალს, პორტუგალიის ქალაქ პორტოში გამართულ გამოფენაში „Simplesmente Vinho“ ქვევრის ღვინის მწარმოებელი 11 მარანი მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალებისა და სავაჭრო სფეროს წარმომადგენლებისთვის ქართული ღვინის დეგუსტაციები და გალავანში გაიმართა; ჩატარდა კონფერენცია „Qvevri, Dolia E Talha“, რომელიც ქვევრში ღვინის დაყენების ტექნოლოგიას მიეძღვნა. კონფერენციის დასრულების შემდეგ სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის „ჩვენს ძარღვებში ღვინო სჩქევს“ ჩვენება გაიმართა.

FOODEX JAPAN 2024

5-8 მარტს, ქართული ღვინის მწარმოებელი 16 კომპანია იაპონიის დედაქალაქში ტოკიოში კვებისა და სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „Foodex Japan 2024“ მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლებმა, სამომავლო თანამშრომლობის გაფართოების მიზნით, იაპონურ მარკეტინგულ და საკონსულტაციო კომპანიებთან შეხვედრები გამართეს.



PROWEIN DUSSELDORF 2024

10-12 მარტს გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების გამოფენაში ProWein Dusseldorf ქართული ღვინის მწარმოებელი 28 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის ოთხი პროფესიული პრეზენტაცია-დეგუსტაცია გაიმართა: პრესტიჟული გერმანული მედია პოლდინგის „Meininger“ სტენდთან დეგუსტაციას „საქართველო - ღვინის სამშობლო“ ღვინის მაგისტრები იანეკ შუმანი (Janek Schumann) და კონსტანტინ ბაუმი (Konstantin Baum), ხოლო სამ ღონისძიებას სახელწოდებით „ქართული ღვინის დღე“, ცნობილი ინფლუენსერი და სომელიე ტონი ასკიტისი (Toni Askitis) უძღვებოდნენ.

კონფერენცია გერმანიაში

12 მარტს, გერმანიის ქალაქ დუსელდორფში, ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზრებზე ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიების ხელმძღვანელების მონაწილეობით კონფერენცია გაიმართა. კომპანიების წარმომადგენლებმა საქმიანობის პრეზენტაციები წარმოადგინეს. აღინიშნა, რომ განხორციელებულმა ღონისძიებებმა უზრუნველყო ბოლო წლებში ქართული ღვინის ცნობადობის და ექსპორტის ზრდა. შეხვედრას ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციების: Colangelo & Partners (აშშ), Meiburg Wine Media (ჩინეთი), Swirl Wine Group (დიდი ბრიტანეთი), People PR (პოლონეთი), ff.k Public Relations (გერმანია) ხელმძღვანელები და ღვინის მაგისტრი ქესიდი დარტი (ჩინეთი) დაესწრნენ.

THE 108TH CHINA FOOD & DRINKS FAIR

20-22 მარტს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ ჩენგდუში ღვინისა და საკვების საერთაშორისო გამოფენა „The 108th China Food & Drinks Fair“ გაიმართა, ქართული ღვინის მწარმოებელი 21 კომპანიის მონაწილეობით. გამოფენის ფარგლებში, სპეციალურ სტენდზე, ღვინის მაგისტრმა ქესიდი დარტმა (ჩინეთი) სტუმრებს სხვადასხვა სახის ქართული ღვინო წარუდგინა.



TEXSOM-ის ღვინის საერთაშორისო კონკურსი

ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული მარკეტინგული კომპანიის „Colangelo & Partners“ ორგანიზებით, აშშ-ში, ტექსასის შტატის სომელიეთა კონფერენციის (TEXSOM) ღვინის საერთაშორისო კონკურსზე, სხვადასხვა ქართული კომპანიის 25-მა ღვინომ პლატინის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა. TEXSOM-ის კონკურსზე წარდგენილი იყო 50 ქართული კომპანიის სხვადასხვა სახეობის ის ქართული ღვინოები, რომლებიც უკვე იყიდება აშშ-ის ბაზარზე. გამარჯვებული 25 ღვინიდან ერთმა ღვინომ მოიპოვა პლატინის, ხუთმა ოქროს, ათმა ვერცხლის და ცხრამ ბრინჯაოს მედალი.

ქართული ღვინის წარდგენა გასტრონომიის ფესტივალებზე

მარტის თვეში, ქართული ღვინო საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის რამდენიმე პრესტიჟულ ფესტივალზე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasion“ ორგანიზებით იყო წარდგენილი. ფესტივალი „SAVIM Printemps Salon des Vignerons et de la Gastronomie“ ქალაქ მარსელში, „LA FETE des VINS et de la GASTRONOMI“ ქალაქ ტულონში, ხოლო „SALON DU VIN POUR PROFESSIONNELS“ ქალაქ ნიცაში გაიმართა. კომპანიის „Le Pont Caucasion“ ხელმძღვანელმა, საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა ილია კახოიძემ ფესტივალების სტუმრებს რვა ქართული ღვინის კომპანიის ის ღვინოები გააცნო, რომლებიც უკვე იყიდება საფრანგეთში.

გამოფენები „VINITALY“ და „ORANGE WINE FESTIVAL“

15 აპრილს, ქალაქ ვერონაში, გამოფენებში „Vinitaly“ და „Orange Wine Festival“ ქართული ღვინის მწარმოებელი ორი კომპანია და 25 საოჯახო მარანი მონაწილეობდა. ქართული ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაციისა და პოპულარიზაციისთვის, აღნიშნულ გამოფენებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან აქ თავს იყრიან ღვინის პროფესიონალები და სავაჭრო სფეროს წარმომადგენლები მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.



გერმანული ღვინის პროფესიონალების ტური

17-21 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერითა და სააგენტოს კონტრაქტორი გერმანული მარკეტინგული კომპანიის „ff.k Public Relations“ ორგანიზებით, საქართველოს გერმანელი ღვინის პროფესიონალების 10-კაციანი ჯგუფი სტუმრობდა. ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ სომელიეები, კომერციული სექტორის და მედიის წარმომადგენლები. 5-დღიანი ტურის ფარგლებში, სტუმრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო.

ქართული ღვინის დეგუსტაცია ამსტერდამში

21 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Wijnimport Bleeker “ ორგანიზებით, ნიდერლანდების სამეფოს დედაქალაქ ამსტერდამში ქართული ღვინის დეგუსტაცია-სემინარი გაიმართა. ღონისძიებას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში დავით სოლომონია და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მრჩეველი გიორგი თევზაძე დაესწრნენ.

„REAL WINE FAIR“

28-29 აპრილს, დიდი ბრიტანეთის დედაქალაქ ლონდონში ბუნებრივი ღვინის საერთაშორისო გამოფენა „Real Wine Fair“ გაიმართა, რომელშიც ქართული ღვინის მწარმოებელი 7 კომპანია მონაწილეობდა. გამოფენა „Real Wine Fair“ ყოველწლიურად იმართება და ბუნებრივი მეღვინეობის სფეროში წლის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან მოვლენად არის მიჩნეული.



RAW WINE LA

28-29 აპრილს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მწარმოებელმა შვიდმა საოჯახო მარანმა ამერიკის შეერთებულ შტატებში, გამოფენაზე „RAW Wine LA“ ქართული ღვინოები წარადგინა. გამოფენაზე „RAW Wine“ (The Artisan Wine Fair) მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიკური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან.

„ZERO COMPROMISE“

9 მაისს, თბილისში ბუნებრივი ღვინის ყოველწლიური ფესტივალი „ZERO COMPROMISE“ გაიმართა. ორდღიან ფესტივალში მონაწილეობდნენ ასოციაციის წევრი 100-მდე ადგილობრივი და 25-მდე სხვადასხვა ქვეყნის მარნები, მათ შორის, საფრანგეთიდან, იტალიიდან, ესპანეთიდან, ავსტრიიდან, იაპონიიდან, ავსტრალიიდან და სლოვენიიდან.

ახალი ღვინის ფესტივალი

13 მაისს, ახალი ღვინის ფესტივალი გაიმართა და მისი მიზანი ქართული ღვინის პოპულარიზაცია, ახალი მარნების წარმოჩენა, ღვინის ტურიზმისა და ღვინის სამომხმარებლო კულტურის განვითარების ხელშეწყობაა. ფესტივალში 200-მდე დიდი, საშუალო და მცირე მწარმოებელი მონაწილეობდა; მათ სტუმრებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონის 2023 წლის მოსავლის ღვინოები დააგემოვნებინეს.



„RAW WINE TOKYO“

12-13 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ღვინის მწარმოებელი 11 საოჯახო მარანი იაპონიის დედაქალაქ ტოკიოში გამართულ გამოფენაში „RAW Wine Tokyo“ მონაწილეობდა. გამოფენის „RAW Wine Tokyo“ სტუმრები ქართული ღვინოებს გაეცნენ, ასევე მიიღეს ინფორმაცია ქართული ღვინის წარმოების უძველეს ტრადიციებსა და კულტურის შესახებ.

კანადელი ღვინის პროფესიონალების ტური

28 აპრილიდან 5 მაისის ჩათვლით, ქართული ღვინის ბაზრების დივერსიფიკაციის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და კანადაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, კანადიდან ღვინის პროფესიონალების 17-კაციანი ჯგუფი საქართველოს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში, სტუმრები კახეთში ღვინის მწარმოებელ კომპანიებს და საოჯახო მარნებს ესტუმრნენ, ასევე, გაეცნენ ქვევრის დამზადების ტექნოლოგიას. თბილისში სპეციალურად მათთვის 20-მდე სხვადასხვა კომპანიის ღვინოების დეგუსტაცია გაიმართა.

„WINETOASIA“

9-11 მაისი, ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში, გუანდონის პროვინციის ქალაქშენჭენში გამართულ ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მასშტაბურ გამოფენაში „WinetoAsia“ მონაწილეობდნენ. ქართული ღვინის წარდგენას ორგანიზება ჩინეთში მოღვაწე ღვინის მაგისტრმა ქესიდი დარტმა (Cassidy Dart) გაუწია. ამასთან ერთად, ქესიდი დარტმა გამოფენის ფარგლებში ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაცია გამართა.



გასტრონომიის ფესტივალი „LES FESTIVES GOURMANDES“

18-20 მაისს, ქართული ღვინო საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის პრესტიჟულ ფესტივალზე ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasien“ ორგანიზებით წარდგა. ფესტივალზე „Les Festives Gourmandes“, რომელიც ქალაქ შალონ-სიურ-სონში გაიმართა, კომპანიის „Le Pont Caucasien“ ხელმძღვანელმა, საფრანგეთში მოღვაწე ენოლოგმა ილია კახიძემ სტუმრებს 10 ქართველი მწარმოებლის ღვინოები გააცნო.

ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ტური

7-15 მაისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოში ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა. ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ სომელიეები და ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი ამერიკული კომპანიის „Colangelo&Partners“ წარმომადგენელი. ტურის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ.

LONDON WINE FAIR

20-22 მაისს, ქართული ღვინის მწარმოებელი 13 კომპანია ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში London Wine Fair 2024 მონაწილეობდა. London Wine Fair წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას ქართველი მწარმოებლებისთვის ახალი სავაჭრო პარტნიორების მოძიების, პროდუქციის პოპულარიზაციისა და ექსპორტის გაზრდის კუთხით.



საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილი საზეიმო ღონისძიებების ფარგლებში, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო ქალაქ მცხეთაში წარმოდგენილი იყო კონცეფციით - „საქართველო ღვინის სამშობლო“. ღონისძიებაში 10-მდე ადგილობრივი ღვინის მწარმოებელი მონაწილეობდა. წარმოდგენილი იყო ქართული ღვინისა და ვაზის კულტურის ისტორიასა და ტრადიციებთან დაკავშირებული ვიზუალური და საინფორმაციო მასალა, მათ შორის, ქართლის რეგიონის ღვინისა და ვაზის ჯიშების მრავალფეროვნება;

GEORGIAN NATURAL WINE DAY

1 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, ბელგიის დედაქალაქ ბრუსელში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია - Georgian Natural Wine Day (ქართული ბუნებრივი ღვინის დღე) გაიმართა, რომელზეც სხვადასხვა სახეობის 10 ქართული ღვინო იყო წარდგენილი. დეგუსტაციას 1000-მდე სტუმარი, მათ შორის, ჟურნალისტები, ბლოგერები, კომერციული სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ. ღონისძიება ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა.

ბოლნისის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი

3 ივნისს, ბოლნისის დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინის ფესტივალი გაიმართა, რომლის ერთ-ერთი მხარდამჭერი ღვინის ეროვნული სააგენტოა. მასში საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 50-მდე ღვინის მწარმოებელმა მიიღო მონაწილეობა. აღნიშნული ფესტივალი საქართველოში ერთადერთია, რომელშიც მხოლოდ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების მწარმოებლები მონაწილეობენ.



WINEXPO GEORGIA

7-9 ივნისს, ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მე-16 საერთაშორისო გამოფენა WinExpo Georgia გაიმართა და მასში მსოფლიოს 8 ქვეყნის 200-მდე კომპანია მონაწილეობდა. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი დიდი და საშუალო კომპანიები, მცირე მარნები, ასევე ღვინის ტექნოლოგიები, შესაფუთი მასალები, მევენახეობა-მეღვინეობის მანქანა-დანადგარები, სანერგები, მინა, აქსესუარები და სერვისები. გამოფენის ფარგლებში, ღვინის მე-14 საერთაშორისო კონკურსი Georgia International wine Award გაიმართა. კონკურსზე ოქროს მედალი 21-მა ღვინომ დაიმსახურა, მათგან ექვსმა გამორჩეულმა ღვინომ უმაღლესი ჯილდო, „ტროფი“ მიიღო. ვერცხლის მედლით 77 და ბრინჯაოს მედლით 96 ღვინო დაჯილდოვდა.

„საფერიკა“

7-8 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი ორგანიზაციის „საფერიკა“ ორგანიზებით, ნიუ-იორკის შტატის ფინგერ ლეიკსის რეგიონში საფერავის ორდლიანი ფესტივალი „საფერიკა“ გაიმართა. ფესტივალზე წარმოდგენილი იყო სხვადასხვა კომპანიის მიერ წარმოებული საფერავის ჯიშის ღვინოები, როგორც საქართველოდან, ისე ფინგერ ლეიკსის რეგიონიდან. აღსანიშნავია, რომ ნიუ-იორკის შტატში, ფინგერ ლეიკსის რეგიონში, უკვე 60 წელია, ადგილობრივ ღვინის მწარმოებლებს საფერავისა და რქაწითელის ჯიშების ყურძენი აქვთ გაშენებული და მსოფლიოში ცნობილი ქართული ვაზის ჯიშის ღვინოებს აწარმოებენ.

იაპონელი ღვინის პროფესიონალების ტური

8-12 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს იაპონელი ღვინის მაგისტრი კენიჩი ოჰაში და იაპონელი ღვინის პროფესიონალების ჯგუფი სტუმრობდა. ტურის ფარგლებში, სტუმრები ღვინის კომპანიებსა და მარნებს კახეთში ეწვივნენ, სადაც სხვადასხვა დასახელების ქართული ღვინოები დააგემოვნეს და ქვეყრის დამზადების ტექნოლოგიას გაეცნენ. 10-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში ღვინის იმპორტიორები და მედიის წარმომადგენლები შედიოდნენ.



ქართული ღვინის წარდგენა იაპონიაში

15-16 ივნისს, იაპონიაში საქართველოს დღეების ფარგლებში, ქართული ღვინის მასშტაბური ფესტივალი ტოკიოს იოიოგის ცენტრალურ პარკში გაიმართა. იაპონიის ბაზარზე ქართული ღვინის იმპორტიორებმა ქართული ღვინის 9 კომპანიის 12-ზე მეტი დასახელების ქართული ღვინო წარადგინეს. ქართული ღვინის პრეზენტაცია-დეგუსტაციას იაპონელი სომელიე რიუნოსუკე იოშიჰარა (Ryunosuke Yoshihara) უძღვებოდა.

„GEORGIAN WINE GRAND TASTING“

20 ივნისს, პოლონეთის დედაქალაქ ვარშავაში, ღვინის ეროვნული სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Peopl.Pr“ ორგანიზებით და პოლონეთის რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის დეგუსტაცია „Georgian Wine Grand Tasting“ გაიმართა. დეგუსტაციაზე 20-ზე მეტი ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიის 100-მდე ღვინო იყო წარმოდგენილი. ღონისძიებას 200-ზე მეტი სტუმარი, მათ შორის, ჟურნალისტები, ბლოგერები, კომერციული სექტორის წარმომადგენლები დაესწრნენ.

„VINEXPO AMERICA“

24-25 ივნისს, აშშ-ში, გამოფენაზე „Vinexpo America“ ქართული ღვინო 20-მა კომპანიამ წარადგინა. მსგავსი მასშტაბის საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობა ღვინის ბაზრების დივერსიფიცირებისა და ექსპორტის ზრდის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. „Vinexpo America“-ში მონაწილეობით, ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ეძლევათ, მსოფლიოს ღვინის ბაზარზე არსებულ ახალ ტენდენციებს და გამოწვევებს გაეცნონ, მოიძიონ სავაჭრო პარტნიორები ამერიკის შეერთებული შტატებში, რომელიც ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს და სადაც განსაკუთრებით მაღალია ღვინის ხარისხის სტანდარტები.



„THE 8TH EURASIA EXPO“

26-30 ივნისს, ჩინეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 12 კომპანიის პროდუქცია სინძიანის პროვინციის ქალაქ ურუმჩიში, გამოფენაზე „The 8th Eurasia Expo“ იყო წარმოდგენილი. გამოფენას ყოველწლიურად 2 მილიონი ვიზიტორი სტუმრობს, რაც ქართული ღვინის მწარმოებლებს აძლევს საუკეთესო შესაძლებლობას, აზიის ღვინის ბაზარზე პოტენციურ პარტნიორებთან დაამყარონ საქმიანი ურთიერთობები.

ღვინის პროფესიონალების ტური ჩინეთიდან

24-29 ივნისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის „Meiburg Wine Media“ ორგანიზებით, საქართველოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან ღვინის პროფესიონალების 14 კაციანი ჯგუფი სტუმრობდა. ტურის ფარგლებში, ჯგუფის წევრებმა, რომლის შემადგენლობაში სომელიეები და იმპორტიორები შედიოდნენ, ქართლსა და კახეთში ღვინის საწარმოები დაათვალიერეს, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო. თბილისში სტუმრებისთვის სპეციალური დეგუსტაცია (Walkaround Tasting) გაიმართა, სადაც ქართული ღვინის მწარმოებელი 15 კომპანიის ღვინოების იყო წარმოდგენილი.

„SEOUL INTERNATIONAL WINE AND SPIRITS EXPO 2024“

4-6 ივლისს, ქართული ღვინის მწარმოებელი 10 კომპანია ქალაქ სეულში, ღვინის და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „Seoul International Wine and Spirits Expo 2024“ მონაწილეობდა. ამასთან ერთად, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და კორეის საერთაშორისო სომელიეთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტისა და კორეის ღვინის მწერალთა კლუბის დამფუძნებლის ჩან ჯუნ პარკის (Chan Jun Park) ორგანიზებით, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა, რომელსაც 150-ზე მეტი სტუმარი დაესწრო.



ქართული ღვინის ფესტივალი კრაკოვში

7-8 ივლისს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და პოლონეთის რესპუბლიკაში სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „ო-ლილე“ ორგანიზებით, კრაკოვის ცნობილი ისტორიული სასახლის (Dwór w Tomaszowicach) ტერიტორიაზე ქართული ღვინის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში 20-მდე ქართული ღვინის კომპანია, როგორც დიდი, ისე საშუალო და მცირე მწარმოებლებელი მონაწილეობდა. ღონისძიებას ადგილობრივი იმპორტიორები, HoReCa სექტორის წარმომადგენლები, ღვინის მომხმარებლები, ჟურნალისტები და ბლოგერები, ჯამში 1000-მდე სტუმარი დაესწრო.

ქართული ღვინის წარდგენა ბერლინში

9 ივლისს, გერმანიის დედაქალაქ ბერლინში, ღვინის ინსტიტუტში „Deutsche Wein und Sommelierschule“ ქართული ღვინის პრეზენტაცია-სემინარი ჩატარდა. ღონისძიებას, რომელსაც გერმანიის სომელიეთა ასოციაციის პრეზიდენტი ივონე ჰეისტერმანი (Yvonne Heistermann) უძღვებოდა, მარკეტინგის საერთაშორისო ექსპერტები, სტუდენტები და ღვინის ენთუზიასტები დაესწრნენ.

ტექსასის სომელიეთა კონფერენცია TEXSOM

25-27 აგვისტოს, TEXSOM-ის სომელიეთა კონფერენციის ფარგლებში, აშშ-ში, ტექსასის შტატის ქალაქ ირვინგში, ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაცია გაიმართა. დეგუსტაციაზე სხვადასხვა დასახელების 70-მდე ქართული ღვინო იყო წარმოდგენილი. ღონისძიებას ღვინის ინდუსტრიის ექსპერტები და პროფესიონალები ესწრებოდნენ.



გერმანელი ღვინის პროფესიონალების ვიზიტი

3-8 სექტემბერს, საქართველოს გერმანელი ღვინის ჟურნალისტები, ბლოგერები და სომელიეები ეწვივნენ. სტუმრები ქართლსა და კახეთში ქართული ღვინის მწარმოებელ 10-ზე მეტ კომპანიასა და მარანს გაეცნენ, დააგემოვნეს სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო. ჯგუფის შემადგენლობაში ცნობილი ინფლუენსერი და სომელიე ტონი ასკიტისი (Toni Askitis) იყო, რომელიც საკუთარ პოპულარულ არხზე #Asktoni ღვინის სფეროს სიახლეებს და ტენდენციებს გადმოსცემს.

ქართული ღვინის კამპანია აშშ-ში

ამერიკის შეერთებული შტატები ქართული ღვინის სტრატეგიულ ბაზარს წარმოადგენს, სადაც 2013 წლის შემდეგ, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით განხორციელებულმა ღონისძიებებმა, ხელი შეუწყო აშშ-ში ქართული ღვინის ცნობადობის გაზრდას.



საქტემბერ-ოქტომბერში აშშ-ს ბაზარზე ქართული ღვინის პოპულარიზაციისა და ცნობადობის აქტიური კამპანია მიმდინარეობდა:

- 16-18 სექტემბერს, საქართველოს პრესტიჟული ამერიკული ღვინის გამოცემის „Wine Enthusiast“ ერთ-ერთი რედაქტორი და სადეგუსტაციო კომისიის წარმომადგენელი ემილი სალადინო (Emily Saladino) ეწვია. ვიზიტის ფარგლებში მან ჩაატარა ქართული ღვინის ბრმა დეგუსტაცია და Wine Enthusiast-ის 100 ქულიანი შეფასების სისტემის მიხედვით შეაფასა წარდგენილი ღვინოები, ასევე ეწვია კახეთის რეგიონს. დეგუსტაციაზე წარდგენილი ღვინოების შეფასებები გამოქვეყნდება Wine Enthusiast-ის გვერდზე.
- 7-13 სექტემბერს, საქართველოში ამერიკელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა. 12-კაციანი ჯგუფის შემადგენლობაში იყვნენ ღვინით ვაჭრობის სფეროს და „Colangelo&Partners“-ის წარმომადგენლები. ტურის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები.
- 15-20 სექტემბერს, საქართველოში ამერიკელი ღვინის ჟურნალისტების პრესტური ჩატარდა, რომლის ფარგლებში, ღვინის პროფესიონალები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს კახეთსა და ქართლში ესტუმრნენ, სადაც ქართული ღვინის დაყენების ტექნოლოგიას გაეცნენ, ადგილზე დააგემოვნეს როგორც კლასიკური, ასევე ტრადიციული მეთოდით დამზადებული ქართული ღვინოები.
- 23 სექტემბერიდან, 2 კვირის განმავლობაში, ქალაქ ნიუ-იორკში, მანჰეტენზე, აუთდორ კამპანიის ფარგლებში, ე.წ. 25 ლაითბოქსზე განთავსდა ქართული ღვინის სარეკლამო ბანერები.
- 26 სექტემბერს, ქალაქ ნიუ-იორკში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა „გრანდ თეისტინგი“ ღვინის პროფესიონალების, მედიის და კომერციული სექტორის წარმომადგენლებისთვის გაიმართა. ქართული ღვინის მასშტაბურ წარდგენას 400-მდე ღვინის პროფესიონალი, მედიის და კომერციული სექტორის წარმომადგენელი დაესწრო.
- „ოქტომბერ-ნოემბერში, ქართული ღვინის სარეკლამო კამპანიას ადგილი პრესტიჟულ გამოცემა „New York Times“ დაეთმო. New York Times-ის ოფიციალურ გვერდზე განთავსდა ე.წ. ბლოგბანერი და ნებისმიერ მომხმარებელს, რომელიც ესტუმრა საიტს სარეკლამო ველში გამოუჩნდა ქართული ღვინის სარეკლამო ბანერების სლაიდშოუ“.

ქართული ღვინის წარდგენა კორეის რესპუბლიკაში

24 სექტემბერს ქალაქ სეულში ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენა გაიმართა. ღონისძიება მოიცავდა პროფესიულ მასტერკლასს და პრეზენტაციას 300 მოწვეული სტუმრისთვის, რომელთა შორის მეღვინეობის დარგის ექსპერტები, სომელიეები, ბაიერები, მედიის წარმომადგენლები და ინფლუენსერები იყვნენ. დეგუსტაციაზე წარმოდგენილი იყო 15-მდე ქართული ღვინის მწარმოებლის 40 სხვადასხვა დასახელების ღვინო. ღონისძიების ფარგლებში გაიმართა ქართული ღვინისა და კორეული სამზარეულოს შეხამების მასტერკლასი.

გურჯაანის ღვინის ფესტივალი

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, გურჯაანში რიგით მეექვსე ღვინის ფესტივალი გაიმართა. ფესტივალში 400-ზე მეტი ღვინის კომპანია და მარანი მონაწილეობდა, რომელთაც სხვადასხვა დასახელების ღვინო, ჭაჭა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელი წარმოადგინეს. ფესტივალი, რომელიც ქალაქ გურჯაანის ახტალის პარკში გაიმართა, ხალხმრავლობით გამოირჩეოდა. გურჯაანის ღვინის ფესტივალი, 2022 წლიდან, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით, საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების კონკურსის (IWSC) ოფიციალური პარტნიორი გახდა.

პოლონელი ღვინის პროფესიონალების ტური

7-10 ოქტომბერს, პოლონეთის ბაზარზე ქართული ღვინის ექსპორტის ზრდის ხელშეწყობის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს და სააგენტოს კონტრაქტორი მარკეტინგული კომპანიის «People PR» ორგანიზებით, საქართველოში პოლონელი ღვინის პროფესიონალების ტური ჩატარდა. ტურის ფარგლებში სტუმრებმა კახეთის რეგიონში ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიები დაათვალიერეს, თბილისში ქართული ღვინის დეგუსტაცია, ე.წ. „Walkaround Tasting“ გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანიის სხვადასხვა ღვინო.



ბრიტანელი ღვინის პროფესიონალების ტური

7-11 ოქტომბერს, ღვინის პროფესიონალების 13-კაციანი ჯგუფი საქართველოში იმყოფებოდა. ბრიტანელი იმპორტიორების და ჟურნალისტებისგან შემდგარი ჯგუფის წევრები ქართული ღვინის მწარმოებელ კომპანიებს ქართლსა და კახეთში ეწვივნენ, სადაც სხვადასხვა სტილის ქართული ღვინო დააგემოვნეს. თბილისში გამართულ სპეციალურ დეგუსტაციაზე „Walk-around Tasting“ ბრიტანელი სტუმრები 10 კომპანიის სხვადასხვა დასახელების ღვინოს გაეცნენ.

პოლონეთში საფერავის წარდგენის მასშტაბური ღონისძიება გაიმართა

15 ოქტომბერს, პოლონეთის სომელიეთა ასოციაციის გენერალური ასამბლეის ფარგლებში, ქართული ღვინო საფერავის დეგუსტაცია-სემინარი „Saperavi Experience: Secrets of Georgia's Red Treasure“ გაიმართა. 100-ზე მეტი ადგილობრივი სომელიე დაესწრო პოლონეთის დაბა პშევეში (Pszczew) გამართულ ღონისძიებას, რომელსაც სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „ო-ლილე“ ხელმძღვანელი ქეთევან ფრანგულაიშვილი უძღვებოდა.

„ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე“

19 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერითა და საქართველოს ღვინის კლუბის ორგანიზებით, რიგით მეექვსე ღვინის ფესტივალი „ახალი მცირე მარნები დიდ ასპარეზზე“ თბილისში, მთაწმინდის პარკში გაიმართა, სადაც 50 ღვინის მწარმოებლის პროდუქცია წარმოდგენილი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის ყველა რეგიონიდან იყო. ფესტივალისადმი დიდ ინტერესზე როგორც მონაწილე მარნების, ისე სტუმრების ყოველწლიურად მზარდი რაოდენობა მიუთითებს.



ქართული ღვინის წარდგენა ნიდერლანდებში

18 ოქტომბერს, ნიდერლანდების ქალაქ მასტრიხტში ქართული ღვინის დეგუსტაცია „Folie culinaire“ გაიმართა. სამდღიან ღონისძიებაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი 5 კომპანიის 50 დასახელების ღვინო და მას ადგილობრივი ღვინის ექსპერტები, სომელიეები, კომერციული, HoReCa და მედია სექტორის წარმომადგენლები, ჯამში 1000-ამდე ადამიანი დაესწრო.

„THEOULE ARTS AND VIN“

20 ოქტომბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „Le Pont Caucasion“ ორგანიზებით, საფრანგეთის ქალაქ ტოულ სურ მერში (Theoule-sur-mer) გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Theoule Arts and Vin“ ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ 12 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიისა და მცირე მარნის 15 სახეობის ღვინოს.

ქართული ღვინის დემუსტაცია ოსაკაში

22 ოქტომბერს, ქალაქ ოსაკაში, ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა, რომელსაც ღვინის იმპორტიორები, ბაიერები, სავაჭრო ქსელებისა და მედიის წარმომადგენლები, ჯამში 120-მდე სტუმარი დაესწრო. საქართველოს მეღვინეობის კულტურას, ისტორიისა, ვაზის ჯიშებისა და ღვინის თანამედროვე ინდუსტრიის შესახებ პრეზენტაცია Red Bridge-ის დირექტორმა, ღვინის ცნობილმა მაგისტრმა, კენიჩი ოჰაშიმ წარმოადგინა. ამასთან ერთად, ცნობილმა იაპონელმა სომელიე მოტოჰირო ოკოშიმ სტუმრებს 8 ქართული ღვინო წარუდგინა და ქართული ღვინის იაპონურ სამზარეულოსთან შეხამების გამოცდილება გაუზიარა.



„SALON SAVIM TERRAVINI“

25 ოქტომბერს, საფრანგეთის ქალაქ ნიცაში გამართულ ღვინისა და გასტრონომიის ფესტივალზე „Salon Savim TERRAVINI“ ქართული ღვინის წარდგენა გაიმართა. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ 8 ქართული ღვინის მწარმოებელი კომპანიისა და მცირე მარნის ღვინოებს. „Salon Savim TERRAVINI“ ითვლება საფრანგეთის ღვინისა და გასტრონომიის ერთ-ერთ წამყვან ფესტივალად, რომელსაც ყოველწლიურად ათი ათასობით ღვინის პროფესიონალი თუ მომხმარებელი სტუმრობს.

„DAEJEON INTERNATIONAL WINE FESTIVAL“

1-3 ნოემბერს, ქალაქ დეჯონში საერთაშორისო ფესტივალზე «Daejeon International Wine Festival» ქართული ღვინის 8 მწარმოებლის, როგორც დიდი კომპანიების, ასევე მცირე მარნების ღვინო იყო წარმოდგენილი. ქართული ღვინის მსგავს მასშტაბურ ღონისძიებებზე წარდგენა ემსახურება საქეპსორტო ბაზრების დივერსიფიკაციას.

„ENOEXPO 2024“

„8-10 ნოემბერს, ქალაქ კრაკოვში ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენაში „EnoExpo 2024“ ქართული ღვინის ხუთი მწარმოებელი მონაწილეობდა. „EnoExpo“, რომელიც უკვე 21-დ გაიმართა, ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ და პრესტიჟულ გამოფენად ითვლება აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში“.



RAW WINE NY

10-11 ნოემბერს, ქვევრის ღვინის მწარმოებელი რვა კომპანია ქალაქ ნიუ-იორკში ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine 2024“ (The Artisan Wine Fair) მონაწილეობდა. გამოფენა „RAW Wine“, რომლის ორგანიზატორი ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონია, თავს უყრის მაღალი ხარისხის ბუნებრივი და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან.

ქართული ღვინის წარდგენა ფინეთში

7 ნოემბერს, ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკიში გამართულ ქართული ღვინის წარდგენის და დეგუსტაციის ღონისძიებას 40-ზე მეტი სომელიე, ღვინის იმპორტიორი, მედიის და ჰორეკა სექტორის წარმომადგენელი დაესწრო. ქართული ღვინის წარმოების ისტორია, ჯიშური მრავალფეროვნება, ქვევრის და ქვევრის ღვინის ტექნოლოგია ღონისძიების მონაწილეებს ღვინის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელმა, ღვინის ექსპერტმა, ირაკლი ჩოლობარგიამ გააცნო. საუბარი შეეხო ქართული ღვინის წარმოების დღევანდელ მასშტაბებს, სახეობებს, მსოფლიო ბაზრებზე მოთხოვნებს და ექსპორტის ტენდენციებს.

MERANO WINE FESTIVAL

8-10 ნოემბერს, ღვინის ეროვნული სააგენტოს და ასოციაციის „ქართული ღვინო“ მხარდაჭერით, ქართული ღვინის მწარმოებელი 20 კომპანია იტალიაში მერანოს ღვინის ფესტივალში მონაწილეობდა. ფესტივალის ფარგლებში ქართული ღვინის მასშტაბური დეგუსტაციაც გაიმართა, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა დასახელების ღვინოები, მათ შორის, ქვევრის ღვინის და საფერავის საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებული ღვინოები. ღონისძიებას ღვინის პროფესიონალები და ჟურნალისტები დაესწრნენ. დეგუსტაციას იტალიელი სომელიე გუიდო ინვერნიცი უძღვებოდა.



PROWINE SHANGHAI

12-14 ნოემბერს, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ქალაქ შანხაიში, ღვინის სფეროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და მნიშვნელოვანი გამოფენაში ProWine Shanghai, ქართული ღვინის მწარმოებელი 24 კომპანია მონაწილეობდა. ამასთან ერთად, ქართული ღვინო წარმოდგენილი იყო გამოფენის ფარგლებში გამართულ „ქარვისფერი ღვინის სიმპოზიუმზე“, რომელსაც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წამყვანი ღვინის ექსპერტები, მედიის წარმომადგენლები, სომელიეები, იმპორტიორები და დისტრიბუტორები დაესწრნენ. სიმპოზიუმზე წარმოდგენილი იყო მსოფლიოს 13 ქვეყანა, მათ შორის, იტალია, საფრანგეთი, ავსტრალია, ესპანეთი, ავსტრია და სხვა.

EXPOVINA

31 ოქტომბრიდან 14 ნოემბრის ჩათვლით მიმდინარე Expovina-ს საგამოფენო სივრცე 9 გემზე მოეწყო და ათასობით სტუმარს უმასპინძლა. მეღვინეობის პრაქტიკულად ყველა ქვეყნიდან წარმოდგენილ ღვინოებს შორის იყო ქართული ღვინოც, რომელიც გამოფენაზე „ქართული ღვინის სახლმა“ (GeoHausს) წარადგინა. გამოფენის ფარგლებში, ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილე დავით ტყემალაძე გამოფენის Expovina ადმასრულებელ დირექტორს, პასკალ შლიტლერს შეხვდა. მხარეებმა 2025 წელს, Expovina-ს რიგით 70-ე გამოფენაზე ქართული ღვინის მასშტაბური წარდგენის შესაძლებლობის საკითხი განიხილეს.

„HORECA EXPO“

17-20 ნოემბერს, ბელგიის სამეფოს ქალაქ ვენტში, გამოფენაზე „HORECA EXPO“, ქართული ღვინის წარდგენა ღვინის ეროვნული სააგენტოს მხარდაჭერით და სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის „FLOW SRL“ ორგანიზებით გაიმართა. „HORECA EXPO“ სასტუმრო, რესტორნების და კაფეების ინდუსტრიის უდიდესი გამოფენაა. გამოფენა ასევე მოიცავს ვორქშოუმებს, კულინარიის კონკურსებს და სემინარებს. ქართული ღვინო წარდგენილი იყო გამოფენის “Chef’s Place“ ნაწილში, სადაც თავს იყრიან ტოპ-შეფები, სომელიეები, ბლოგერები და ჟურნალისტები. გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ქართული ღვინის მწარმოებელი სამი კომპანიის 10-მდე ღვინო.



„ORANGE WINE FESTIVAL“

19 ნოემბერს, ქართული ღვინის მწარმოებელი 30-მდე კომპანია ავსტრიის დედაქალაქ ვენაში გამართულ ქარვისფერი ღვინოების ფესტივალში „Orange Wine Festival“ მონაწილეობდა. „Orange Wine Festival“ წლის განმავლობაში რამდენჯერმე იმართება მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში. ფესტივალში ქართული ღვინის მარნების მონაწილეობა შესაძლებლობას იძლევა, რომ ქართული ღვინო ფართო მასშტაბით წარმოჩინდეს როგორც მომხმარებლების, ისე ღვინის საერთაშორისო ექსპერტებისა და ღვინით ვაჭრობის სფეროს წარმომადგენლების წინაშე.

RAW WINE BERLIN

1 დეკემბერს, ბერლინში, ბუნებრივი ღვინოების საერთაშორისო გამოფენაში „RAW Wine Berlin 2024“, ქვევრის ღვინის მწარმოებელი 12 მარანი მონაწილეობდა. „RAW Wine“ ერთ-ერთი გამორჩეული საერთაშორისო გამოფენაა, სადაც მაღალი ხარისხის ბუნებრივი, ორგანული და ბიოდინამიური ღვინოების მწარმოებლები იკრიბებიან. გამოფენის ორგანიზატორია ცნობილი ღვინის მაგისტრი საფრანგეთიდან იზაბელ ლეგერონი.



ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა

ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის გაზრდის მიზნით, 2021 წლის სექტემბერში საქართველოს მთავრობამ „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამა“ დაამტკიცა.

პროგრამის მიზანია საერთაშორისო ბაზრებზე ქართული ღვინის საექსპორტო პოტენციალის, კონკურენტუნარიანობისა და ცნობადობის გაზრდა, სტრატეგიული და პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

პროგრამას ახორციელებს სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კოორდინაციით.

ღვინის ეროვნული სააგენტო, მისთვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში, მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსებას მხოლოდ იმ კომპანიებისთვის განახორციელებს, რომლებიც ექსპორტს პრიორიტეტულ ბაზრებსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში ახორციელებენ, გარდა დსთ-ს და სუამ-ის ქვეყნებისა.

„2024 წელს პროგრამაში მონაწილეობით დაინტერესება გამოთქვა 26-მა აქედან, პროგრამის მეორე ეტაპზე გადავიდა 21 კომპანია. პროგრამით განსაზღვრული პირობების დაუკმაყოფილებლობის გამო, შემდეგ ეტაპზე ვერ გადავიდა 5 კომპანია“ - ეს სულ წავშალოთ. აქვე ბოლო აბზაცში - „2023 წელს“ - უნდა იყოს „2023 წლის“

- 2023 წელს თანადაფინანსების პროგრამის ფარგლებში მარკეტინგული ხარჯების თანადაფინანსება მოხდა 416,707 ლიტრ ექსპორტირებულ ღვინოზე, პროგრამით ისარგებლა ხუთმა კომპანიამ. 2024 წლის მდგომარეობით, ბენეფიციარებთან გაფორმებული ხელშეკრულებების მიხედვით, 26 კომპანიის მარკეტინგული ხარჯების დაფინანსებაზე საექსპორტო ღვინის მოცულობა შეადგენს 5,560,090 ლიტრს. 2023წლის მონაცემების მიხედვით, თანადაფინანსების მოცულობამ შეადგინა 243,281.28 ლარი, ხოლო 2024 წლის მონაცემების მიხედვით, ხელშეკრულების საერთო ჯამური ღირებულება შეადგენს 1,365,471.32 ლარს, იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარები სრულად დააკმაყოფილებენ ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამით განსაზღვრულ პირობებს. „ქართული ღვინის პოპულარიზაციის ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, შესაბამისი ანაზღაურების გაცემა დაიწყება 2025 წლის 1 მარტიდან იმ კომპანიებზე, რომლებიც სრულად დააკმაყოფილებენ აღნიშნული პროგრამით განსაზღვრულ პირობებს.

რთველი 2024

2024 წელს, რთველის ფარგლებში გადამუშავდა დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო რაოდენობის - 320 ათას ტონამდე ყურძენი, რაც დაახლოებით 45%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს.

2024 წლის მოსავალი, რაოდენობასთან ერთად, გამოირჩეოდა მაღალი ხარისხით. ღვინის კერძო სექტორი ორიენტირებული იყო ხარისხიანი ყურძნის შექმნაზე და შესაბამისად, მიმდინარე წლის მოსავლის ღვინოებიც იქნება გამორჩეული, მრავალფეროვანი და ხარისხიანი.

ყურძენი ღვინის საწარმოებს 21 300-მდე მევენახე ფერმერმა ჩააბარა.

მევენახეობის მთავარ რეგიონებში, კახეთსა და რაჭა-ლეჩხუმში გადამუშავდა 291 ათას ტონამდე ყურძენი. ყურძნის რეალიზაციით მიღებულმა შემოსავალმა 390 მილიონ ლარს მიაღწია.

კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მოსავლის დაბინავება როგორც კახეთში, ისე რაჭა-ლეჩხუმში ნაადრევად დაიწყო: კახეთში 13 აგვისტოდან, რაჭაში 23 სექტემბრიდან და ლეჩხუმში 4 ოქტომბრიდან. მიუხედავად იმისა, რომ კახეთში და რაჭაში რთველის პიკური პერიოდი დროში ერთმანეთს ემთხვეოდა, საორგანიზაციო შტაბის მიერ უზრუნველყოფილი იყო მოსავლის შეუფერხებელი დაბინავება. ყურძნის გადამუშავების პროცესში, ჯამში, ჩართული იყო 600 ღვინის მწარმოებელი დიდი კომპანია, საშუალო და მცირე მარანი.



ძირითადი ინდუსტრიული ჯიშებიდან, გადაუშავებელია:

- რქაწითელი - 136 ათასი ტონა
- საფერავი - 130 ათასი ტონა
- კახური მწვანე - 5,9 ათასი ტონა
- ალექსანდრეულ/მუჯურეთული, რაჭა - 1618 ტონა
- ცოლიკაური, ცაგერი - 753 ტონა
- დანარჩენი სხვა ჯიშების ყურძენია
- ძირითადი ინდუსტრიული ჯიშების 1 კგ ყურძნის ფასები:
- რქაწითელი - 1.00-დან 1.20 ლარის ფარგლებში
- საფერავი - 1.50-1.60 ლარის ფარგლებში
- ალექსანდრეულ/მუჯურეთული - 8.00 ლარი
- ცოლიკაური (ტვიშის) – 8.00 ლარი, ცაგერის ცოლიკაური - 5.00 ლარი.

მევენახე ფერმერების მიერ მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის, ყურძნის ხარისხის შენარჩუნებისა და მეღვინეობის დარგის სტაბილური განვითარების მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს მთავრობამ რთველის სუბსიდირება განახორციელა:

- კახეთის რეგიონში სახელმწიფო სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც 1 კგ რქაწითელში მევენახეს არანაკლებ 1.00 ლარი გადაუხადა.
- ასევე, 13 სექტემბრიდან, შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ მევენახე ფერმერებისგან 1 კგ საფერავის ჯიშის ყურძენს 1.50 ლარად იბარებდა. ხოლო მევენახეებმა, რომლებსაც 13 სექტემბრამდე ლარნახევარზე ნაკლებ ფასად ჩააბარეს საფერავის ჯიშის ყურძენი, საქართველოს მთავრობამ დაუკომპენსირა სხვაობა ლარნახევარსა და მიღებულ საფასურს შორის.
- რაჭის რეგიონში, სუბსიდია მიიღო ყველა იმ კომპანიამ, რომელმაც ხვანჭკარას მიკრობონაში მოწეული 1 კგ ალექსანდროულისა და მუჯურეთულის ჯიშის ყურძენში მევენახეს გადაუხადა არანაკლებ 8 ლარი. 1 კგ ალექსანდროულისა და 1 კგ მუჯურეთულის შესყიდვის სანაცვლოდ, კომპანიებზე 4 ლარის ოდენობის სახელმწიფო სუბსიდია გაიცა.

საკოორდინაციო შტაბის ორგანიზებით, 23-24 აგვისტოს კახეთის რეგიონში მოსული ძლიერი სეტყვისა და ქარისგან დაზიანებული ყურძნის ჩაბარება შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ ოპერატიულად, სტიქიის მეორე დღიდანვე დაიწყო. ყვარლის, თელავის და ახმეტის მუნიციპალიტეტებში დასეტყვილ ყურძენს კომპანია თელავის და ყვარლის მუნიციპალიტეტებში იბარებდა. მევენახეებმა დაზიანებული, არაკონდიციური 1 კგ ყურძენი 1.00 ლარად ჩააბარეს. სულ გადამუშავდა 1800 ტონამდე

დასეტყვილი ყურძენი. სეტყვისგან დაზიანებული ყურძენი სახელმწიფო საწარმომ შპს „მოსავლის მართვის კომპანია“ სპირტის დასამზადებლად გადაამუშავა. რთველის პერიოდში, ღვინის ეროვნულმა სააგენტომ 100-მდე ახალგაზრდა ღვინის საწარმოებში ოპერატორის პოზიციაზე დაასაქმა. შერჩეულ კანდიდატებს სპეციალური ტრენინგები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალისტებმა რთველის საკოორდინაციო შტაბში ჩაუტარეს. აღსანიშნავია, რომ რთველის აღრიცხვის პროგრამა ქვეყანაში 2013 წლიდან მუშაობს. პროგრამა უზრუნველყოფს ჩაბარებული ყურძნის შესახებ სრული და დაზუსტებული მონაცემების შეგროვებას, რაც მაღალი ხარისხის ღვინის წარმოების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების 2024 წლის ექსპორტი

2024 წელს საქართველოდან ექსპორტირებულია 565 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო და სპირტიანი სასმელები, რაც 24%-ით აღემატება 2023 წლის ანალოგიურ მონაცემს.

გასულ წელს საქართველოდან მსოფლიოს 72 ქვეყანაში ექსპორტირებულია 95 მლნ-მდე ლიტრი, 276,1 მლნ აშშ დოლარის ღირებულების ღვინო. 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რაოდენობრივმა 6%, ხოლო შემოსავლების ზრდამ 7% შეადგინა.

ექსპორტის ზრდა აღსანიშნავია შემდეგ ქვეყნებში: პოლონეთი - 12% (6,7 მლნ ლიტრი), გერმანია - 30% (1,28 მლნ ლიტრი), აშშ - 32% (1,2 მლნ ლიტრი), ლიეტუვა - 11% (707 ათასი ლიტრი), დიდი ბრიტანეთი - 42% (425,6 ათასი ლიტრი), თურქეთი - 62% (538 ათასი ლიტრი), აზერბაიჯანი - 34% (237 ათასი ლიტრი), კანადა - 16% (198 ათასი ლიტრი), ისრაელი - 2% (314 ათასი ლიტრი), არაბეთის გაერთიანებული ემირატები - 80% (70 ათასი ლიტრი), სამხრეთ კორეა - 26% (72,5 ათასი ლიტრი) და ა.შ. ამასთან ერთად, მსოფლიოს 56 ქვეყანაში ექსპორტირებულია 48 მლნ ლიტრი სპირტიანი სასმელები, ზრდამ, 2023 წლის ანალოგიურ პერიოდთან, 53% შეადგინა. სპირტიანი სასმელების ექსპორტიდან შემოსავლების სახით მიღებულია 289 მლნ-მდე აშშ დოლარი (ზრდა 47%).



ხარისხის კონტროლი

საქართველოში წარმოებული ალკოჰოლიანი სასმელების ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე კონკურენტუნარიანობის ზრდის მიზნით, ღვინის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი სამსახურები ქართული ღვინისა და სხვა ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლს რეგულარულად ახორციელებენ.

ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ხარისხის კონტროლის მიზნით, 2024 წელს განახორციელდა 17 სახელმწიფო და 376 საინსპექციო კონტროლი. სახელმწიფო კონტროლის, ფარგლებში, შემოწმებული 28 კომპანიის 154 ნიმუშიდან, დარღვევა აღმოჩნდა 6 კომპანიის 34 ნიმუშში, ხოლო საინსპექციო კონტროლი ჩატარდა 83 კომპანიაში, და აღებული 1927 ნიმუშიდან, დარღვევა აღმოჩნდა 16 კომპანიის 37 ნიმუშში.

სააგენტოს კონტრაქტორი კომპანიის შპს „Bureau Veritas“ და შპს „SGS“ მიერ შემოწმებულ 74 კომპანიაში აღებული 459 ნიმუშიდან დარღვევა აღმოჩნდა 4 კომპანიის 11 ნიმუშში.

შიდა ბაზრის კონტროლი განხორციელდა 78 კომპანიის პროდუქციაზე, აღებული ნიმუშების რაოდენობა იყო 136, აქედან 73 ნიმუშში აღმოჩნდა დარღვევა.

სერტიფიცირების მიზნით ლოტთან შეუსაბამო ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლიანი სასმლის ნიმუშის წარდგენისთვის შედგა 23 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, დაჯარიმდა 15 კომპანია.



დეგუსტაციები

საექსპორტო ალკოჰოლური სასმელების ორგანოლეპტიკური ტესტირების მიზნით, ჩატარდა 284 დეგუსტაცია. შემოვიდა სულ 13006 ნიმუში. 12383 ნიმუში შეფასდა დადებითად და 623 ნიმუში შეფასდა უარყოფითად.

სერტიფიცირება

საანგარიშო პერიოდში, საექსპორტო დოკუმენტაციის მისაღებად სერტიფიცირებაზე შემოვიდა სულ 27 800 განაცხადი. შემოსული განაცხადების საფუძველზე გაიცა სხვადასხვა დანიშნულების დოკუმენტაცია:

VI-1 ფორმის სერტიფიკატი /ევროგაერთიანების ქვეყნებისათვის/ - 8 717 ცალი; შესაბამისობის სერტიფიკატი - 25 832 ცალი; სხვადასხვა ალკოჰოლიანი სასმელების მწარმოებელ კომპანიაზე, ღვინის ეროვნული სააგენტოს სერტიფიცირების სამმართველოს მიერ, გაცემულია სულ 34 549 სერტიფიკატი.




ვენახების კადასტრის პროგრამა

პროგრამის ფარგლებში შესრულდა შემდეგი სამუშაოები:

სააგენტოს მიერ დაარსებული სერიის „ქართული ვაზი და ღვინო: ლიტერატურული მემკვიდრეობა“ ფარგლებში დაიბეჭდა ორი წიგნი:

1. „რაჭა-ლეჩხუმის მევენახეობის რეგიონები“. ავტორი ლუკა გვენცაძე, დაწერილი 1940 წელს, რომელიც აქამდე არ გამოქვეყნებულა.
2. „საქართველოს მევენახეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“. ავტორები სოლომონ ჩოლოყაშვილი და ირაკლი რციხილაძე, გამოქვეყნებული პირველად 1939 წელს.
 - დაიბეჭდა წიგნი „კახეთის მევენახეობა-მეღვინეობა“. ავტორები: თამაზ კობაიძე და ოთარ ქურთიაშვილი.
 - დაიგეგმა და განხორციელდა არქეოლოგიურ კვლევები საქართველოს ეროვნული მუზეუმისა და ტორონტოს უნივერსიტეტის (ხელმძღვანელი სტეფან ბატიუკი) არქეოლოგების მონაწილეობით მარნეულის ველზე არსებულ სამ არქეოლოგიურ ძეგლზე გადაჭრილი გორა და იმირის გორა (ნეოლითური პერიოდი) და აზიბქენდი (ქალკოლიკური პერიოდი).
 - დასრულდა 19 ველური ფორმისა და ვაზის ჯიშების ყურძნის ნიმუშების შეგროვება და ექსპერიმენტული ღვინოების დამზადება კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის მკვლევარების მონაწილეობით პროფ. პატრიკ მაკგოვერნის (აშშ) მიერ შემუშავებული ბიო-მოლეკულური ანალიზის თეორიული საფუძვლების დამუშავების მიზნით.
 - საქართველოს ეროვნული მუზეუმის მკვლევარების მიერ განხორციელდა არქეობოტანიკური და პალეობოტანიკური მასალის ლაბორატორიული შესწავლა საქართველოში წარმოებული გათხრებიდან მოპოვებულ მასალაზე.



- ვეისმანის უნივერსიტეტის (ისრაელი) რადიოკარბონული კვლევის ლაბორატორიაში ელიზაბეტ ბოარეტოს მიერ C14 მეთოდით დათარიღდა ვაზის წიპწების 3 ნიმუში, აღმოჩენილი ძალისის ანტიკური პერიოდის არქეოლოგიური გათხრების დროს. დათარიღებამ აჩვენა წიპწების კუთვნილება ახ. წ. მე-4-5 საუკუნეებისადმი.
- მონპელიეს უნივერსიტეტის (საფრანგეთი) მკვლევარს ლორან ბუბის გადაეცა შესასწავლად ძალისის გათხრების დროს მოპოვებული დათარიღებული წიპწები მორფომეტრიული ანალიზის მეთოდების შესწავლისთვის, რომელიც შემდეგ დაემატება ქართული არქეოლოგიური წიპწების მონაცემთა ბაზას და გამოყენებული იქნება ვაზის კულტივირების ისტორიის ახსნისათვის საქართველოში.
- მილანის უნივერსიტეტის (იტალია) მკვლევარმა გაბრიელე კოლამ ქართველ მკვლევარებთან თანამშრომლობის ფარგლებში შეისწავლა საქართველოს ველური ვაზის აგროკლიმატური მახასიათებლებისა და ქვეყანაში გავრცელების ფიზიკო-გეოგრაფიული არეალი.
- მილანის უნივერსიტეტის (იტალია) მკვლევარმა გაბრიელა დე ლორენცისმა შეასრულა პროექტის მიერ შეკრებილი და მინდვრის კოლექციაში დაცული ველური ვაზის 38 ნიმუშის ლაბორატორიული კვლევა მოლეკულური მარკერების (10k SNPs) საშუალებით.


ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა და პოპულარიზაცია

საქართველოში რეგისტრირებულ დაცული ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოებს „ობჩა“ დაემატა

ადგილწარმოშობის დასახელების ღვინოების რაოდენობა 30-მდე გაიზარდა, რაც ქართული ღვინის მრავალფეროვნებაზე მიუთითებს და განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მისი პოპულარიზაციისა და საექსპორტო პოტენციალის ზრდისთვის.

გეოგრაფიული აღნიშვნის რეგისტრაციის მოთხოვნით, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს „საქპატენტი“ შპს იმერული ღვინის ასოციაციამ მიმართა. ღვინოების წარმოების სპეციფიკაციის მომზადებასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ სხვა ტექნიკურ საკითხებში ღვინის ეროვნული სააგენტო „ქართული ღვინის ადგილწარმოშობის დასახელების სისტემის განვითარებისა და ქართული ღვინის აღნიშვნების დაცვის ხელშეწყობის პროგრამის“ ფარგლებში მონაწილეობდა.

ობჩა მშრალი ღვინოა, რომელიც შეიძლება იყოს ქარვისფერი ან წითელი. მიკრობონა მდებარეობს ბაღდათის მუნიციპალიტეტში და მოიცავს ქალაქ ბაღდათსა და სოფლებს: პირველი ობჩა, მეორე ობჩა, დიმი, როკითი, ფერსათს, რომელთა სიმაღლე ზღვის დონიდან 120-420 მეტრის ფარგლებშია. ღვინო ქარვისფერი ობჩა შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ობჩის მიკრობონაში მოწეული ცოლიკოურის ჯიშის ყურძნიდან. დასაშვებია ციცქას და/ან კრახუნას ჯიშის ყურძნის გამოყენებაც 15 %-ის ფარგლებში. ღვინო წითელი ობჩა შეიძლება დამზადდეს მხოლოდ ობჩის მიკრობონაში მოწეული ოცხანური საფერეს ჯიშის ყურძნიდან და დაუშვებელია სხვა ჯიშების გამოყენება.



World Wine Trade Group

WWTG

15-16 აპრილს, ბელგიის სამეფოს დედაქალაქ ბრუსელში გამართულ ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) შეხვედრაზე, საქართველოს თავმჯდომარეობის ერთწლიანი პერიოდი და მიღწეული შედეგები, ორგანიზაციის წევრი ქვეყნების მხრიდან დადებითად შეფასდა.

2023 წლის 1 მაისიდან, აღნიშნული ორგანიზაციის თავმჯდომარეობა საქართველოს, ერთი წლის ვადით, ამერიკის შეერთებული შტატებიდან როტაციის პრინციპით გადმოეცა. თავმჯდომარეობის პერიოდში ორგანიზაციის საქმიანობის

მთავარი კოორდინატორი ღვინის ეროვნული სააგენტო იყო. ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ღვინით ვაჭრობის გამარტივება, ღვინით საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობა და სავაჭრო ბარიერების მოხსნისათვის ერთობლივი ქმედებების განხორციელება.

ღვინით ვაჭრობის მსოფლიო ჯგუფის (WWTG) წევრ ქვეყნებთან ერთად (საქართველო, აშშ, არგენტინა, ავსტრალია, კანადა, ჩილე, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა, ურუგვაი) შერხვედრას დამკვირვებელი ქვეყნის სტატუსით, დიდი ბრიტანეთის დელეგაციაც დაესწრო.

ჯგუფის ორდღიანი მუშაობის ფარგლებში, გაიმართა მსჯელობა სავაჭრო ბარიერებზე, საერთაშორისო ვაჭრობის გამარტივების და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის საკითხებზე, შეფუთვისა და მარკირების სტანდარტებზე, ასევე განხილული იყო ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) რეგულაციები, ევროკავშირის რეგულაციები ღვინის ინგრედიენტების ეტიკეტირებასთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 1 ივნისიდან WWTG-ს თავმჯდომარე ქვეყანა ავსტრალია გახდა.

ღვინის ეროვნულ სააგენტოს მიერ განხორციელებული საქმიანობა აქტიურად შეუქმნება ბეჭდურ, ელექტრონულ, სოციალურ და სატელევიზიო მედიაში: (<http://wine.gov.ge/>; <https://www.facebook.com/nationalwineagency/>; <https://www.youtube.com/channel/UC0CPwXo8f7-QA329kmicFwQ>)

სურსათის ეროვნული სააგენტო



nfa.gov.ge

2024 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს ვეტერინარიის დეპარტამენტს საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე ორგანომ „URS“ (UNITED REGISTRAR OF SYSTEMS), სერტიფიცირების პროცესის წარმატებით გავლის შედეგად, მართვის ხარისხის სისტემის ISO 9001:2015-ის სერტიფიკატი მიანიჭა.

საერთაშორისო სტანდარტი ადასტურებს მართვის ხარისხის სისტემების მაღალ საფეხურს, სააგენტოს ამოცანებისა და მიზნების განსაზღვრას, მათთან დაკავშირებული რისკებისა და შესაძლებლობების სწორად მართვას, ადამიანური და ინფრასტრუქტურული რესურსების ეფექტიანად გამოყენებას, ისეთი სისტემების ფუნქციონირებას, რომლებიც სრულად აკმაყოფილებს ვეტერინარული ზედამხედველობის სტანდარტებს და შესაბამისობაშია საერთაშორისო მოთხოვნებთან.

აღსანიშნავია, რომ სურსათის ეროვნულ სააგენტოს საერთაშორისო სტანდარტის მართვის ხარისხის სისტემის სერტიფიკატი ISO 9001:2015 2023 წლის ნომბრიდან აქვს მინიჭებული სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის მიმართულებითაც.

სურსათის უვნებლობა

მომხმარებელთა ინტერესებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, სურსათის ეროვნული სააგენტო, სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის პროგრამის შესაბამისად, ყოველწლიურად ახორციელებს სამომხმარებლო ბაზრის, მათ შორის, საზოგადოებრივი კვების ობიექტების, სკოლებისა და საბავშვო ბაღების კვების ბლოკების, მარკეტების, ცხოველთა სასაკლაოების, საცხოვების, აგრარული ბაზრების და ა.შ. შემოწმებას.

2024 წელს ჩატარდა 36 985 სახელმწიფო კონტროლი (ინსპექტირება 18422, მათ შორის, გეგმური - 8681; არაგეგმური - 1189, აღიარების მინიჭების მიზნით - 274; გადამოწმება - 8278; დოკუმენტური შემოწმება - 11287; მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში, სხვადასხვა დასახელების სურსათის /სასმელი წყლის 6174 ნიმუში/ სინჯია გამოკვლეული. დარღვევების მაჩვენებელმა შეადგინა 9.5%.

ზედამხედველობა განხორციელდა 872 ბიზნესოპერატორთან; HACCP-ის აუდიტი, მათ შორის, მითითებების შესრულების მდგომარეობის გადამოწმება ჩატარდა 231 ბიზნესოპერატორთან;

გამოვლინდა 3241 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

2024 წლის მონაცემებით, ვადაგასული ან/და შეუსაბამო სურსათის გამოყენებისა და რეალიზაციის ფაქტების გამოვლენის შედეგად სააგენტოს უფლებამოსილი პირების ზედამხედველობით განადგურდა:

- ხორცი და ხორცპროდუქტები - 15 416 კგ.
- სხვა მყარი სურსათი - 7 169 კგ.
- თხევადი სურსათი - 6 713 ლ.
- კვერცხი - 726 ც.

აღნიშნულ პერიოდში საქართველოში ფუნქციონირებდა ცხოველთა და ფრინველთა 127 სასაკლაო. აღნიშნულ სასაკლაოებზე დაიკლა 521 921 ცხოველი (მრპ - 171696, წრპ - 50753, ღორი - 289818, ბოცვერი - 9622, ცხენი/ვირი - 32) და 12 201 569 ფრინველი. სულ - 12 723 490.

გაიცა 467 414 ცალი ვეტერინარული მოწმობა ფორმა N2.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიმართ ცნობადობა ყოველწლიურად იზრდება, რასაც მოწმობის გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე შემოსული შეტყობინებების რაოდენობის ზრდა.

2024 წელს სურსათის უვნებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე სურსათის უვნებლობის დეპარტამენტში შემოსულია 1469 შეტყობინება (მოქალაქეთა სატელეფონო შეტყობინება - 1370, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრიდან/საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრიდან - 28, სხვა უწყებებიდან - 71), რომელზეც გატარდა შესაბამისი რეაგირება. დეპარტამენტი აწარმოებს აღნიშნული შეტყობინებებისა და შესაბამისი რეაგირებების მიღებული შედეგების ელექტრონულ აღრიცხვას.

ბიზნესოპერატორების მიმართვის საფუძველზე სააგენტომ გასცა შემდეგი სერტიფიკატები:

- ჰიგიენური სერტიფიკატი - 1473;
- შესაბამისობის შეფასების სერტიფიკატი - 90;
- აღიარების სერტიფიკატი - 43;
- ვეტერინარული სერტიფიკატი - 1240.

ბიზნესოპერატორების ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, გაიმართა სამუშაო შეხვედრები და ტრენინგები (სულ 103) საკანონმდებლო ცვლილებებთან და სურსათის უვნებლობის სფეროში არსებულ სხვა აქტუალურ საკითხებთან დაკავშირებით.

ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატის (DG SANTE) ევროპის კომისიის RASFF-ის სწრაფი განგაშის სისტემით სსიპ სურსათის ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა 15 შეტყობინება, რომელზეც გატარდა შესაბამისი რეაგირება.

სურსათის უვნებლობის დეპარტამენტისა და შემოსავლების სამსახურის სასაზღვრო დეპარტამენტის ურთიერთთანამშრომლობით, იმპორტირებულ სურსათში მიკრობიოლოგიური დაბინძურების აღმოჩენასთან დაკავშირებით წარმოებს შესაბამისი ელექტრონული რეესტრი და საბაჟოზე აღებული ნიმუშების საფუძველზე, დარღვევის შემთხვევაში, ხორციელდება (მიკრობიოლოგიური, ქიმიური) სურსათის რისკების მართვა და შესაბამისი ზედამხედველობა.

შეფასდა 2024 წლის პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შედეგები, რომლის ანალიზის საფუძველზე შემუშავდა სურსათის უვნებლობის სახელმწიფო კონტროლის 2025 წლის პროგრამა და განისაზღვრა პრიორიტეტები.



ვეთერინარული კეთილსაიყიდოობის უზრუნველყოფა

ეპიზოოტიური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, ჩატარდა მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის პროფილაქტიკური/იძულებითი ვაქცინაცია შემდეგ დაავადებებზე: თურქული, ჯილეხი, ბრუცელოზი, ცოფი, ცხვრისა და თხის ყვავილი, წვრილფეხა პირუტყვის ჭირი). წინასწარი მონაცემებით, აიცრა 7 662 235 ცხოველი. კერძოდ:

- თურქულის საწინააღმდეგოდ - 877 526 მსხვილფეხა და 1 030 947 წვრილფეხა საქონელი;
- ჯილეხის საწინააღმდეგოდ (ვაქცინაცია/რევაქცინაცია) - 360 306 მსხვილფეხა, 426 579 წვრილფეხა საქონელი, 6 623 ცხენი; ინფექციის კერებში იძულებით ვაქცინირებულია 3 000 დაავადების ამთვისებელი ცხოველი;
- ცოფის პროფილაქტიკური ვაქცინაცია ჩატარდა 312 398 შინაურ ხორცისმჭამელ (ძაღვი, კატა) ცხოველს; ინფექციის კერებში იძულებით ვაქცინირებულია 24 000 დაავადების ამთვისებელი ცხოველი;
- ბრუცელოზის საწინააღმდეგოდ - 112 361 მსხვილფეხა და 67 537 წვრილფეხა საქონელი;
- ცხვრისა და თხის ყვავილის საწინააღმდეგოდ - 1 735 758 წვრილფეხა საქონელი;
- წვრილფეხა პირუტყვის ჭირის საწინააღმდეგოდ - 326 025 წვრილფეხა საქონელი;
- ყირიმ კონგოს ეპიდემიოლოგიურ კერებში დამუშავდა 6 080 მსხვილფეხა საქონელი.



ცხოველთა იდენტიფიკაცია-რეგისტრაცია

2024 წელს იდენტიფიცირებულია:

800 491 მსხვილფეხა და 622 909 წვრილფეხა საქონელი.

დარეგისტრირდა 638 საფუტკრე მეურნეობა და 24 212 ფუტკრის ოჯახი.

ვეტერინარული კონტროლი

2024 წელს განხორციელდა 1381 ვეტერინარული სახელმწიფო კონტროლი. მათ შორის:

- გეგმური ინსპექტირება -1059;
- არაგეგმური ინსპექტირება - 61;
- გადამოწმება - 142;
- ინსპექტირება აღიარების მინიჭების მიზნით -23;
- დოკუმენტური შემოწმება - 94;
- ფსიქოტროპული პრეპარატების გამომყენებელი კლინიკების სარეგისტრაციო შემოწმება - 6;
- HACCP-ის აუდიტი-2

გამოვლინდა 37 ადმინისტრაციული სამართალდარღვევა.

ნიმუშები

- ვეტერინარული პრეპარატების ხარისხის მონიტორინგის მიზნით, გამოკვლეულია ვეტერინარული პრეპარატის 195 ნიმუში. დარღვევა არ გამოვლინდა;
- შინაური ბინადარი ცხოველების საკვების უვნებლობის მონიტორინგის მიზნით, სალმონელასა და ენტერობაქტერიებზე გამოკვლეულია 22 ნიმუში. დარღვევა არ გამოვლინდა;
- თევზის ფქვილის უვნებლობის მონიტორინგის მიზნით, სალმონელასა და ენტერობაქტერიებზე გამოკვლეულია 35 ნიმუში. დარღვევა არ გამოვლინდა;
- თევზში მალაქიტის მწვანეს და ლეუკომალაქიტის მწვანეს ჯამის, კრისტალური იისფერის და ლეუკოკრისტალური იისფერის ჯამის გამოკვლევის მიზნით, პირველად წარმოებაში აღებული და გამოკვლეულია თევზის 166 ნიმუში. დარღვევა გამოვლინდა 19-ში;
- ანაბოლური მოქმედების მქონე და აკრძალული ნივთიერების, ვეტერინარული პრეპარატების და დამაბინძურებლების გამოვლენის მონიტორინგის მიზნით, აღებულია ცოცხალი ცხოველების ბიოლოგიური მასალისა (სისხლი) და სასურსათო ცხოველის საკვების 380 ნიმუში 15 მაჩვენებელზე გამოსაკვლევად. ჩატარებული 1777 ანალიზიდან გამოვლინდა 24 დარღვევა;

- სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვებში პესტიციდების ნარჩენების მაქსიმალური დონის ლაბორატორიული მონიტორინგის მიზნით, აღებულია სასურსათო ცხოველის საკვების 30 ნიმუში სამ მაჩვენებელზე გამოსაკვლევადა. ჩატარებული 90 ანალიზის შედეგად დარღვევა არ გამოვლინდა.

ვეტერინარულ-სანიტარიული ზედამხედველობა

ცხოველთა ჯანმრთელობასა და სეზონურ საძოვრებზე გადაადგილების კონტროლის განსახორციელებლად, გადასარეკ ტრასაზე არსებულ ბიოუსაფრთხოების პუნქტებზე დამუშავდა 9 277 მსხვილფეხა და 937 194 სული წვრილფეხა პირუტყვი.

ექსპორტი:

სააგენტოს ინსპექტორების მიერ ცოცხალ ცხოველებსა და ვეტერინარულ კონტროლქვემდებარე ტვირთზე საექსპორტოდ გაიცა 11 200 ვეტერინარული სერტიფიკატი.

საქართველოდან ექსპორტირებულია:

- 109 020 მსხვილფეხა პირუტყვი
- 377 201 წვრილფეხა პირუტყვი
- 7 კენტჩლიქიანი ცხოველი
- 7422 შინაური ბინადარი ცხოველი (ძაღვი, კატა)
- 5 798 519 ფრინველი
- 2 833 580 ერთდღიანი წიწილა
- 11 943 300 საინკუბაციო კვერცხი
- 2 836 249 კგ ტყავნედლეული
- 434 584 კგ მატყლი
- 3 263 406 კგ ცხოველის საკვები და საკვებდანამატი
- 87 893 კგ სხვა (ცხოველური არასასურსათო დანიშნულების პროდუქტი)
- 3 086 886 კგ თევზის ზეთი
- 1 946 005 კგ. მანგანუმის ოქეისი
- 10 814 835 კგ თევზის ფქვილი.

საკარანტინო ვეტერინარული ზედამხედველობა გაეწია იმპორტირებულ ცხოველებს:

- მსხვილფეხა პირუტყვი - 5304 სული;
- ღორი - 563 სული.

ფიტოსანიტარიული კაბილსაიშველოობის უზრუნველყოფა

სასოფლო-სამეურნეო კულტურებზე ზიანის შემცირების მიზნით, 2024 წელს სურსათის ეროვნული სააგენტოს მცენარეთა დაცვის დეპარტამენტმა ჩაატარა მასშტაბური ღონისძიებები:

- იტალიური და მაროკოული კალიების საწინააღმდეგოდ დამუშავდა 28 150 ჰექტრამდე ფართობი და მონიტორინგი ჩატარდა 186 800 ჰექტრამდე ფართობზე;
- ამერიკული თეთრი პეპლის წინააღმდეგ კახეთის რეგიონში დამუშავდა 1920 ჰა ფართობი.

აზიური ფაროსანას საწინააღმდეგოდ განხორციელებული ღონისძიებები

2024 წლის სახელმწიფო მიზნობრივი ქვეპროგრამის „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებები“ ფარგლებში, დასავლეთ საქართველოს რეგიონებში დამუშავდა 365 151 ჰექტრამდე ფართობი. „მოიზიდე და გაანადგურე“ სადგურებზე დამონტაჟდა 151 730-ზე მეტი ფერომონი. მავნებლის გავრცელების კონტროლის მიზნით, მთელი ქვეყნის მასშტაბით მიმდინარეობდა მონიტორინგი (განთავსდა 7019 ფერომონიანი დამჭერი).



პესტიციდებისა და აგროქიმიკატების სახელმწიფო კონტროლი

ქვეპროგრამის „მცენარეთა დაცვა და ფიტოსანიტარიული კეთილსაიმედობა“ ფარგლებში, განხორციელდა 728 სახელმწიფო კონტროლი. ქვეყნის მასშტაბით აღებული და ლაბორატორიულად გამოკვლეულია პესტიციდის 450 და აგროქიმიკატის 50 ნიმუში.

პესტიციდების და აგროქიმიკატების რეგისტრაცია

გადაიხედა პესტიციდების ნუსხა და დარეგისტრირდა ეფექტიანი, ადამიანისა და გარემოსათვის ნაკლებად საშიში 270 პესტიციდი და 273 აგროქიმიკატი.

ექსპორტი

სააგენტოს ფიტოსანიტარი ინსპექტორების მიერ გაიცა 9200 ფიტოსანიტარიული სერტიფიკატი, რის საფუძველზეც საქართველოდან ექსპორტირებულია 529 966 ტონა მცენარეული წარმოშობის პროდუქცია.

ევროკავშირთან დაახლოება

- ევროკავშირის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატისათვის DG-Sante, მომზადდა თხილის აუდიტის რეკომენდაციების თანახმად განხორციელებული ღონისძიებების ანგარიში და წარმატებით დაიხურა აუდიტის პროცესი;
- ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) ფარგლებში მომზადდა 2024 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელების ანგარიში;
- შემუშავდა საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის 2025 წლის სამოქმედო გეგმა Ems ელექტრონულ სისტემაში;
- ევროკავშირის მესამე ქვეყნების სიაში ექსპორტიორად დარეგისტრირდა თაფლის მწარმოებელი ექვსი საწარმო;
- ევროკავშირის მესამე ქვეყანათა სიაში ექსპორტიორად დარეგისტრირდა შინაური ბინადარი ცხოველების საკვების მწარმოებელი ერთი საწარმო;
- ევროკავშირის მესამე ქვეყანათა სიაში ლოკოკინას ექსპორტიორად დარეგისტრირდა ერთი საწარმო;
- ჩინეთში დაფნის ექსპორტიორად დარეგისტრირდა დაფნის გადამამუშავებელი 15 ბიზნესოპერატორი;
- ჩინეთში თხილის ექსპორტიორად დარეგისტრირდა 3 ბიზნესოპერატორი;
- მომზადდა შესაბამისი დოკუმენტაცია და შუამდგომლობები ევროკავშირის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ეკვადორის, ჩილეს რესპუბლიკის, სერბეთის რესპუბლიკის, სომხეთის რესპუბლიკის, აზერბაიჯანის რესპუბლიკის, თურქეთის რესპუბლიკის, ერაყის რესპუბლიკის, უკრაინის, ავსტრალიის, კანადის, ინდოეთის, ქუვეითის, ყატარის, ბანგლადეშის, მოლდოვას, ისრაელის სახელმწიფოს, ყაზახეთის, სერბეთის, ბრაზილიის, ნამიბიისა და უზბეკეთის კომპეტენტურ სამსახურებთან ქართული კომპანიებისთვის ექსპორტის უფლების მინიჭების მიზნით;
- მომზადდა ინფორმაცია ევროკავშირის ჯანმრთელობისა და სურსათის უვნებლობის გენერალური დირექტორატისათვის (DG SANTE) თაფლთან დაკავშირებული ოფიციალური კონტროლის ზომების თაობაზე ევროკომისიის კითხვარის შესაბამისად და ასევე საქართველოდან ევროკავშირში გაგზავნილი პროდუქციის წინასაექსპორტო შემოწმებების შესახებ.

სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

www.sla.gov.ge



ლაბორატორიის საქმიანობის სფერო

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის (SLA) საქმიანობის ძირითად სფეროს წარმოადგენს ცხოველთა (მ.შ. ფრინველი, თევზი, ფუტკარი) დაავადებებისა და მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა, ასევე სურსათისა და სასმელი წყლის კვლევა.

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქსელში შედის თბილისის ლაბორატორია, ორი ზონალური დიაგნოსტიკური ლაბორატორია ქუთაისსა და ახალციხეში; ათი რეგიონული ლაბორატორია გორში, მარნეულში, დუშეთში, გურჯაანში, ამბროლაურში, ოზურგეთში, ზუგდიდში, ბათუმში, საჩხერესა და მესტიაში.

ლაბორატორია, კომპეტენციის ფარგლებში, ჩართულია ქვეყნის მასშტაბით დაავადების კერის სალიკვიდაციო და საკარანტინო ღონისძიებებში, ლაბორატორიის ქსელი ხელს უწყობს ახალი სადიაგნოსტიკო მეთოდების აპრობაციასა და დანერგვას.



● რეგიონული დიაგნოსტიკური ლაბორატორია
● რეგიონული ლაბორატორია

ეროვნული რეფერენს სტატუსი

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ფლობს ეროვნულ რეფერენს სტატუსს, აღნიშნული სტატუსით ლაბორატორიას ეძლევა უფლებამოსილება, ჩაატაროს რეფერენტული გამოცდები სადაო საკვლევ ნიმუშებზე.

ამასთანავე, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიას აქვს უფლებამოსილება ჩაატაროს სწავლებები, ყველა დაინტერესებული სპეციალისტების გადამზადებისა და სხვადასხვა კვლევის მეთოდის დანერგვის მიზნით.

ხარისხის მართვა ლაბორატორიაში

- ეროვნული აკრედიტაციის ცენტრის მიერ ჩატარდა გეგმური შემოწმების და დამატებითი სფეროს აკრედიტაციის სამუშაოები, შემოწმების შედეგების მიხედვით ლაბორატორიას გაუგრძელდა აკრედიტაციის სერტიფიკატის ფლობის უფლება, მოხდა აკრედიტაციის სფეროს გაფართოება ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის და სურსათის კვლევის მიმართულებით.
- ლაბორატორიამ წარმატებით გაიარა აკრედიტაცია პოლიმერების ტესტირების მიმართულებით.
- ლაბორატორიის დირექტორის ბრძანებით შექმნილი აუდიტის ჯგუფისთვის ორგანიზებულ იქნა და ჩატარდა ტრენინგი „შიდა აუდიტი საგამოცდო ლაბორატორიებისთვის“.
- ლაბორატორიის თანამშრომლებისთვის ორგანიზებულ იქნა ტრენინგი - “ანალიზური მონაცემების დამუშავება და შედეგების ინტერპრეტაცია; გაბომვისა და ანალიზის მეთოდის განუსაზღვრელობის შეფასება“.
- ორგანიზებულ იქნა და ჩატარდა ლაბორატორიათშორისი შედარებები:
 - ბრუცელაზი-(RBR,FPA) - მონაწილეობდნენ: ქუთაისის, ახალციხის, ბათუმის, ოზურგეთის, ბუგდიდის, მესტიის, ამბროლაურის, საჩხერის, გორის, დუშეთის, მარნეულისა და გურჯაანის ლაბორატორიები.
 - ჯილეხი, სალმონელა - მონაწილეობდნენ: ქუთაისისა და ახალციხის ლაბორატორიები.
 - ცოფი - მონაწილეობდნენ: ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის დეპარტამენტის სპეციალისტები.
 - საერთაშორისო საკვალიფიკაციო ტესტირებები: ცხოველთა დაავადებების დიაგნოსტიკის დეპარტამენტი - (PPR,Capripox,Avian Influenza,FMD,Brucella); სურსათის კვლევის დეპარტამენტი - (E.coli mineral water and table water); ახალციხის ლაბორატორია - (PPR).
 - ლაბორატორიათშორისი შედარება აჭარის ლაბორატორიული კვლევის ცენტრთან (ნემატოდების იდენტიფიკაცია ნიადაგში).
 - ლაბორატორიათშორისი შედარება შპს ციტო 2-თან (ხორცის სახეობრივი იდენტიფიკაცია).

- ლაბორატორიათმორისი შედარება შპს გლობალ ტესტთან (ჰისტამინის განსაზღვრა თევზში).
- საერთაშორისო ლაბორატორიათმორისი შედარება კომპანია LTD „Symphony environmental“ პლასტიკის მასალის მიკროფრაგმენტებად დაშლა (დეგრადაციის ხარისხი).
- განხილულ იქნა და გადაეცა დირექტორს დასამტკიცებლად: 167 სტანდარტული ოპერაციული პროცედურა, 64 ვერიფიკაციის დოკუმენტი, 41 ფორმა, 2 ხარისხის ძირითადი პროცედურა.
- სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქსელში ჩატარდა ხარისხის მენეჯმენტის სისტემის გეგმური შიდა აუდიტი.
- აკრედიტაციის ეროვნულ ცენტრში შეტანილ იქნა განაცხადი სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის 2025 წლის განახლებადი აკრედიტაციის შესახებ.



ლაბორატორიის თანამშრომელთა გადამზადება / პროფესიული კომპეტენციის ტესტირების პროგრამა

ლაბორატორიაში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა, როგორც სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ასევე, ლაბორატორიის თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობას; უწყვეტად ხდება კადრების გადამზადება ლაბორატორიული კვლევის ახალი მეთოდების დანერგვის მიმართულებით. ლაბორატორიის პერსონალს უტარდება სხვადასხვა სახის ტრენინგები.

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ჩართულია პროფესიული კომპეტენციის ტესტირების პროგრამაში. ეს იმას ნიშნავს, რომ ლაბორატორია აბარებს გამოცდებს პროფესიულ კვლევებში. მსგავს აქტივობებში მონაწილეობა წარმოადგენს როგორც ლაბორატორიის მიერ დამკვეთისათვის შეთავაზებული ტესტირების უტყუარობის და ვალიდურობის ობიექტურ დადასტურებას, ასევე აკრედიტაციის შენარჩუნების ერთ-ერთ სავალდებულო პირობას.

პროფესიული განათლების ხელშეწყობა

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ცდილობს მაქსიმალურად დაეხმაროს სასწავლო საგანმანათლებლო დაწესებულებებს მომავალი სპეციალისტების აღზრდაში. ლაბორატორიაში აქტიურად მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლებიდან და უნივერსიტეტებიდან სტუდენტების ჩართვა საწარმოო პრაქტიკაში მათი მომავალი დასაქმების მიზნით. ამის საფუძველზე, საგრძნობლად გაიზარდა ახალგაზრდა კვალიფიციური ადამიანური რესურსი. აღსანიშნავია, რომ თანამშრომლების მიღების შემდეგ გრძელდება მათი პროფესიული განვითარება. დასაქმებულმა სტუდენტებმა უკვე მიიღეს მონაწილეობა რიგ სამუშაო სწავლებებსა და ტრენინგებში.

2024 წლის 1 აგვისტოდან სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია ჩაერთო ანაბლაურებადი სტაჟირების სამთავრობო პროგრამაში. ამ ეტაპზე ლაბორატორიის სხვადასხვა დეპარტამენტებში სტაჟირებას გადის 5 სტუდენტი.


სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია პროფესიული განათლების ხელშეწყობის მიზნით ჩართულია სხვადასხვა პროექტებში და აქტიურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან.

სტატისტიკა

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულია 550 000-ზე მეტი სხვადასხვა დასახელების ანალიზი.

აღინიშნებოდა როგორც კერძო პირების, ასევე იურიდიული პირების მოდინება. ლაბორატორიის ფუნქციონირება ორიენტირებულია მომხმარებელზე, ამიტომ მომხმარებელთა მოთხოვნილების და მოლოდინის განსაზღვრა, დაკმაყოფილება, მუდმივი სრულყოფა ლაბორატორიის თითოეული თანამშრომლის მთავარი ამოცანაა.

წლების განმავლობაში სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში დიაგნოსტიკის სფეროს გაფართოებასთან ერთად იზრდება მომხმარებელთა მომართვიანობა, რაც აისახება შემოსული ნიმუშებისა და ჩატარებული კვლევების მაჩვენებელზე (იხ. დიაგრამა).



ბიოდაცვა და ბიუსაფრთხოება

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის თანამშრომლებს ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების ბიუსაფრთხოების და ბიოდაცვის ტრენინგები. კერძოდ:

- 10 თანამშრომელს ჩაუტარდა ბიუსაფრთხოების მე-3 დონის განახლებადი ტრენინგი.
- 2 თანამშრომელს ჩაუტარდა სრული შრომის უსაფრთხოების, ბიუსაფრთხოების და ბიოდაცვის განახლებადი ტრენინგი ონლაინ.
- 60 სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის თანამშრომელს ჩაუტარდათ შრომის უსაფრთხოების, სახანძრო უსაფრთხოების, ბიუსაფრთხოების და ბიოდაცვის ტრენინგები შერეული ფორმატით ადგილზე და დისტანციურად.
- 56 სტაჟიორმა, პრაქტიკანტმა და სპეციალისტმა გაიარა შრომის უსაფრთხოების, ბიუსაფრთხოების და ბიოდაცვის მოკლე ვადიანი ტრენინგი ადგილზე.

ლაბორატორიის ბიუსაფრთხოების ოფიცერმა მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო კონფერენციებში და სწავლებებში ბიუსაფრთხოების და ბიოდაცვის, რისკის შეფასების და საფრთხეების იდენტიფიკაციის საკითხებში როგორც არის:

- სპეციალური კომიტეტის ყოველწლიური შეხვედრა/ვორქშოპი ბიოლოგიური რისკის საფრთხეების შეფასებისთვის („Special Committee of Biorisk Management Annual Meeting and Biorisk Tier C Community of Practice Workshop“).
- სწავლება ტრენინგებისთვის (TTT) ლაბორატორიული ბიოლოგიური რისკის შეფასებისა და ტრენინგის უნარების შესახებ („Train-the-Trainer (TTT) follow-up program on Laboratory Biological Risk Assessment and Trainer Skills“).
- ევროპის ბიუსაფრთხოების ასოციაციის (EBSA) ყოველწლიური კონფერენცია (Annual Conference of the European Biosafety Association (EBSA)).
- წინა საკონფერენციო კურსი, სახელწოდებით ბიოლოგიური რისკის შეფასება – ქალაქიდან პრაქტიკამდე („Pre-conference course, titled "Biological Risk Assessment – From Paper to Practice“).

რეგიონული ლაბორატორიები

სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის რეგიონული ლაბორატორიები თბილისის ცენტრალურ ლაბორატორიასთან შედარებით მხირე ზომის, თუმცა მნიშვნელოვანი ფუნქციების მქონე ლაბორატორიებია. რეგიონულ ლაბორატორიებში მიმდინარეობს რუტინული კვლევები, რაც მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს ადგილზე მარტივად და სწრაფად მიიღონ კვლევის შედეგები.

გამომდინარე იქიდან რომ რეგიონებში მეცხოველეობის დარგი განვითარებულია, სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის რეგიონული ლაბორატორიები განსაკუთრებული დატვირთვით მუშაობენ.

რეგიონებში არსებული მოთხოვნებიდან გამომდინარე ლაბორატორიებში მიმდინარეობს ახალი კვლევის მეთოდების შესწავლა, დანერგვა და აკრედიტაცია.

ღონისძიებები და PR აქტივობები

2024 წლის განმავლობაში სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიაში გაიმართა არა ერთი ღონისძიება - სამუშაო შეხვედრები, ტრენინგები, რეგიონებში ვიზიტები და ა.შ.

აქტიურად მიმდინარეობდა ლაბორატორიის მიღწევებისა და სიახლეების გავრცელება შესაბამის პლატფორმებზე.

დაიბეჭდა და გავრცელდა საცნობარო ლიტერატურა ლაბორატორიის საქმიანობის შესახებ.

- ლაბორატორიაში გაიმართა:
 - სტაჟირების პროგრამა სტუდენტებისთვის.
 - სტუდენტების პროფესიული გადამზადება.
 - მოსწავლეებისა და სტუდენტების ვიზიტი ლაბორატორიაში.
 - ლაბორატორიის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო პროექტებში.
 - სპეციალისტები სასწავლო ვიზიტით იმყოფებოდნენ საზღვარგარეთ სხვადასხვა პარტნიორ ლაბორატორიებში.
 - თბილისის ლაბორატორიაში სწავლებები ჩატარდათ სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ქსელის რეგიონული ლაბორატორიებისა და პარტნიორი ლაბორატორიების სპეციალისტებს.
 - საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლების ვიზიტი თბილისის ლაბორატორიაში.
 - ლაბორატორიის ორგანიზებით საერთაშორისო დონის სწავლებები ვეტერინარიის, სურსათის კვლევისა და მცენარეთა დაავადებების დიაგნოსტიკის მიმართულებით.
- გაიმართა შეხვედრები:
 - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე, სოლომონ პავლიაშვილისა და სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის დირექტორის ვიზიტები: ქუთაისსა და ბათუმში.
 - მეწარმეებთან და თევზმომშენებელ ფერმერებთან.
 - აჭარის ა/რ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებთან.

მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკის დეპარტამენტი

- 2024 წლის განმავლობაში შემუშავდა და დაინერგა 18 კვლევა და 1 მეთოდი:
- *Curtobacterium flaccumfaciens* pv. *flaccumfaciens* იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციის მეთოდით.
- აღმოსავლური ნაყოფჭამიას *Grapholita molesta* - ს მორფოლოგიური იდენტიფიკაცია.
- ბაქტერიოზის გამომწვევის *Pseudomonas viridiflava*-ს გამოვლენა და იდენტიფიკაცია კლასიკური ბაქტერიოლოგიური მეთოდით.
- ვაზის დაავადების ეუტიპოზის გამომწვევის *Eutypa lata*-ს გამოვლენა და მორფოლოგიური იდენტიფიკაცია.
- ვაშლის ქერქის კიბოს გამომწვევი *Neofabraea alba*-ს და ვაშლის ანთრაქნოზის გამომწვევის *Neofabraea malicorticis* გამოვლენა და მორფოლოგიური იდენტიფიკაცია.
- ფესვის დაავადების *Roselinia necatrix*-ის გამოვლენა და მორფოლოგიური იდენტიფიკაცია.
- ფესვის მეგალე ნემატოდების სახეობების *Meloidogyne hapla*-ს, *Meloidogyne enterolobi*-ის იდენტიფიკაცია პოლიმერაზულ ჯაჭვური რეაქციით.
- გუავას ფესვის მეგალე ნემატოდის *Meloidogyne enterolobi*-ის მორფოლოგიურ-მორფომეტრული იდენტიფიკაცია.
- ეგვიპტური ბამბის ხვატარის *Spodoptera littoralis* -ს მორფოლოგიური იდენტიფიკაცია.
- იავური გალიანი ნემატოდის *Meloidogyne javanica*-ის მორფოლოგიურ-მორფომეტრული დახასიათება და იდენტიფიკაცია.



მიმდინარე სამუშაოების საფუძველს წარმოადგენს „მიწის რესურსების ინტეგრირებულ მონაცემთა ბაზის შექმნისა და განვითარების კონცეფცია“. აღნიშნული დოკუმენტის პრინციპების შესაბამისად განისაზღვრა მიწის საინფორმაციო სისტემის შექმნის, განვითარებისა და მართვის პროცესები, ჩამოყალიბდა ანალიტიკურ-სამოქმედო, საბაზო მატრიცები და საჭირო ღონისძიებები. მიწის რესურსების შესახებ მონაცემები იქმნება 2010-2023 წლების რეტროსპექტიული ორთოფოტო გამოსახულების დეშიფრაციისა და სხვადასხვა არსებული სივრცული ინფორმაციის ინტეგრაციის საშუალებით.

საქართველოში ბევრი უწყება, მათ შორის, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალი, ავითარებს გეოსაინფორმაციო სისტემებს, თუმცა მხოლოდ ვიწრო უწყებრივი საჭიროებებიდან გამომდინარე. მოხდა ყველა მათგანის იდენტიფიცირება, მათი მონაცემების ინტეგრაცია და დამუშავება. აერო და სატელიტური სურათების საფუძველზე შექმნილი ორთოფოტოგეგმების დეშიფრირება ხორციელდება „კორინის“ კლასიფიკატორის 44 კლასის მიხედვით, ევროკავშირის მიერ შემუშავებული ეს სტანდარტული კლასიფიკატორი საქართველოს შემთხვევაში ადაპტირდა ქვეყნის გეოგრაფიულ მოცემულობასთან. მიწის დაფარულობის დეშიფრირებული მონაცემები მიიღება როგორც ორთოფოტოგეგმების, ასევე ტოპოგრაფიული რუკების, მიწათსარგებლობის გეგმებისა და სხვა წყაროებიდან, მათ შორის საველე გადამოწმებიდან.

მიმდინარე სამუშაოების შედეგად, ქვეყნის ტერიტორია (გარდა ოკუპირებული ტერიტორიებისა), სრულად დაიფარა 1:2000-ანი მასშტაბის ადაპტირებადი დიგიტალური ფენებით, რაც შესაძლებელს გახდის შეიქმნას მიწათსარგებლობის თემატური რუკები და მიწის საინფორმაციო სისტემა, ასევე, საჭიროების მიხედვით, პერიოდულად გამოქვეყნდეს მიწის ბალანსი.

მიწის საინფორმაციო სისტემის საშუალებით, სააგენტო, საქართველოს სახელმწიფოს მთელს ტერიტორიაზე, მომავალში, უზრუნველყოფს მიწის რესურსებზე (მიწათდაფარულობა და მიწათსარგებლობა) ერთიან, სანდო, ზუსტ, ერთგვაროვან და დიგიტალური გეო-ინფორმაციით სარგებლობას, მიწის ერთიანი და ერთგვაროვანი ბალანსის, სხვადასხვა სახის სტატისტიკური ანგარიშების დამუშავებასა და საჯაროობას, მიწის რესურსების გამოყენებაზე ფართო სპექტრის მომხმარებლების საინფორმაციო ვებ-სერვისებით მომსახურებას. მიწის საინფორმაციო სისტემის სრულყოფა განხორციელდება პერმანენტულად, მსოფლიოს საუკეთესო პრაქტიკის გათვალისწინებით.

მომავალში მიწის საინფორმაციო სისტემის სერვისებზე საჯარო წვდომა მნიშვნელოვნად გააძლიერებს პროფესიული და არასამთავრობო სექტორების, სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური წრეების მონაწილეობას მდგრადი მიწათსარგებლობის პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაში. იმავდროულად, სისტემა, როგორც ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ინსტრუმენტი, გაზრდის ფერმერთა ხელმისაწვდომობას ადგილობრივი და საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების სერვისებსა და ფინანსურ რესურსებზე. აღნიშნული ღონისძიებები საფუძველს ჩაუყრის მიწის ბაზრის განვითარებასა და აგრარული სექტორის გაძლიერებას.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამა

საძოვრების რაციონალური გამოყენება, დეგრადაციის პრევენცია და მეცხოველეობის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამის მიზანს, რომელსაც სააგენტო 2021 წლიდან ახორციელებს.

2021-2024 წლებში 12 ეტაპად ჩატარდა განაცხადების მიღება. პროგრამაში ჩართვის მსურველი ფერმერებისთვის მთავარი მოთხოვნა მსხვილფეხა ან/და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ფლობაა, საძოვრის იჯარით განკარგვის უფლება კი მხოლოდ ზღვრული დატვირთვის ნორმის მიხედვით არის შესაძლებელი, რაც ერთი სული მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის შეადგენს არანაკლებ 1-ს და არაუმეტეს 1.5-ჰექტარს, ხოლო ერთ სულ წვრილფეხა რქოსანი პირუტყვისთვის - არანაკლებ 0.2-ს და არაუმეტეს 0.5 ჰა საძოვარს.

2024 წლის განმავლობაში იჯარის ხელშეკრულება გაფორმდა 89 მიწის ნაკვეთზე, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 9395 ჰექტარს. პირდაპირი წესით იჯარით გაიცა 72 მიწის ნაკვეთი, ფართობით 6 516 ჰა, ხოლო აუქციონის წესით 17 მიწის ნაკვეთი ფართობით 2 879 ჰა. აუქციონის გზით იჯარით გაცემულ საძოვრებზე ჯამურმა წლიურმა საიჯარო თანხამ შეადგინა 402 103 ლარი (საშუალოდ ჰექტარზე - 140 ლარი), ხოლო პირდაპირი გზით გაცემულ საძოვრებზე - ჯამურად 79 625 ლარი.


2024 წელს იდენტიფიცირდა პროგრამის პირობებთან შესაბამისობაში მყოფი 204 საძოვრის კატეგორიის ახალი მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 13 326 ჰექტარი, საიდანაც შესაბამისი სახელმწიფო უწყებების მხრიდან მიღებული იქნა თანხმობა 57 ნაკვეთის იჯარით გაცემაზე, ფართობით 4 648 ჰექტარი.



საანგარიშო პერიოდში, პროგრამის ფარგლებში 16 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთს მიენიჭა საძოვრის კატეგორია, რომლის საერთო ფართობი შეადგენს 2 680 ჰექტარს.

2025 წელს დაგეგმილია 5,000 ჰექტარამდე ფართობის საძოვრის იჯარით გაცემა.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის 2021-2024 წლების მაჩვენებლები:



ქარსაფარი ზოლების (მინდორდაცვითი) ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამა

კლიმატის ცვლილებით გამოწვეული ნეგატიური პროცესებისა და ნიადაგის ქარისმიერი ეროზიის შესამცირებლად სახელმწიფომ ქარსაფარი ზოლების დაცვა პრიორიტეტად გამოაცხადა და ქვეყანაში კანონი აამოქმედა. კანონი პირველ ნაბიჯად ითვალისწინებს ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაციას და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ქარსაფარის სტატუსით რეგისტრაციას. ჩატარებული სამუშაოების საფუძველზე შემდგომ ეტაპზე მოხდება მათი აღდგენა-გაშენება და მოვლის ღონისძიებების განხორციელება.

კამერალურად დამუშავებული საარქივო მასალების მიხედვით, ქარსაფარი ზოლებით დაფარულმა სავარაუდო ფართობმა შეადგინა 19649 ჰექტარი, ხოლო სამიზნე მაჩვენებლად განისაზღვრა 18326,11 ჰექტარი, რაც ოკუპირებული ტერიტორიების გამოკლებით ფართობს წარმოადგენს.

პროგრამა 2021 წელს დაიწყო და 2024 წლის ჩათვლით, ჯამში, ინვენტარიზებულია 6675.22 ჰექტარი 12 მუნიციპალიტეტში, აქედან ქარსაფარის სტატუსი მინიჭებული აქვს და საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებულია 3556.6 ჰექტარი ქარსაფარი ზოლი.

2024 წელს ინვენტარიზაცია დასრულდა 2684.57 ჰექტარ ფართობზე: გარდაბნის, თეთრიწყაროს, ბოლნისის, წალკისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში. ინვენტარიზებულ ქარსაფარ ზოლებს უკვე მიენიჭა ქარსაფარი ზოლის სტატუსი და მიმდინარეობს მათი საჯარო რეესტრში სარეგისტრაციოდ წარდგენის პროცესი.

2024 წლის განმავლობაში სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, უძრავი ნივთების უფლებათა რეესტრში აღრიცხულია 4373 ერთეული ქარსაფარი ზოლის სტატუსით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, საერთო ფართობით 1850.07 ჰა (მუნიციპალიტეტები: დედოფლისწყარო, დუშეთი, კასპი, ქარელი და თეთრიწყარო).



2021-2024 წლებში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგები

წელი	მუნიციპალიტეტი	დაგეგმილი სავარაუდო ფართობი (ჰა)	ინვენტარიზებული ფართობი (ჰა)	რეგისტრირებული ფართობი (ჰა)
2021	თელავი	430	355.08	328.73
2022	მარნეული	351	345.7	313.67
	საგარეჯო	529	571.14	417.33
2023	დედოფლისწყარო	1313.17	1503.29	1309.66
	ქარელი	819	499.72	418.99
	კასპი	843.2	560.83	465.50
	დუშეთი	177.5	154.89	80.63
	გარდაბანი	2344.1	1885.25	
2024	დმანისი	210	224.31	
	წალკა	82.54	117.48	
	თეთრიწყარო	203.65	248.23	222.09
	ბოლნისი	159.23	209.3	

2025 წლისთვის დაგეგმილია თიანეთის, მცხეთის, გორისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში ქარსაფარი ზოლების ინვენტარიზაცია 3056.52 ჰექტარ ფართობზე.

მიწათსარგებლობის მონიტორინგი

მიწათსარგებლობის მონიტორინგი სააგენტოს საქმიანობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს. სხვადასხვა პროგრამების ფარგლებში სააგენტო ახორციელებს მიწის ნაკვეთების სავალდებულო დათვალიერებას.

2024 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა იჯარით გაცემული საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთებით სარგებლობასთან დაკავშირებით, საიჯარო ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისი წესით მონიტორინგი, ადგილზე დათვალიერება და შესაბამისი აქტების მომზადება. პროგრამის ფარგლებში, ხობის, დედოფლისწყაროს, დმანისის, ნინოწმინდის, საგარეჯოსა და სიღნაღის მუნიციპალიტეტებში განხორციელდა საძოვრის მოიჯარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი. ამ მიზნით სავალდებულო მონიტორინგი განხორციელდა 124 ნაკვეთზე, ფართობით -11129.08 ჰექტარი.


საანგარიშო პერიოდში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსზე ხელმისაწვდომობის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, პირდაპირი წესით პრივატიზაციის განხორციელების მიზნით, მონიტორინგი განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის 34 ნაკვეთზე, რომლის ფართობი შეადგენს 147.11 ჰექტარს. პროგრამის განმახორციელებელია ქონების ეროვნული სააგენტო.

არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილებასთან დაკავშირებით მონიტორინგი განხორციელდა 83 მიწის ნაკვეთზე, რომლის ფართობი შეადგენს 51.86 ჰექტარს.




ამავე პერიოდში სააგენტომ განახორციელა კონტრაქტორი კომპანიის მიერ ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის პროგრამის ფარგლებში ჩატარებული სამუშაოების ინსპექტირება გარდაბნის, დმანისის, თეთრიწყაროს, ბოლნისის და წალკის მუნიციპალიტეტებში, ჯამში, 1372 ნაკვეთზე საერთო ფართობით - 584.41 ჰექტარი. 2021-24 წლების პერიოდში პროგრამის ფარგლებში დათვალიერებულია 2336 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთი.


2023-24 წლებში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული საძოვრების ხელმისაწვდომობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დათვალიერდა 171 საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 17510.51 ჰექტარი:



2021-24 წლებში „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რესურსებზე ხელმისაწვდომობის პროგრამის“ ფარგლებში დათვალა 294 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 2262.65 ჰექტარი:



2021-24 წლებში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების ფარგლებში სულ დათვალა 239 მიწის ნაკვეთი, საერთო ფართობით 136,96 ჰექტარი:



სააგენტომ ასევე, „საქართველოს მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის ეროვნული მიზნების მიღწევა დეგრადირებული საძოვრების აღდგენისა და მდგრადი მართვის გზით“ პროექტის ფარგლებში, უზრუნველყო ახალციხის მუნიციპალიტეტში საძოვრების ინვენტარიზაციისა და კატეგორიზაციის საპილოტო პროექტთან დაკავშირებით წარმოდგენილი ინვენტარიზაციის მასალების ანალიზი და განახორციელა კატეგორიის გარეშე რეგისტრირებული 115 სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის, ფართობით - 6657 ჰექტარი, საძოვრის კატეგორიით საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის სათანადო პროცედურები.

საქართველოს მელიორაცია



ag.ge


მიწების მელიორაცია, სარწყავი და დამშრობი სისტემების მშენებლობა, ექსპლუატაცია და მართვა მნიშვნელოვან სფეროს წარმოადგენს, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყანაში ინტენსიური და ეფექტიანი სასოფლო-სამეურნეო წარმოებისთვის საჭირო პირობების შექმნა. გამართული სამელიორაციო ინფრასტრუქტურა მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას, იგი უხვი და ხარისხიანი მოსავლის წინაპირობაა.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ ქვეყნის მასშტაბით სარეაბილიტაციო პროექტებს ფორსირებულ რეჟიმში ახორციელებს.

2012 წლიდან, სამელიორაციო ინფრასტრუქტურის აღდგენა-რეაბილიტაციისთვის ბიუჯეტიდან სოლიდური თანხები დაიხარჯა. შედეგად, დღეისათვის 210 ათასი ჰექტარი ფართობია მელიორირებული. ეს ნიშნავს იმას, რომ ფაქტობრივად, ახალი სიცოცხლე დაუბრუნდა მიწას.

2012 წლისთვის, საქართველოში წყალუზრუნველყოფილი ფართობი 45 000 ჰექტარამდე, ხოლო დრენირებული 14 000 ჰექტარი იყო. უკანასკნელ წლებში განხორციელებული სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების და გატარებული ღონისძიებების შედეგად აღმოსავლეთ საქართველოში წყალუზრუნველყოფილი ფართობების რაოდენობა თითქმის გაოთხმაგდა და დაახლოებით 165 000 ჰექტარია. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, დაახლოებით სამჯერ გაიზარდა დრენირებული ფართობების რიცხვიც და მისი რაოდენობაა 45 000 ჰექტარი.

ფართობების წყალუზრუნველყოფისა და დრენირების დინამიკა



2024 წელს დასრულდა 35,9 მლნ ლარის ღირებულების 46 სარეაბილიტაციო კაპიტალური პროექტი.

განხორციელებული მნიშვნელოვანი პროექტები

ზემო ალაზნის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

შედეგი: წყალბრუნველყოფა 400 ჰექტარი

ღამი-მისაქციელის სარწყავი სისტემის რეაბილიტაცია

შედეგი: წყლის დანაკარგის მნიშვნელოვანი შემცირება; ასეულობით ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე წყალბრუნველყოფის გაუმჯობესება.

ხრამ-არხის სარწყავი სისტემის I რიგის წყალგამანაწილებლის რეაბილიტაცია (წმინდათა არხი)

შედეგი: წყალბრუნველყოფის გაუმჯობესება 1385 ჰექტარზე



სოფელ სამთაწყაროს მექანიკური მორწყვის სისტემების I და II რიგის გამანაწილებელი ქსელის რეაბილიტაცია

შედგენი: წყალბრუნველყოფა 435 ჰექტარი

„ლაკბეს“ წყალსაცავში წყლის დარეგულირების და ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალურ არხში წყლის მიწოდების გაუმჯობესება

შედგენი: წყალბრუნველყოფის გაუმჯობესება 2755 ჰექტარი

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხის I რიგის გამანაწილებლების რეაბილიტაცია

შედგენი: წყალბრუნველყოფა 455 ჰექტარი



ტექნიკური ექსპლუატაციის ღონისძიებები:

- გაიწმინდა 1778 კილომეტრი სიგრძის სამელიორაციო არხი; შეკეთდა ან შეიცვალა 55 კმ სიგრძის მილსადენი და 5.9 კმ დარული ქსელი; შეკეთდა 122 ერთეული მსხვილი ჰიდროტექნიკური ნაგებობა (სატუმბი სადგური, სათავე ნაგებობა კაშხალი, დიუკერი, გვირაბი, გალერეა, აკვედუკი); გარემონტდა/შეიცვალა 2623 სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობა (ფარები, ურდულები, წყალგამყოფი კვანძები, ტუმბოები, ელექტრო და მექანიკური მოწყობილობები);
- განხორციელდა სატუმბი სადგურების, წყალსაცავებისა და კაშხლური ტიპის სათავე ნაგებობების პასპორტიზაცია და ძველი ინფორმაციის ერთიან სისტემაში მოყვანა. მომზადებულია 57 სატუმბი სადგურის პასპორტი, რომლის განახლება ყოველ კვარტალში მოხდება ელექტრონული სახით. ასევე, მომზადდა და დამუშავდა 24 წყალსაცავის და 34 კაშხლური ტიპის სათავე ნაგებობის პასპორტი.

კომპანია გეგმავს “ტექნიკური აწვის სისტემების სატუმბი სადგურების მოდერნიზაციასა და ოპტიმიზაციას”.

პროექტის მიზანია:

- მექანიკური მორწყვის სისტემების სატუმბი სადგურების მოდერნიზაცია-აღჭურვა და ოპტიმიზაცია, აღჭურვილობის კატეგორიისა და ტიპების სტანდარტიზაცია, სისტემის მართვის ხარჯების შემცირების მიზნით, მათ სამომსახურეო ზონაში არსებული (ბრუტო, საპროექტო) სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მორწყვის მომსახურების გარანტირებულად უზრუნველყოფა.
- არსებული შესაძლებლობის რაციონალურად გამოყენების ფარგლებში, ობიექტების რეკონსტრუქცია და მოდერნიზაცია თანამედროვე ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის გამოყენებით, ასევე ობიექტების შესაბამისი სიმძლავრის ელექტროფიკაციის გარანტირებულად უზრუნველყოფა.
- სისტემის მართვისა და ტექნიკური ხარჯების შემცირება თანამედროვე საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის აგებით, სისტემის ყველა ობიექტის დისტანციური მონიტორინგის შესაძლებლობის უზრუნველყოფით, სისტემის მუშაობის ავტომატიზაციის SCADA სისტემის გამოყენებით.
- ელექტრონული და მექანიკური დანადგარებისა და მოწყობილობების გამართული, საიმედო და უსაფრთხო ფუნქციონირების უზრუნველყოფა, ტექნიკური პარამეტრებით და სტანდარტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

წყალსაცავები

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში მდინარეთა წლიური ჩამონადენის არათანაბარი განაწილების გამო, სავეგეტაციო რწყვის პერიოდში ვერ ხერხდება სარწყავ წყალზე წყალმოთხოვნილების სრულად დაკმაყოფილება, განსაკუთრებით პიკური წყალმოთხოვნილების (ივლისი-აგვისტო) პერიოდში. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ცვალებად ბუნებრივ კლიმატურ პირობებზე დამოკიდებულების მინიმუმადე დაყვანისა და მაღალი დამატებითი ღირებულების პროდუქციის წარმოების უზრუნველსაყოფად, საქართველოს მელიორაცია დიდ ყურადღებას უთმობს წყალსაცავების რეაბილიტაცია-მშენებლობის საკითხს. მიმდინარე წელს განხორციელდა იაყუბლოსა და ლაკბეს წყალსაცავების რეაბილიტაცია.

იაყუბლოს წყალსაცავი

რეაბილიტაციის შედეგად, წყალუზრუნველყოფა გაუმჯობესდა 3 000 ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობზე.

ლაკბეს წყალსაცავი

რეაბილიტაციის შედეგად უზრუნველყოფილი იქნება ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის გ-41 და გ-42 გამანაწილებლებისათვის (1,500 ჰა) დამატებითი კვება.

საქართველოს მთავრობის განკარგულებით გათვალისწინებულია ირიგაციული დანიშნულების ილტოს წყალსაცავის მშენებლობა და ამ მიზნით წინასწარი შეფასებისთვის საჭირო შესაბამისი კვლევების განხორციელება. ამის გათვალისწინებით კომპანიაში მომზადებულია შესაბამისი ტექნიკური დავალება.

პროექტი ითვალისწინებს კახეთის რეგიონში ზემო და ქვემო ალაზნის სარწყავი სისტემების ზონაში მოქცეული 43,000 ჰა სასოფლო - სამეურნეო სავარგულის სარწყავი წყლით გარანტირებულ უზრუნველყოფას. გვალვების პერიოდში შესაძლებელი იქნება ამ ფართობების გარანტირებული წყალუზრუნველყოფა.



იაყუბლოს წყალსაცავი



ლაკბეს წყალსაცავი

საირიგაციო წყლის აღრიცხვის სისტემისა და მეთოდოლოგიის გაუმჯობესება

წყლის გაზომვა / აღრიცხვის კვანძების მოწყობა

- 2023 წელს ორ სარწყავ სისტემაზე დამონტაჟდა უკონტაქტო რადარული ხარჯმომომი, რომლებიც განთავსებულია ზემო სამგორისა და გარდაბნის მაგისტრალურ არხებზე, საიდანაც დისტანციურად ვიღებთ ინფორმაციას (5 წუთში ერთხელ ხდება მონაცემების განახლება); 2024 წელს მიმდინარეობდა დაკვირვებები და საკონტროლო გაზომვები უკონტაქტო რადარულ ხარჯმომომებზე, რომელმაც საკმაოდ დადებითი შედეგი აჩვენა. შესაბამისად, მიმდინარე წელს გეგმაში შეტანილ იქნა 15-მდე ერთეული მსგავსი ტიპის უკონტაქტო რადარული ხარჯმომომები, რომლის შესყიდვა-მონტაჟი განხორციელდება 2025 წელს;
- უკონტაქტო რადარული ტიპის ხარჯმომომები განთავსდება წინასწარ შერჩეულ შედარებით მსხვილ მაგისტრალებზე, სადაც წყლის მიწოდება ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში, მათ შორის ჰესებისთვის და თევზის მეურნეობებისთვის;
- მოეწყო ჰიდრომეტრიული საგუშაგოები და განხორციელდა ტარირება 34-მდე სხვადასხვა არხზე, რაც საშუალებას იძლევა წყალი აღრიცხოს მექანიკური საშუალებით;
- მიმდინარეობს შესაბამისი სამუშაოები 67-მდე ლოკაციაზე, სადაც უნდა მოეწყოს ჰიდრომეტრიული საგუშაგოები და განხორციელდეს ტარირება წყლის აღრიცხვის მიზნით;
- 2024 წელს სემეკის მიერ დამტკიცებული იქნა არაპროფილურ მომხმარებელთა გამრიცხველიანების გეგმა, რომელიც დაიწყო მიმდინარე წლის ბოლო კვარტალში და უნდა დასრულდეს 2025 წლის მე-2 კვარტლის ბოლოს;
- 2024 წელს მოეწყო 15 ერთეული აღრიცხვის კვანძი სათევზე მეურნეობებისთვის, სემეკის მიერ დამტკიცებული დანართების შესაბამისად.

სამელიორაციო დანიშნულების არხების და მათზე ჩამოკიდებული ფართობების ინჰენტიარაცია

კომპანიაში შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის მიერ შპს „საქართველოს მელიორაციისთვის“ დადგენილი ვალდებულებების გათვალისწინებით:

- მუშაობს სამელიორაციო დანიშნულების არხებისა და მასზე ჩამოკიდებული სარწყავი ფართობის აღწერაზე;
- განსაზღვრავს წყლის მიწოდების წერტილებს.
- სამუშაო ჯგუფმა დაასრულა საველე სამუშაოები მტკვარი-ჯანდარის, ქვემო სამგორის მარჯვენა მაგისტრალური არხის და ზედა რუს სარწყავ სისტემებზე. ამჟამად მიმდინარეობს აღებული მონაცემების დაზუსტება, შემდგომში მისი ბილინგის სისტემაში ინტეგრირების მიზნით;

ინვენტარიზაციის პროცედურები გრძელდება ტაშისკარი-სალთვისის, ალგეთი-ტბისი-კუმისის და მაშავერას სერვისცენტრების სამოქმედო არეალში.

სისტემებში წყლის გეგმიური განაწილება და ხარჯვის ლიმიტები

- შემუშავებული იქნა საირიგაციო წყლის მიწოდების ნორმები ერთწლიანი და მრავალწლიანი კულტურებისთვის;
- დამტკიცდა რწყვათა ჯერადობა კულტურების და რეგიონების მიხედვით;
- შემუშავდა ტბორისთვის მისაწოდებელი წყლის ნორმა, მისი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებში, ტბორის შევსების, აორთქლების და ფილტრაციის კოეფიციენტების გათვალისწინებით;
- შემუშავდა საირიგაციო წყლის მიწოდების რეჟიმები, დამტკიცებული ნორმების და კულტურებისთვის დადგენილი რწყვათა ჯერადობის მიხედვით. ასევე, შემუშავდა შესაბამისი რეჟიმები ცალ-ცალკე ჰიდროელექტროსადგურებისთვის და ტბორებისთვის, მათთან გაფორმებული ხელშეკრულებების და დამტკიცებული ნორმების გათვალისწინებით.

სატარიფო პოლიტიკის რეფორმა



ამ მიმართულებით კომპანიის სატარიფო პოლიტიკა დაექვემდებარა „სემეკის“ რეგულირების სფეროს რეფორმის განხორციელების გრაფიკი



პარალელურად მიმდინარეობს საოპერაციო ხარჯების ალოკაციის სისტემის გაუმჯობესება და დეტალიზაცია.

სემეკის მიერ ტარიფის დადგენამდე აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

- რამდენიმე მსხვილ ჰიდროელექტროსადგურთან განხორციელდა სატარიფო პოლიტიკის გადახედვა, რაც უკვე საგრძნობლად აისახა პესებიდან მიღებულ საშემოსავლო ნაწილზე;
- სემეკის მიერ დამტკიცებული „საირიგაციო წყლის მიწოდების წესები“-ს შესაბამისად, საჯაროობის და მომხმარებელთა მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომის გათვალისწინებით, შემუშავებულ იქნა ახალი სატარიფო პოლიტიკა ტექნიკური წყლის მიმართულებით. ტარიფის მიბმა განხორციელდა მოხმარებული წყლის მოცულობებზე, რომელიც საჯაროდ განთავსდა როგორც სემეკის, ასევე კომპანიის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

სემეკის მიერ ტარიფის დადგენამდე აღნიშნული მიმართულებით განხორციელებული აქტივობები:

- რამდენიმე მსხვილ ჰიდროელექტროსადგურთან განხორციელდა სატარიფო პოლიტიკის გადახედვა, რაც უკვე საგრძნობლად აისახა ჰესებიდან მიღებულ საშემოსავლო ნაწილზე. შესაბამისად, 2024 წელს მხოლოდ ჰესებიდან ველოდებით 2,4 მილიონი ლარის შემოსავალს, რაც საშუალოდ ორჯერ მეტია წინა წლებში ჰესებიდან მიღებულ შემოსავალზე;
- სემეკის მიერ დამტკიცებული „საირიგაციო წყლის მიწოდების წესების“ შესაბამისად, საჯაროობისა და მომხმარებელთა მიმართ არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველსაყოფად, შემუშავებულ იქნა ახალი სატარიფო პოლიტიკა ტექნიკური წყლის მიმართულებით. წყლის მიწოდების მომსახურების საფასურის მიბმა განხორციელდა მოხმარებული წყლის მოცულობებზე, რომელიც საჯაროდ განთავსდა როგორც სემეკის, ასევე კომპანიის ოფიციალურ ვებ გვერდზე.

წყლის მიწოდების წესების ამოქმედება / ცვლილებების პროექტის მომზადება წმოს კანონში

- „საირიგაციო წყლის მიწოდების წესების“ ძირითადი ნაწილი ამოქმედდა 2024 წლის 1 იანვრიდან. საქართველოს მელიორაცია უკვე შეუდგა წესებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებას. გამომდინარე იქიდან, რომ მელიორაციის სფერო წლების განმავლობაში იყო სრულიად დერეგულირებული, საქართველოს მელიორაცია ინტენსიურად მუშაობს სემეკთან, მსოფლიო ბანკის ექსპერტებთან და მომხმარებლებთან, რათა წესებით განსაზღვრული ვალდებულებები მაქსიმალურად იქნეს შესაბამისობაში მოყვანილი პრაქტიკაში არსებულ გამოწვევებთან. შესაბამისად, პერიოდულად ხორციელდება ცვლილებები წყლის მიწოდების წესებში;
- სემეკის მიერ განსაზღვრული, ახალი რეგულირების ფარგლებში არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით საჭიროა ბილინგის სისტემის მოდერნიზება. კომპანია ამ მიმართულებითაც აქტიურად მუშაობს. გაძლიერდა პროგრამული უზრუნველყოფის შესაბამისი ჯგუფი და ამავდროულად დაქირავებულ იქნა კონტრაქტორი კომპანია, რომელიც მუშაობს სრულყოფილი ბილინგის სისტემის შექმნაზე;
- ახალი რეგულირების ფარგლებში შემუშავდა და დამტკიცდა განაცხადების / ხელშეკრულებების ერთიანი სტანდარტული ფორმები სხვადასხვა ტიპის მომხმარებლებისთვის, რომლის მიხედვითაც კომპანია უკვე ოპირირებს მომხმარებელთან ურთიერთობის პროცესში;
- „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებების განხორციელების მიზნით შემუშავდა და სამინისტროს წარედგინა ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც წმოს შექმნა განხორციელდება მხოლოდ ძირითად / მაგისტრალურ არხებზე;

წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების (წმომ-ების) ჩამოყალიბება

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მსოფლიო ბანკის პროექტის შეჯერებული კონცეფციის საფუძველზე, შიდა სამეურნეო სამელიორაციო ინფრასტრუქტურის მართვის გაუმჯობესების, ფერმერისათვის საჭირო დროს, საჭირო რაოდენობის წყლის სტაბილური მიწოდების და სამართლიანი წყალგანაწილების უზრუნველსაყოფად, საქართველოს სხვადასხვა საირიგაციო სისტემებზე დაგეგმილია წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შექმნა.

ზემო აღნიშნულის შესაბამისად, „წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის თანახმად, შერჩეული იქნა ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარჯვენა მაგისტრალური არხის გ.16 - გ.31 გამანაწილებლების არეალი.

2024 წლის დეკემბრის თვეში, აღნიშნულ არეალში დაფუძნდა საპილოტე წყალმომხმარებელთა ორგანიზაცია, საპილოტე წმომ-ს არეალი ფარავს შემდეგ დასახლებულ პუნქტებს: საგარეჯო, ნინოწმინდა, გიორგიწმინდა, წყაროსთავი.

საპილოტე წყალმომხმარებელთა ორგანიზაციის დასაფუძნებლად და მისი მდგრადი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, 2024 წელს განხორციელდა საკმაოდ დიდი მოცულობის სამუშაოები: შეხვედრები მუნიციპალიტეტისა და სოფლების წარმომადგენლებთან, კარდაკარ ვიზიტები წყალმომხმარებლებთან, საინიციატივო ჯგუფის ფორმირება, ქსელის ოპერირებისა და მოვლა შენახვისათვის საჭირო ტრენინგები, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული ღონისძიებები საველე გასვლების ფორმატში. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, მსოფლიო ბანკის პროექტის განმახორციელებელ ერთეულთან, საერთაშორისო კონსულტანტებსა და სხვა შესაბამის უწყებებთან ერთად შემუშავდა რიგი დოკუმენტები:

- წმომ-ს არჩევნების პროცედურული შაბლონი;
- წმომ-ს წესდების სამუშაო ვერსია, ნორმატიული აქტის შესაბამისად;
- საერთო კრებისა და გამგეობის სხდომის ოქმების სამუშაო ვერსიები;
- თანხმობის ფორმები და რეესტრი საპილოტე წმომ-ს არეალში მყოფი იურიდიული და ფიზიკური წყალმომხმარებლებისთვის;
- წმომ-ს ფუნქციონირების სავარაუდო ბიუჯეტის სტრუქტურა;
- საპილოტე წმომ-ს ტექნიკური მონაცემების ფურცელი;
- განხილვის სტადიაშია, საერთაშორისო კონსულტანტების მიერ მომზადებული მოვლა-შენახვის ხელშეკრულების სამუშაო ვერსია;

- საპილოტე წმომ-ს არეალში მდებარე ნაკვეთებისა და მათი მესაკუთრე/მოსარგებლეების განახლებული სია;
- წმომ-ს მომსახურების ტერიტორიის განახლებული რუკა, შესაბამისი SHAPE ფაილებით;
- მიმართვის (განცხადების) შაბლონი წმომ-ს დაფუძნების შესახებ;
- წმომ-ს მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობების სამუშაო ვერსია და სხვა.

წმომ-ს დაფუძნების უზრუნველსაყოფად, გადაწყვეტილი იქნა ისეთი ლოჯისტიკური საკითხები, როგორებიცაა: სადამფუძნებლო კრების ადგილის შერჩევა, ქეითერინგული კომპანიის შერჩევა, სატრანსპორტო კომპანიის მოძიება, წყალმომხმარებელთა ტრანსპორტით უზრუნველყოფის მიზნით, შეთანხმება ადგილობრივ ნოტარიუსთან, სადამფუძნებლო კრების სანოტარო მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით;

გასულ წელს საქართველოში იმყოფებოდა მსოფლიო ბანკის მისიის წარმომადგენლობა, რომელთან უშუალო თანამშრობლობით, შემუშავდა წმომ-ს არჩევნების პროცედურული შაბლონი და წმომ-ს მენეჯმენტის ფუნქცია-მოვალეობები, ასევე, განხილვას დაექვემდებარა ბილინგის ფორმისა და წმომ-ს წევრთათვის წყლის მიწოდების მომსახურების ტარიფის გაანგარიშების მეთოდოლოგიის საკითხები.

2025 წელს, საქართველოს კონსულტანტების ჩართულობით დაგეგმილია

- GRAIL-ის პროექტის ფარგლებში წმომ-ს ტერიტორიის შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება;
- KPI ინდიკატორების დამუშავება;
- კომუნიკაციის, სოციალური, მედიის მობილიზაციის პროცესების კოორდინაცია;
- წყალმომხმარებელთა ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები;
- წმომ-ში წყლის განაწილება და მართვის საკითხების სრულყოფა;
- მიწოდებული წყლის აღრიცხვის საკითხები. სათანადო ფორმების შემუშავება;
- წყლის მიწოდების მომსახურების ტარიფის დადგენა წმომ-ს არაწევრი წყალმომხმარებლისათვის;
- საქართველოს ინსტიტუციურ კონტექსტზე მორგებული ტრენინგის მასალების განხილვა და წმომ-ს სასწავლო მასალების თემატური მოდულების შემუშავება შემდეგ საკითხებზე:

- წმო-ს ფორმირება და მმართველობა;
- წყლის განაწილება და მენეჯმენტი;
- სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია და მოვლა-შენახვა;
- კომუნიკაცია და კონფლიქტების მენეჯმენტი.

წყლის მიწოდების ტარიფის დადგენამდე, 2026 წელს, მსოფლიო ბანკის პროექტის მოთხოვნის შესაბამისად, 2025 წლის იანვრიდან, მსოფლიო ბანკის GRAIL-ის პროექტში შემავალ 4 საირიგაციო სისტემებზე იგეგმება საინიციატივო ჯგუფების ჩამოყალიბება, წყალმომხმარებელთა მობილიზაცია და ცნობიერების ამაღლება. აღნიშნული ითვალისწინებს შეხვედრებს წყალმომხმარებლებთან, საინიციატივო ჯგუფის წევრებთან, მუნიციპალიტეტის და ადმინისტრაციული ერთეულების/სოფლების ხელმძღვანელებთან და მათთან მჭიდრო კომუნიკაციის განახლებას, მიმდინარე აქტივობების და უშუალოდ საირიგაციო ნაკვეთის შიგნით განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ ინფორმირებულობას, სასწავლო მასალების, ბროშურების, პრეზენტაციების დამუშავებას და სხვა.

პროექტის ფარგლებში განსაზღვრულია ადგილობრივი ფერმერების მონაწილეობის უზრუნველყოფა ინფრასტრუქტურის პროექტირებასა და განვითარებაში, რომელიც მიზნად ისახავს საირიგაციო მომსახურების გაუმჯობესებას, წყალმომხმარებელთა ინტერესებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებას, მომავალში, პოტენციური წმო-ების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად.

მიმდინარე წელს კომპანიაში სიახლეებისა და ახალი პროგრამების დანერგვის კუთხით მნიშვნელოვანი პროცესები განხორციელდა.

- შემუშავდა საირიგაციო და სადრენაჟე ინფრასტრუქტურის ობიექტებზე განსახორციელებელი კაპიტალური ღონისძიებების შერჩევისა და რანჟირების მეთოდოლოგია. აღნიშნული მეთოდოლოგია შემდგომში საფუძვლად დაედება, საშუალოვადიან პერიოდში, საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების ცალკეული ჰიდროტექნიკური ნაგებობების, კვანძებისა და ელემენტების პროექტირებისა და მშენებლობა-რეაბილიტაცია-მოდერნიზაციის ღონისძიებების განხორციელების რიგითობას;
- განხორციელდა კომპანიის ინფრასტრუქტურის ობიექტებზე არსებული საფრთხეების იდენტიფიცირებისა და თანამდევი რისკების შეფასება.

ბილინგის სისტემის მოდერნიზაცია

- ბილინგის სისტემის სრული მოდერნიზაცია - დღეს არსებული პროგრამის ვერსია არის მოძველებული და აღარ სარგებლობს მწარმოებლის მხარდაჭერით, საჭიროა ახალ თანამედროვე ვერსიაზე გადასვლა, რაც შესაძლებელია მხოლოდ ახალი ვებ აპლიკაციის შექმნით.
- კომპანიის რეალურ საჭიროებებზე აგებული ბიზნესპროცესის აღწერა და განახლებული მოდულების განვითარება. აღნიშნული სისტემის განვითარების დროს მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მოთხოვნებს, გეოინფორმაციული სისტემების (GIS) სრულყოფას და ინტეგრაციას გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სისტემაში შემავალ შესაბამის უწყებებთან. ზემოაღნიშნული პროცესი ხელს შეუწყობს კომპანიის კომერციული მიმართულებით განვითარებას, მიმდინარე პროცესების ანალიზსა და მომხმარებელთან ურთიერთობას (CRM).
- ბილინგის ვებ-აპლიკაციის მოდიფიკაციას, აღნიშნული პროგრამის განახლება დაიწყო 2024 წელს და მისი დასრულება იგეგმება 2026 წლისთვის.
- „საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის“ მიერ 2023 წლის 30 აგვისტოს შემუშავებული იქნა ახალი დადგენილება N39, რომელიც არეგულირებს მიწოდებისა და მომხმარებლის უფლებების და მოვალეობების განსაზღვრას და მათი შესრულების უზრუნველყოფას. დადგენილების თანახმად, წამოიჭრა ახალი გამოწვევები საირიგაციო წყლის მიწოდებასთან დაკავშირებით, რაც გულისხმობს რიგ საკითხებს, როგორცაა მომხმარებლისთვის ელექტრონული ქვითრის მიწოდებას; მომსახურების მიწოდებასთან დაკავშირებით მომხმარებელთან მოკლე ტექსტური შეტყობინების გაგზავნას; მომსახურების ხარისხის ელექტრონული კონტროლის სისტემას; ახალი განაცხადების ფორმირებას და სხვა.
- სისტემაში მიმდინარე ტექნიკური ხარვეზების აღმოფხვრისა და სემეკის მოთხოვნის შესაბამისად, ცვლილებების განხორციელების მიზნით, 2024 წელს დაიწყო ბილინგის ვებ-აპლიკაციის მოდიფიკაცია.
- აღნიშნული პროგრამის მოდიფიკაცია უზრუნველყოფს კომპანიის კომერციული მიმართულებით განვითარებას, მიმდინარე პროცესების ანალიზსა და მომხმარებელთან ურთიერთობას. ამასთან ერთად თანხვედრაში მოვა მარეგულირებელი კომისიის მოთხოვნებთან.
- (უსაფრთხოების სისტემების განახლების პროექტი)

იგეგმება უსაფრთხოების სისტემების განახლება, კერძოდ:

- 4 რეგიონში, შიდა ქართლი 55 ობიექტზე (106 კამერა), ქვემო ქართლი 14 ობიექტზე (36 კამერა), კახეთი 16 ობიექტზე (35 კამერა), დასავლეთი 15 ობიექტზე (55 კამერა). სულ 100 ობიექტზე 232 კამერის მონტაჟი. ასევე სერვისცენტრებში იგეგმება დაშვების სისტემების დაყენება.

აღნიშნული პროექტი საშუალებას იძლევა გაუმჯობესდეს ობიექტების მონიტორინგი.

- 2024 წელს მნიშვნელოვნად განვითარდა კომპანიის სისტემური და ქსელური ინფრასტრუქტურა, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად განახლდა კომპანიის სისტემაში შემავალი კომპიუტერული ტექნიკის ოპერატიული სისტემები და საოფისე პროგრამები, საქართველოს მასშტაბით, ყველა სერვისცენტრში გაიმართა საკომუნიკაციო საშუალებები, რაც უზრუნველყოფს სწრაფ და უწყვეტ კავშირს როგორც შიდა ასევე გარე რესურსებზე, ამასთან ერთად მომხმარებელთა სწრაფ და ეფექტურ მომსახურებას.
- შპს „საქართველოს მელიორაცია“ ახორციელებს საქმისწარმოების პროცესში შექმნილი, საქმისწარმოებით დასრულებული დოკუმენტების სამეცნიერო-ტექნიკურ დამუშავებას, აღრიცხვას, მოწესრიგებული სახით შენახვას და ეროვნული არქივისათვის გადაცემას.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ და სსიპ „საქართველოს ეროვნულ არქივს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, მოხდა სხვადასხვა დაწესებულებებისა და უწყებების მიერ გადმოცემული დოკუმენტაციის სამეცნიერო-ტექნიკური დამუშავებ. საბოლოოდ შედგა მუდმივად შესანახ საქმეთა ანაწერი (რეესტრი).

მიმდინარე წელს კომპანიაში არსებული 1934-1995 წლების მუდმივად შესანახ საქმეთა 11 776 საქმე - 700 ყუთი, რომლებსაც გააჩნიათ ისტორიული, სამეცნიერო, ეკონომიკური მნიშვნელობა, შეადგენს დაწესებულების საარქივო ფონდს და წარმოადგენს ეროვნული საარქივო ფონდის შემადგენელ ნაწილს, გადაეცა უახლესი ისტორიის ცენტრალურ არქივს მუდმივად შესანახად.

დონორი ორგანიზაციები და დაგეგმილი ღონისძიებები

სამელიორაციო ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში უმნიშვნელოვანესია ის საერთაშორისო მხარდაჭერა, რომელსაც ქვეყანა არაერთი დონორი ორგანიზაციისგან იღებს. საქართველოს მელიორაცია თანამშრომლობს ევროპის საინვესტიციო ბანკთან (EIB); აზიის განვითარების ბანკთან (ADB); მსოფლიო ბანკთან (WB) და საფრანგეთის განვითარების სააგენტოსთან (AFD)

ევროპის საინვესტიციო ბანკი (EIB)

ზემო სამგორის საირიგაციო ქსელის რეაბილიტაციის პროექტს აფინანსებს ორი დონორი ორგანიზაცია: ევროპის საინვესტიციო ბანკი და საფრანგეთის განვითარების სააგენტო.

ზემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციის და მოდერნიზაციის პროექტის განსახორციელებლად დაიხარჯება 100.3 მლნ. ევრო, საიდანაც 40 მლნ ევრო არის ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) სესხი (კაპიტალური ინვესტიცია სარწყავი ინფრასტრუქტურის აღსადგენად), 35 მლნ ევრო საფრანგეთის განვითარების სააგენტოს (AFD) სესხი (კაპიტალური ინვესტიცია სარწყავი ინფრასტრუქტურის აღსადგენად), 15.3 მლნ ევრო საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა ძირითადად სესხთან დაკავშირებული საბიუჯეტო გადასახადებისა და განსახლების საჭიროებისათვის, ხოლო 10 მლნ არის ევროკავშირის გრანტი, ზემო სამგორის სარწყავი სისტემის ფერმერებისა და შპს „საქართველოს მელიორაციის“ შესაძლებლობების განვითარების მიზნებისათვის (ტექნიკური დახმარების პაკეტი).

პროექტის განხორციელების პერიოდია 2023-2029 წწ.

2025 წლისთვის დაგეგმილია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) ჩამოყალიბების დასრულება, დეტალური საინჟინრო დიზაინის (პროექტირების) დაწყება და საველე-კვლევითი სამუშაოების დაწყება.

პროექტის განხორციელების შემდეგ წყალზრუნველყოფილი სარწყავი ფართობი დაახლოებით 6000 ჰექტარიდან 19,130 ჰექტარამდე გაიზრდება, შედეგად 11,500 საოჯახო მეურნეობა და 1200 ფერმერულ მეურნეობა, ჯამში 26,000 ადამიანზე მეტი ისარგებლებს რეაბილიტირებული სარწყავი ინფრასტრუქტურით.

აზიის განვითარების ბანკი (ADB)

2023 წლის ნოემბერში ხელი მოეწერა სასესხო ხელშეკრულებებს აზიის განვითარების ბანკსა და საქართველოს მთავრობას შორის კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროექტისათვის და კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამის - 1 ქვე-პროგრამისათვის.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხისა შიდა სამეურნეო ქსელების რეაბილიტაციის და მოდერნიზაციის პროექტს აზიის განვითარების ბანკი დააფინანსებს 44,735,000 ევროთი, ხოლო საქართველოს მთავრობა ბიუჯეტიდან გამოყოფს სახსრებს 27,017,378 ევროს ოდენობით, 7,500,000 ევროს არის ევროკავშირის გრანტი, რომელთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები ევროკომისიასთან. პროექტის საერთო ღირებულება გრანტის ჩათვლით არის 79,252,378 ევრო.

პროექტის განხორციელების პერიოდია 2024-2030 წწ. 2025 წლისთვის დაგეგმილია პროექტის განმახორციელებელი ერთეულის (PIU) ჩამოყალიბების დასრულება, ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის რეაბილიტაციის პროექტირება/ ბედამხედველობის მიზნით საკონსულტაციო კომპანიის შერჩევა ასევე ქვემო სამგორის მარცხენა მაგისტრალური არხის 1 სექციის რეაბილიტაცია.

პროექტის განხორციელების შედეგად წყალუზრუნველყოფილი ფართობები გაიზრდება 3000 ჰა-დან 7316 ჰა-მდე.

მსოფლიო ბანკი (WB)

„საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის“ (GRAIL) ფარგლებში მსოფლიო ბანკი გეგმავს შერჩეული სამელიორაციო სისტემების რეაბილიტაცია-მოდერნიზაციას. პროექტის სრული ბიუჯეტი 150 მლნ აშშ დოლარი (აქედან 75 მლნ აშშ დოლარი მსოფლიო ბანკის სესხი; 75 მლნ. აშშ დოლარი - საქართველოს მთავრობის თანამონაწილეობა).

პროექტი სამი კომპონენტისაგან შედგება: რომლის პირველი კომპონენტი მდგრადი სარწყავი სოფლის მეურნეობა (120 მლნ. აშშ დოლარი) მოიცავს რამდენიმე ქვე-კომპონენტს, რომლებიც ეხება ირიგაციას და შპს „საქართველოს მელიორაციას“:

ქვე-კომპონენტი 1.1: შერჩეული საირიგაციო და სადრენაჟე სისტემების მოდერნიზაცია (\$ 85 მლნ.): მათ შორის: 1) ტაშისკარის (\$29.59 მლნ.) და 2) ტირიფონის (\$8.93 მლნ.) სარწყავი სისტემები შიდა ქართლის რეგიონში, 3) ბედა არხის სარწყავი სისტემა (\$2.56 მლნ.) ქვემო ქართლის რეგიონში, 4) ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა (\$21.15 მლნ.) კახეთის რეგიონში, 5) ნარეკვავის წყალსაცავის წმენდა და მჭადიჯვრის სარწყავი სისტემა (\$2.09 მლნ.) მცხეთა-მთიანეთის რეგიონში.

ასევე გათვალისწინებულია დასავლეთ საქართველოში, სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში მდებარე, შავლელეს მასივის სადრენაჟე სისტემის (\$2.27 მლნ.) რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია. სარწყავი და სადრენაჟე სისტემების საერთო მომსახურების ფართობია 26887 ჰა და შერჩეულია ჰიდროლოგიური, ტექნიკური, ეკონომიკური და სასოფლო-სამეურნეო პარამეტრების მიხედვით.

ქვე-კომპონენტი 1.2 კლიმატ-გონივრული სოფლის მეურნეობის და ღირებულებათა ჯაჭვის განვითარების ხელშეწყობა (20 მლნ. აშშ დოლარი)

ქვე-კომპონენტი 1.3: საირიგაციო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება (15 მილიონი აშშ დოლარი) ითვალისწინებს ირიგაციის სექტორის მართვის გაუმჯობესებას, რომელიც მოიცავს:

- კომპანიის ყოვლისმომცველ რეფორმას, ფუნქციების ეფექტურ გადანაწილებას და დეცენტრალიზაციას;
- წმოების ჩამოყალიბებაში ხელშეწყობას და კომპანიის ადგილობრივი სერვის ცენტრების გაძლიერებას;
- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ახალი ჰიდროლოგიური და სასოფლო-სამეურნეო ინფორმატიკის პროგრამის (HAIP) მულტი-აგენტური ცენტრის დაარსებას;

კომპონენტი 2: მიწის მართვის შესაძლებლობების გაუმჯობესება (\$ 24 მლნ დოლარი)

კომპონენტი 3: პროექტის მართვა (\$ 6 მლნ დოლარი).

GRAIL-ის პროექტის განხორციელების პერიოდია - 2024-2029 წწ.

2025 წლისთვის დაგეგმილია სავლეთ დონის ლიდერობის პროგრამის ტრენერთა ტრენინგების პროგრამის განხორციელება, საქართველოს მელიორაციის მმართველობითი სისტემის რეფორმით გათვალისწინებული აქტივობების კოორდინაცია; ირიგაციის ეროვნული გენერალური გეგმის შემუშავების პროცესის კოორდინაცია.

გარემოს ეროვნული სააგენტო



nea.gov.ge

გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის კვლევებს, ჰიდრომეტეოროლოგიური და გეოლოგიური მოვლენების მონიტორინგს, ამინდსა და კლიმატურ პირობებზე დაკვირვებას, ასევე, შავი ზღვის ბიომრავალფეროვნების კვლევას. გარდა ამისა, სააგენტო უზრუნველყოფს სტრატეგიული გარემოსდაცვითი და გარემოზე ზემოქმედების შეფასების, შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობისა და ექსპერტიზის ჩატარების პროცედურების განხორციელებას, ასევე, გარემოზე მიყენებული ზიანის გამოსწორების ღონისძიებების დაგეგმვას.

2024 წლის განმავლობაში, სააგენტოს მიერ აქტიურად მიმდინარეობდა ატმოსფერული ჰაერის, ზედაპირული წყლისა და ნიადაგის ხარისხის კვლევები.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის თანამშრომლობის პროგრამის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში, გარემოს ეროვნულმა სააგენტომ ბათუმში, ქუთაისში, ზუგდიდში, ახალციხეში, თელავსა და დაბა მესტიისაში 6 ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგური გახსნა.

ამ დროისათვის ქვეყნის მასშტაბით უკვე ფუნქციონირებს 18 ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის სადგური, მათ შორის, 15 ავტომატური და 3 მობილური.

მიმდინარე წელს ევროკავშირის, გაეროსა და ავსტრიის მთავრობის მხარდაჭერით და საქართველოს მთავრობის ჩართულობით, ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით ახალი პროექტი - „ჰაერის ხარისხის გაუმჯობესება მოქალაქეთა ჯანმრთელობის დასაცავად“ დაიწყო, რომლის მიზანია ჰაერის ხარისხის მონიტორინგის არსებული ქსელის გაძლიერება და ეროვნული შესაძლებლობების გაზრდა მოდელირებისა და პროგნოზირების კუთხით. პროექტის ფარგლებში ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელს 9 ახალი ავტომატური სადგური და ერთი გრავიმეტრიული ხელსაწყო დაემატება.

სააგენტოს მიერ ზედაპირული წყლის სინჯები აღებული იქნა საქართველოს მდინარეების, ტბებისა და წყალსაცავების 237 წერტილში.

ასევე, წლის განმავლობაში, თვეში ერთხელ ხორციელდება შავი ზღვის მონიტორინგი (59 პარამეტრზე) და მოიცავს სარფიდან ანაკლიის ჩათვლით სანაპირო ზოლში არსებულ 12 სადგურს.



ზედაპირული წყლის სინჯების ანალიზი გარემოს ეროვნული სააგენტოს ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის აკრედიტირებულ ლაბორატორიაში ხორციელდება, რომელიც აღჭურვილია მაღალი სიზუსტის მქონე ანალიტიკური ხელსაწყოებით და სრულად აკმაყოფილებს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს.

გარემოს ეროვნული სააგენტო ახორციელებს ჰიდრომეტეოროლოგიური სადამკვირვებლო ქსელის გაფართოების, თანამედროვე საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო და საპროგნოზო სისტემების დანერგვის სამუშაოებს, რომელიც 2025 წლის ბოლოსთვის დასრულდება.

2024 წელს ფინეთის რესპუბლიკის დედაქალაქ ჰელსინკიში, გარემოს ეროვნული სააგენტოსა და ფინეთის მეტეოროლოგიურ ინსტიტუტს შორის მეტეოროლოგიის, კლიმატოლოგიისა და გარემოს სფეროში თანამშრომლობის შესახებ ურთიერთგაგების მემორანდუმი გაფორმდა. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში დაინერგება ახალი თანამედროვე სისტემა ამინდის პროგნოზირებისთვის, რაც გაზრდის როგორც შედეგების სიზუსტეს, ასევე, ხელს შეუწყობს ადრეული შეტყობინების სისტემის განვითარებას.



2024 წლის განმავლობაში გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ დღელამურ რეჟიმში წარმოებდა დაკვირვებები 264 ჰიდრომეტეოროლოგიურ სადგურსა და საგუშაგოზე, 2 მეტეოროლოგიურ რადარზე. ასევე, 23 მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემები ყოველდღიურად ვრცელდებოდა მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაციის გლობალურ ქსელში.

ასევე, მიმდინარე წელს გაიმართა ფოთის აეროლოგიური სადგური, რომელიც ატმოსფეროს ზედა ფენებში მეტეოროლოგიურ პარამეტრებს ზომავს. აღნიშნული სადგური ინტეგრირებულია სააგენტოში არსებულ დაკვირვების სისტემებთან და თანამედროვე საინფორმაციო-სატელეკომუნიკაციო და საპროგნოზო (ICT) სისტემასთან, რომლის დანერგვაც ამ ეტაპზე მიმდინარეობს.



გეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტოს (SDC) მიერ მხარდაჭერილი პროექტის „კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში შემუშავდა წყალდიდობის საფრთხეების რუკები მდ. ალაზნის, მდ. იორის და მდ. ხრამი-ქციას აუზებისათვის.

2024 წელს გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შვეიცარიულ კომპანიასთან „GEOTEST AG“ ხელშეკრულება გააფორმა, რომლის ფარგლებშიც ქვეყნის მასშტაბით 22 მყინვარულ ხეობაში გლაციალური (მყინვარიდან მომდინარე საფრთხეები) შეფასება ხორციელდება.

წლის ბოლომდე დასრულდება შვეიცარიული კომპანია GEOTEST-ის მიერ საქართველოს მყინვარებზე ბუნებრივი საფრთხეების გამოვლენის სამუშაოები.

საქართველოს მასშტაბით მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების ავტომატური და ინსტრუმენტალური მონიტორინგი 72 წყალპუნქტზე ხორციელდება. 2024 წელს ჰიდროგეოლოგიური მონიტორინგის ქსელის წყალპუნქტებიდან აღებული იქნა 394 სინჯი ლაბორატორიული ანალიზებისთვის.

აღსანიშნავია, რომ სადგურები აღჭურვილია უახლესი ჰიდროგეოლოგიური აპარატურით, რომელიც მიწისქვეშა წყლების ძირითადი რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებელი პარამეტრების (დებიტი, ტემპერატურა, წყალში გახსნილი მყარი ნაწილაკები, ელექტროგამტარობა, წყალბად-იონთა კონცენტრაცია) უწყვეტი მონიტორინგის და გარემოს ეროვნულ სააგენტოში მონაცემთა ავტომატურ რეჟიმში მოწოდების საშუალებას იძლევა. მიღებული მონაცემების საფუძველზე, შესაძლებელია მიწისქვეშა მტკნარი წყლების მაჩვენებლების დროში ცვალებადობის გამოვლენა-დადგენა, რაც ითვალისწინებს ჰიდროგეოლოგიური მოკლე ან გრძელვადიანი პროგნოზების შედგენას.



გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ შეფასდა საცხოვრებელი სახლების, საკარმიდამო მიწის ნაკვეთების და მიმდებარე ტერიტორიების გეოდინამიკური მდგომარეობა, საშიშროების რისკის განსაზღვრით და შესაბამისი რეკომენდაციებით, რის საფუძველზეც შედგენილი იქნა 1375 ვიზუალური საინჟინრო-გეოლოგიური დასკვნა, სადაც შეფასებულია 2068 დასახლებულ პუნქტში მცხოვრები 3527 მოსახლის (კომლი), საცხოვრებელი სახლის, საკარმიდამო მიწის ნაკვეთის და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური მდგომარეობა. გადაუდებელი ღონისძიებების გატარების მიზნით განსაზღვრულია საშიშროების რისკი და შესაბამისი რეკომენდაციები.

ასევე, 2023-2024 წლებში სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ იმერეთის (ქუთაისი, სამტრედია, წყალტუბო, თერჯოლა, ტყიბული, ზესტაფონი, ხონი, ვანი და ბაღდათი), სამეგრელოს (ფოთი, ზუგდიდი, ჩხოროწყუ, ხობი, წალენჯიხა, მარტვილი, სენაკი, აბაშა), რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის (ამბროლაური, ცაგერი, ლენტეხი) და გურიის (ლანჩხუთი) მხარეებში გეოლოგიური აგეგმვითი სამუშაოები განხორციელდა.

გეოლოგიური კვლევების საფუძველზე, მომზადდა 1:200 000 მასშტაბის სახელმწიფო გეოლოგიური რუკები, ასევე, მინერალური რესურსებისა და ტექტონიკური რუკების კომპლექტი, შესაბამისი გეოლოგიური ანგარიშით, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სამიზნე არეალის ფარგლებში არსებული გეოლოგიური პირობების შესახებ.

გეოლოგიური ანგარიში წარმოადგენს საფუძველს გეოლოგიის ყველა მიმართულებისთვის, მათ შორის, სტიქიური გეოლოგიური პროცესების, მიწისქვეშა წყლების, სასარგებლო წიაღისეულის და სხვა ტიპის გეოლოგიური კვლევებისთვის და განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში არსებული გეოლოგიური პრობლემების მართვის თვალსაზრისით.



დღეისათვის, ქვეყნის მასშტაბით 18 მსხვილ მეწყურულ უბანზე ფუნქციონირებს თანამედროვე მონიტორინგის სისტემები.

2024 წელს გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ მომზადდა და გამოქვეყნდა საინფორმაციო ბიულეტენები გარემოს დაბინძურების, გეოლოგიური პროცესების, მიწისქვეშა მტკნარი სასმელი წყლების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მახასიათებლების შესახებ.

2024 წელს შავი ზღვის საქართველოს სანაპიროსა და კონტინენტური შელფის გარემოს ეკოლოგიური მდგომარეობის შეფასების მიზნით განხორციელდა სანაპიროს ბიოლოგიური მონიტორინგი, ყოველთვიური და სეზონური დაკვირვების სადგურებზე აღებული და დამუშავებულია წყლის 200-მდე ნიმუში, განსაზღვრულია წყლის მიკრობიოლოგიური და ჰიდრობიოლოგიური (ფიტოპლანქტონის, ზოოპლანქტონის და მაკროზოოტენთოსის რაოდენობრივი მაჩვენებლები) პარამეტრები. ასევე, ციხისძირის, სარფის, მწვანე კონცხის სადგურებზე განხორციელდა საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს კლდოვანი ჰაბიტატების შესწავლა. აღებული და დამუშავებული იქნა მაკროფიტების 18 ნიმუში.

მიღებული შედეგების საფუძველზე მომზადდება 2024 წლის შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს ბიომრავალფეროვნების ანგარიში. აღნიშნული კვლევები მიზნად ისახავს ევროკავშირის საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივისა (MSFD) და წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მოთხოვნათა შესაბამისად, საქართველოს შავი ზღვის სანაპიროსა და კონტინენტური შელფის გარემოს მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებას.

გარემოს ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ, შავი ზღვის საქართველოს საზღვაო სივრცეში, ძირითადი სარეწაო თევზების მარაგების შეფასებისა და სამრეწველო თევზჭერის კვოტების განსაზღვრის მიზნით, 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა 13 საზღვაო ექსპედიცია.



2023-2024 წწ განხორციელებული სამეცნიერო-კვლევითი თევზჭერისა და ჰიდროაკუსტიკური გადაღებების შედეგებზე დაყრდნობით, მათემატიკური მოდელირებით მომზადებული დასკვნების, ხმელთაშუა ზღვის მეთევზეობის გენერალური კომისიის (GFCM) რეკომენდაციების საფუძველზე მომზადდა ანგარიში საქართველოს საზღვაო სივრცეში ძირითადი სარეწაო თევზებისა და სხვა ჰიდრობიონტების მარაგების მიმდინარე მდგომარეობისა და აღნიშნული რესურსების ექსპლუატაციის დასაშვები დონის (კვოტების) პროგნოზირების შესახებ: „შავი ზღვის საქართველოს სანაპიროს 2024-2025 წწ სარეწაო სეზონის სამრეწველო თევზჭერის კვოტები“. აღნიშნული სარეწაო სეზონისთვის ჭერილის დასაშვები ოდენობა განისაზღვრა შვიდ სარეწაო ობიექტზე (ქაფშია, სტავრიდა, ხონთქარა, მერლანგი, პელამიდა, კამბალა და რაპანა), მათ შორის ძირითადი სარეწაო რესურსის - შავი ზღვის ქაფშიას მოსაპოვებელ კვოტამ შეადგინა 65000 ტონა. კვლევები მიზნად ისახავს საქართველოში მდგრადი მეთევზეობის პრინციპების დანერგვის და ბიოლოგიური რესურსების შენარჩუნების ხელშეწყობას.

„აკვაკულტურის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისად, მიმდინარეობდა აკვაკულტურის ნებართვების მიღების მიზნით წარმოდგენილი განაცხადების განხილვა და ნებართვების გაცემა, რაშიც დეპარტამენტი აქტიურად უწევდა კონსულტაციებს დაინტერესებულ პირებს. 2024 წელს გაიცა 62 აკვაკულტურის ნებართვა.

შავ ზღვაში 2024-2025 წლებისთვის სამრეწველო თევზის რესურსის ამოღების მიზნით დამტკიცდა ცხოველთა სამყაროს ობიექტებით სარგებლობის კვოტები - 69 252 ტონა, ასევე 4 თევზჭერის ლიცენზიანტისათვის კვოტები დამტკიცდა საქართველოს შიდა წყალსატევებში.

2024 წელს განხორციელდა კვლევები, რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის, გურიისა და სამცხე ჯავახეთის სახელმწიფო ტყის ტერიტორიებზე სოჭის გირჩის თესლმსხმოიარობის დადგენის მიზნით. შესაბამისად, დამტკიცდა კვოტა 237 ტონა სოჭის გირჩის რესურსის მოპოვებაზე.

2024 წელს ექსპორტის მიზნით ერთი თეთრყვავილას ბოლქვების სარგებლობის და ერთი სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზია გაიცა. ასევე, 2024 წელს გაიცა



ორი სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზია. გაცემული სამონადირეო მეურნეობის სპეციალური ლიცენზიების სალიცენზიო ფართობებმა 13827 ჰა. ხოლო საინვესტიციო ვალდებულებების თანხამ 4 200 000 ლარი შეადგინა.

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტი უზრუნველყოფს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ გათვალისწინებული სტრატეგიული დოკუმენტებისთვის და სახელმწიფო ან კერძო საქმიანობებისთვის, რომელთა განხორციელებამ შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე, ადამიანის სიცოცხლეზე ან/და ჯანმრთელობაზე, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურების განხორციელებას, ასევე, „სამრეწველო ემისიების შესახებ“ ევროკავშირის დირექტივასთან ჰარმონიზებისა და ინტეგრირებული სანებართვო სისტემის დანერგვის მიზნით შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებასა და ჰაერდაცვითი და წყალდაცვითი დოკუმენტაციის შეთანხმებას.

დეპარტამენტის მიერ 2024 წელს მოგზადდა:

- 3 სგშ სკრინინგის გადაწყვეტილება
- 9 სგშ სკოპინგის დასკვნა
- 5 სგშ რეკომენდაცია
- 81 გზშ სკრინინგის გადაწყვეტილება
- 45 გზშ სკოპინგის დასკვნა;
- 34 გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „საქართველოში გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლის მხარდაჭერა“ ფარგლებში განხორციელდა აგრო-ინდუსტრიული ხუთი სექტორის ოთხ ობიექტში - წვის დიდი საწარმოს, ნარჩენების ინსინერაცია/თანაინსინერაციის, მეფრინველეობის ფერმის, ცემენტის და კირის, BAT-ის შესაბამისობის შეფასება.

პროექტის „ევროკავშირი გარემოსთვის“ (EU4Environment) ფარგლებში, 2024 წელს მოგზადდა სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების სახელმძღვანელო საქართველოს სივრცის დაგეგმარების სექტორისთვის. სახელმძღვანელოს მიზნებია საქართველოს სივრცის დაგეგმარების სექტორში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურის ეფექტიანი განხორციელება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად; მდგრადი სივრცითი განვითარების ხელშეწყობა, გარემოს დაცვის პრინციპების და მიდგომების ადრეული და ეფექტური ინტეგრაციის უზრუნველყოფა სივრცით სტრატეგიულ დოკუმენტებში. აღნიშნული სახელმძღვანელო დაეხმარება დამგეგმავ ორგანოებს და საკონსულტაციო კომპანიებს დოკუმენტაციის მომზადებაში, ხოლო სააგენტოს - გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

2024 წელს გარემოს ეროვნულ სააგენტოში მიმდინარეობდა გარემოსთვის მიყენებული მნიშვნელოვანი ზიანის 21 საქმის ადმინისტრაციული წარმოება. ასევე, განხილული იქნა ბოლნისისა და დმანისის მუნიციპალიტეტებში დაზიანებული მიწების (სახელმწიფო ტყის 21.5 ჰა მიწა) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის 3 პროექტი და ზედაპირული წყლის ობიექტების (მდ. მაშავრა, მდ. კაზრეთულა, მდ. ფოლადაური) გამოსასწორებელი ღონისძიებების გეგმის 2 პროექტი. ქალაქ ბათუმში გარემოს ეროვნული სააგენტოს ახალი რეგიონული ოფისი გაიხსნა. შენობაში განთავსდა გარემოს ეროვნული სააგენტოს ისეთი უმნიშვნელოვანესი სტრუქტურული ერთეულები, როგორებიცაა მეთევზეობის, აკვაკულტურისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დეპარტამენტი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგის დეპარტამენტის ბათუმის ლაბორატორია და აჭარის რეგიონული ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორია. საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად მოეწყო ატმოსფერული ჰაერის, წყლისა და ნიადაგის ანალიზის, მიკრობიოლოგიური, ჰიდრობიოლოგიური, იქთიოლოგიური ლაბორატორიები, რომლებიც აღჭურვილია ულტრათანამედროვე ხელსაწყო-დანადგარებით და კვლევითი სფეროს სპეციფიკისთვის საჭირო ინფრასტრუქტურით. ბათუმის ახალ ლაბორატორიაში შესაძლებელი იქნება საკვლევ კომპონენტების გაფართოება და უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით, ახალი მეთოდების დანერგვა. გაიზრდება მონიტორინგის სადგურების რიცხვი, შესაძლებელი იქნება კვლევების წარმოება უახლესი მეთოდებით, ევროკავშირის წყლისა და საზღვაო სტრატეგიის ჩარჩო დირექტივების შესაბამისად. მნიშვნელოვნად გაიზრდება სამეცნიერო-კვლევითი შესაძლებლობები მეთევზეობისა და აკვაკულტურის მიმართულებით როგორც საზღვაო სივრცეში, ასევე, შიდა წყალსატევებში. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის განმავლობაში გარემოს ეროვნული სააგენტო აქტიურად თანამშრომლობდა საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან, რის ფარგლებშიც განხორციელდა სადამკვირვებლო ქსელის გაფართოება, ასევე, თანამშრომელთა გადამზადება, საერთაშორისო სამუშაო და სასწავლო ვიზიტები.



დაცული ტერიტორიების სააგენტო



apa.gov.ge



დაცული ტერიტორიების შესახებ

საქართველოში IUCN-ის კრიტერიუმების მიხედვით 6 სხვადასხვა კატეგორიის 100 დაცული ტერიტორიაა, კერძოდ: 14 სახელმწიფო ნაკრძალი, 15 ეროვნული პარკი, 40 ბუნების ძეგლი, 25 აღკვეთილი, 5 დაცული ლანდშაფტი და ერთი მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორია. აქედან დაცული ტერიტორიების სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულია 94 დაცული ტერიტორია, ხოლო დაცული ლანდშაფტებისა და მრავალმხრივი გამოყენების ტერიტორიის მართვაზე პასუხისმგებელია ადგილობრივი მუნიციპალიტეტი.

2024 წლის მდგომარეობით, დაცული ტერიტორიების ფართობი შეადგენს 927 751 ჰექტარს, რაც საქართველოს ტერიტორიის დაახლოებით 13,3%-ია.

დაცული ტერიტორიების ქსელის განვითარება

- 2024 წელს, 15 310 ჰა-ზე შეიქმნა გურიის ეროვნული პარკი;
- საანგარიშო პერიოდში მომზადდა რაჭის დაცული ტერიტორიების გაფართოების კანონპროექტი. მიმდინარეობს მუშაობა სვანეთის, სამეგრელოს და ლეჩხუმის გეგმარებით დაცულ ტერიტორიებთან დაკავშირებით, განხორციელდა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან.

დაცული ტერიტორიების მართვის დოკუმენტები

- 2024 წლის საანგარიშო პერიოდში დამტკიცდა 3 დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმა; 2024 წლის მდგომარეობით სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული 25 ტერიტორიული ადმინისტრაციიდან მენეჯმენტის გეგმით იმართება 13 დაცული ტერიტორია, 12 დაცული ტერიტორიის მენეჯმენტის გეგმაზე მიმდინარეობს მუშაობა;
- 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ცალკეული დაცული ტერიტორიებისთვის შემუშავდა 6 ეკოტურიზმის განვითარების გენერალური გეგმა. აღნიშნული დოკუმენტი, 2024 წლის მდგომარეობით, სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული 25 ტერიტორიული ადმინისტრაციიდან შემუშავებულია ჯამში 14 ადმინისტრაციისთვის.
- 2024 წლის საანგარიშო პერიოდში შემუშავდა ნარჩენების მართვის გეგმა 7 დაცული ტერიტორიისთვის;

ბუნებრივი რესურსების მდგრადი სარგებლობა

- ტყის მართვა - 2024 წლის საანგარიშო პერიოდში, ინვენტარიზაცია ჩატარდა 6 დაცულ ტერიტორიაზე - ჯამში 31 640 ჰექტარზე და მომზადდა 6 ტყის მართვის გეგმა; 2024 წლის მონაცემებით ინვენტარიზაცია ჩატარებულია 16 დაცულ ტერიტორიაზე, ჯამში 211 628 ჰექტარზე, რაც დაცული ტერიტორიების ტყის ფართობის (444 463 ჰა) 48%-ს შეადგენს.
- მერქნული რესურსით სარგებლობა - 2024 წლის საანგარიშო პერიოდში ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცემულია ჯამში 2 040,426 მ³ საშუალო მერქანი; ადგილობრივი მოსახლეობის საშუალო მერქნით უზრუნველყოფის მიზნით მოეწყო ერთი საქმიანი ებო.
- ტყის აღდგენის პროექტები - აჯამეთის ალკვეთილის ტერიტორიაზე მიმდინარეობს “იმერული მუხის“ გაშენების პროექტი, 6 ჰექტარ ფართობზე;

- დაცული ტერიტორიების დაცვა-პატრულირება - საანგარიშო პერიოდში დაცული ტერიტორიების სააგენტოს 24-ვე ტერიტორიულ ადმინისტრაციაში ხორციელდებოდა პატრულირება შესაბამისი სპეციფიკური ეკიპირებითა და გამართული ავტოსატრანსპორტო საშუალებებით აღჭურვილი რეინჯერების მიერ; SMART (სივრცითი მონიტორინგის და ანგარიშგების ხელსაწყო) - პატრულირებისა და მონიტორინგის თანამედროვე მეთოდით პატრულირება და მონიტორინგი ხორციელდება 11 დაცულ ტერიტორიაზე; დაცულ ტერიტორიებზე გამოვლენილი და სამართალდამცავ ორგანოებზე გადაცემულია 223 სამართალდარღვევის ფაქტი, მათ შორის, 230 ადმინისტრაციულია, 2 - სისხლის სამართლის. საანგარიშო პერიოდში ყველა ადმინისტრაციისთვის შესყიდულ იქნა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო 319 ერთეული ინვენტარი (ჩანთა, წყლის რეზერვუარი, ცეცხლმაქრი და სხვა); 5 დაცულ ტერიტორიაზე მოეწყო 17 ერთეული დაცვის ზღუდე. აშენდა 5 რეინჯერთა სადგური.
- ბიომრავალფეროვნების მონიტორინგი და კონსერვაციული პროექტები - დაცულ ტერიტორიებზე 10-წლიანი (2020-2029 წწ.) გეგმის შესაბამისად, შერჩეულ საკვანძო სახეობებზე, მიმდინარეობს მაღალი სამეცნიერო ღირებულების კვლევა-მონიტორინგი. 9 დაცულ ტერიტორიაზე მოხდა მდინარეების დათევზიანება ნაკადულის კალმახის ქვირითით, ჯამში დაახლოებით 400 000 ნაკადულის კალმახის ქვირითით. მიმდინარეობს ქურცივის რეინტროდუქციის პროექტი ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებზე, 2024 წელს რიცხოვნობა გაიზარდა და შეადგენს 450 ინდივიდს. კეთილშობილი ირმის რეინტროდუქციის პროექტი მიმდინარეობს 2 ეროვნულ პარკში.
- გარემოსდაცვითი განათლება და ცნობიერების ამაღლება - 2024 წლის საანგარიშო პერიოდის განმავლობაში სულ ჩატარდა 3 661 ეკოსაგანმანათლებლო აქტივობა, მათ შორის: 381 ლექცია-სემინარი, 3 032 ეკოტური, 36 კვირეული, 9 ეკობანაკი, 15 გამწვანებისა და 40 დასუფთავების აქცია; დაინტერესებულ მხარეებთან გაიმართა 125 საინფორმაციო შეხვედრა. ეკოსაგანმანათლებლო აქტივობებში ჩართული იყო 180 საგანმანათლებლო დაწესებულება, მათ შორის, 167 - სკოლა, 7 - უნივერსიტეტი და 6 - ბაღი, ჯამში, ჩაერთო 70 577 მონაწილე.



ეკოტურიზმი დაცულ ტერიტორიაზე

ვიზიტორების სტატისტიკა

- 2024 წლის საანგარიშო პერიოდში საქართველოს დაცულ ტერიტორიაზე დაფიქსირდა 1 110 885 ვიზიტორი, მათ შორის, 41% ქართველია, ხოლო 59% - უცხოელი. ტოპ 5 ქვეყანა: რუსეთი, ინდოეთი, პოლონეთი, ისრაელი, ბელარუსი;
- ყველაზე მონახულებადი დაცული ტერიტორიებია: მარტვილის კანიონი, პრომეთეს მღვიმე, სათაფლია, წალკის კანიონი, მტირალას ეროვნული პარკი.

რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა

- საანგარიშო პერიოდში აშენდა თბილისის ეროვნული პარკის ვიზიტორთა ცენტრი; მიმდინარეობს მუშაობა 6 ვიზიტორთა ცენტრის პროექტირება-მშენებლობაზე;
- საანგარიშო პერიოდში მოეწყო ახალი და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ჯამში დაახლ. 680 კმ სიგრძის ეკოტურისტული ბილიკების ქსელს; მიმდინარეობს 290 კმ-მდე სიგრძის საფეხმავლო ბილიკების, 7 ტურისტული თავშესაფრის მოწყობა (მათ შორის, შშმ პირებზე ადაპტირებული);
- 6 დაცულ ტერიტორიაზე რეაბილიტაცია ჩაუტარდა ტურისტულ ინფრასტრუქტურას (ვიზიტორთა ცენტრი, ადმინისტრაციული შენობა, ხიდები, ნავმისადგომი, ...);
- აშენდა 23 ახალი ტურისტული თავშესაფარი, თანმდევი ინფრასტრუქტურით;



საერთაშორისო პროექტები და ღონისძიებები

- მიმდინარე პერიოდში ხორციელდება 20 საგრანტო პროექტი, დაახლოებით 100 მილიონი ლარის ღირებულების საგრანტო პორტფელით; ძირითადი პარტნიორები: KfW, CNE, შვედეთის მთავრობა, ხპ.
- გერმანიის განვითარების ბანკის (KfW) ფინანსური მხარდაჭერით, 4 დაცულ ტერიტორიაზე მიმდინარეობს ადგილობრივი თემებისთვის სოციალურ-ეკონომიკური (FPA) კომპონენტის განხორციელება. მიმდინარე პერიოდისთვის გაცემულ იქნა დაახლოებით 150 000 ლარის ოდენობის გრანტი;
- შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, პროექტ “გადავარჩინოთ ბუნება - საქართველოს“ ფარგლებში, განხორციელდა სააგენტოს სტრატეგიული დოკუმენტაციების შემუშავება, სააგენტოს შესაძლებლობების გაძლიერება, ალტურვილობის შესყიდვა და სხვა.
- დაცული ტერიტორიების პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტომ მონაწილეობა მიიღო შემდეგი ქვეყნების საერთაშორისო ტურისტულ გამოფენებში: საუდის არაბეთი, აშშ, დიდი ბრიტანეთი, ჩინეთი;
- სააგენტომ ორგანიზება გაუწია ჩინეთის ტურისტული და მედია კომპანიების სამუშაო ვიზიტს დაცულ ტერიტორიებზე;



მარკაპიტინგი და საზოგადოებასთან ურთიერთობა

- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა 45 ღონისძიება, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი. მათ შორის რეინჯერთა პროფესიული დღის - “რეინჯერთა საერთაშორისო დღის“ აღსანიშნავი ღონისძიება.
- გავრცელდა 73 სიახლე, როგორც სატელევიზიო და ონლაინ მედიაში, ისე სოციალური ქსელის საშუალებით; მომზადდა 37 სიუჟეტი; დაცული ტერიტორიების სააგენტოს წარმომადგენლები 31-ჯერ ესტუმრნენ სხვადასხვა თემატურ გადაცემას.
- ვუმასპინძლეთ 2 მედია ტურს, ადგილობრივი და საერთაშორისო მედიის წარმომადგენლების მონაწილეობით.
- სატელევიზიო და სოციალური მედია არხებისთვის მომზადდა 10 ვიდეოკლიპი; შეიქმნა 70-მდე სხვადასხვა სახის ვიზუალური მასალა, შემუშავდა ათობით დიზაინი სააგენტოს საიმიჯო სტენდებისა და საპრომოციო მასალებისთვის.
- დაცული ტერიტორიების სააგენტოს სოციალური ქსელების გამომწერთა და მიღწეული ნახვების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა და შემდეგნაირად ნაწილდება:

	ფეისბუქი - National Parks of Georgia	ფეისბუქი -Protected Areas of Georgia	ინსტაგრამი - National Parks of Georgia	ინსტაგრამი – Protected areas of Georgia
გამომწერთა რაოდენობა	148 367	151 286	15 537	2 501
მიღწეული ნახვა (Reach)	4 479 756	5 401 818	1 969 846	811 802
ვიდეოების ნახვა	11 633 600	14 318 112	3 381 300	422 064

ველური ბუნების ეროვნული სააგენტო



wla.gov.ge



2024 წელს ველური ბუნების ეროვნული სააგენტო აქტიურად მუშაობდა კანონპროექტის სრულყოფაზე „ნადირობისა და სანადირო სახეობათა მართვის შესახებ“, რაც ხელს შეუწყობს ბრაკონიერობის შემცირებასა და ევროპულ გამოცდილებაზე დაფუძნებულ მონადირეთა სერტიფიცირების სისტემის შექმნას.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და შვედეთის სამეფოს მთავრობის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში, „ნადირობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის სამუშაო ვერსიის სრულყოფაზე ველური ბუნების სააგენტო მთელი წლის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა. კანონპროექტი წარდგენილი იქნა როგორც, გარემოსდაცვითი მიმართულების არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების ასევე, სამონადირეო კლუბებისა და მეურნეობების წარმომადგენლებთან.

ნადირობის შესახებ ახალი კანონი ხელს შეუწყობს ნადირობის მდგრადი სისტემის დანერგვას. კანონპროექტის მიზანია ნადირობის ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური ფასეულობების თანაბრად გათვალისწინება და სანადირო სახეობებისა და მათი საბინადრო გარემოს (ჰაბიტატი) მდგრადი მართვა, სახეობათა პოპულაციების კონტროლი, ასევე, მონადირეთა სერტიფიცირება, რის შედეგადაც შეიზღუდება ბრაკონიერობა.

ახალი რეგულაციით, სერტიფიცირებულ მონადირეს ექნება მონადირეთა საერთაშორისო ორგანიზაციის (CIC) მიერ აღიარებული ნადირობის სერტიფიკატი. ახალი კანონით საქართველოში დაიწყება ველური ბუნების მდგრადი მართვის სფეროში საუკეთესო ევროპული გამოცდილების დანერგვა, რაც ხელს შეუწყობს როგორც სანადირო სახეობების პოპულაციების აღდგენას, ასევე ბრაკონიერობის შემცირებას; მოხდება ადგილობრივი სახეობების აღწარმოება, სანადირო მეურნეობების წინასწარი დაპროექტება, საზოგადოებრივი სავარგულების დადგენა და ადგილობრივ სახეობებზე ნადირობის დაშვება ინდივიდუალური ლიცენზიით.

ველური ბუნების სააგენტოს ინიციატივითა და შვედეთის მთავრობის დაფინანსებით, პროექტის „გადავარჩინოთ ბუნება - საქართველო“ ფარგლებში, ალგეთის ეროვნული პარკის ტერიტორიაზე საქართველოს წითელი ნუსხის სახეობის, კეთილშობილი ირმის საშენის მოწყობისთვის 2023 წელს მომზადდა პროექტი, რის საფუძველზეც 2024 წელს ალგეთის ეროვნული პარკში ევრაზიის კონტინენტზე არსებული კეთილშობილი ირმის სახეობების საშენი მოეწყო. ტერიტორია შეიღობა, მოეწყო ადმინისტრაციული კოტეჯი. 2025 წლის ივნისის თვეში დააგეგმილია საშენში ირმების შეყვანა.

გადაშენება ემუქრება მხოლოდ კავკასიურ ქვესახეობას, რაც ათეული წლების განმავლობაში მიმდინარე ბრაკონიერობის შედეგია. სწორედ ამიტომ, ალგეთის ეროვნული პარკის ვრცელ ტერიტორიაზე (8000ჰა) კეთილშობილი ირმის ველური პოპულაციის შეიქმნება, რის შედეგადაც იგი გეოგრაფიულად დაუახლოვდება სხვა არსებულ პოპულაციებს

2016 წლიდან ველური ბუნების ეროვნული სააგენტო ახორციელებს პროექტს, რომელიც საქართველოს “წითელი ნუსხის“ სახეობის, მდინარის კალმახის გამრავლებას ითვალისწინებს. ნაკადულის ანუ მდინარის კალმახი 2006 წელს “წითელ ნუსხაში“ მოხვდა. ველური ბუნების სააგენტო მუშაობს ნაკადულის კალმახის სხვადასხვა პოპულაციების გამრავლებაზე და შემდეგ მდინარეთა დათევზიანებაზე. მდინარის კალმახის საშენში 160 კვ.მ. შენობა აშენდა, სადაც კალმახის ინკუბატორი და სალიფსიტე აუზები განთავსდა. აღნიშნული საინკუბატორო ნაგებობა სააგენტოს აძლევს საშუალებას გამოჩეკილი ლიფსიტების რაოდენობა იყოს წლიურად 500 000-ზე მეტი. 2024 წელს ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ წითელი ნუსხის სახეობის, მდინარის კალმახით 33 მდე მდინარე და ტბა 835 000 მდე ლიფსიტითა და ლავრით დაათევზიანა. გაშვებული თევზების მეთვალყურეობა ფოტო და ვიდეო ხაფანგებით ხდება. ასევე, ველური ბუნების ეროვნულმა სააგენტომ ადგილობრივი ველური სახეობის 5 000 ფრთაზე მეტი კოლხური ხობის, კაკბის და ხონთქრის ქათმის გამრავლება განახორციელა, ბუნებაში გაშვებისა და სამონადირეო მეურნეობებისთვის მიწოდების მიზნით.



ეროვნული სატყეო სააგენტო

forestry.gov.ge



ეროვნული სატყეო სააგენტო ქვეყანაში ტყის მართვის ძირითადი ორგანოა. სააგენტოს ძირითად ფუნქციას ტყის მდგრადი მართვა, ტყის მოვლა-აღდგენა და ტყის ტერიტორიაზე ბიოლოგიური მრავალფეროვნების კომპონენტების მდგრადი გამოყენება წარმოადგენს.

სააგენტო მართავს 1,922,722 ჰა სახელმწიფო ტყეს და რეგიონული სატყეო სამსახურების მეშვეობით, ქვეყნის 9 რეგიონში ოპერირებს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარდა).

ეროვნული სატყეო სააგენტოს პრიორიტეტული მიმართულებებია ტყეების სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესება, ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება, ასევე, მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობა და მერქანზე ხელმისაწვდომობის კანონიერი ზრდა, რაც მოსახლეობის შეშით მომარაგების ახალი მექანიზმის დანერგვას გულისხმობს. მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის მიზნები ასევე მოიცავს კერძო სექტორის ხელშეწყობას, ტყის არამერქნული რესურსებით სარგებლობისა და ეკოტურიზმის განვითარებას, დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნასა და შემოსავლების მიღების შესაძლებლობების ზრდას.

სააგენტოს პრიორიტეტებია:

- ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებების ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლების გაზრდა, მათ შორის სამუშაოების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის გაუმჯობესებული მექანიზმის დანერგვის გზით;
- ტყის მართვის დაგეგმვის გაუმჯობესება ტყის ინვენტარიზაციისა და მართვის გეგმების მომზადებით;
- თანამშრომელთა შესაძლებლობების განვითარება, მათ შორის ტყის კოდექსით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად;
- საზოგადოების ცნობიერების დონის ამაღლება და ინფორმირების ხელშეწყობა;
- მოსახლეობის და კერძო სექტორის მერქნულ რესურსზე მოთხოვნილების დაკმაყოფილება ერთიან მხრივ სოციალური ჭრის ფარგლებში, ასევე, სააგენტოს მიერ ორგანიზებული ხე-ტყის დამზადების ღონისძიებებით;
- მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობის უზრუნველყოფა და ეკოსისტემების მომსახურების განვითარება;
- მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების განვითარება, როგორც სატყეო სამუშაოებისათვის საჭირო ტექნიკა-აღჭურვილობის შეძენით, ასევე, სატყეო ინფრასტრუქტურის (სატყეო გზები, საქმიანი ეზოები) განვითარებით;
- ინსტიტუციური გაძლიერება და მმართველობის გაუმჯობესება.

ტყის მოვლა-აღდგენა

ტყის აღდგენის უზრუნველსაყოფად მომზადებული 40 პროექტის ფარგლებში ტყის აღდგენის ღონისძიებები განხორციელდა და მიმდინარეობს 2 120,6 ჰა ფართობზე 6 რეგიონში (იმერეთი, სამცხე-ჯავახეთი, ქვემო ქართლი, გურია, შიდა ქართლი, კახეთი). ტყის აღდგენის ღონისძიებების ფარგლებში ხორციელდება როგორც ბუნებრივი განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები, ასევე წინა წლებში აღდგენილი ფართობების მოვლა. დარგული იქნა 24 250 ნერგიც.

2013-2023 წლებში ტყის აღდგენის ღონისძიებები განხორციელდა 4000 ჰა-ზე მეტ ფართობზე, ხოლო 2030 წლისთვის სამუშაოები 20 000 ჰა ფართობზე განხორციელდება.

ტყის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების და მავნებელ-დაავადებების მართვის მიზნით განხორციელდა მბეჭდავი ქერქიჭამიასთან ბრძოლის ღონისძიებები სამცხე-ჯავახეთის რეგიონში სანიტარული ჭრებისა და ფერომონიანი მწერმჭერების გამოყენებით. განთავსებულია 3000 ცალი ფერომონიანი მწერმჭერი, ხოლო სანიტარული ჭრა განხორციელდა თითქმის 12 000 კმ ოდენობით. ამავდროულად, სამომავლოდ ღონისძიებების მდგრადობის უზრუნველსაყოფად მიმდინარეობს მუშაობა სოფლის მეურნეობის კვლევით ცენტრთან ერთად მავნე მწერის ბუნებრივი მტრების გამოყვანა-გამოცდაზე.

იმერეთის რეგიონში წაბლის ქერქის კიბოს წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების გამოცდის ფარგლებში განხორციელდა სანიტარული ჭრები 2450 კმ-ს ოდენობით.

შიდა ქართლის რეგიონში ფიჭვნარ კორომში იდენტიფიცირებული მავნე მწერის წინააღმდეგ ბრძოლის მიზნით განხორციელდა 7 ჰა ფართობის შეწამვლა-დამუშავება.

ტყის ხანძრებისაგან დაცვისა და პრევენციის უზრუნველსაყოფად მომზადდა ტყის ხანძრების მართვის გეგმები ყველა სატყეო უბნისთვის, განახლებულ იქნა პირველადი რეაგირებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მთელი წლის განმავლობაში მიმდინარეობდა საინფორმაციო კამპანია.



ტყის ინვენტარიზაცია და მართვის გეგმების მომზადება

ტყის მართვის გეგმების მომზადების მიზნით ტყის ინვენტარიზაცია განხორციელდა 4 მუნიციპალიტეტში (ყვარელი, თელავი, ონი, ცაგერი) ჯამში 205 619 ჰა ფართობზე. დასამტკიცებლად მომზადდა ტყის მართვის გეგმები ასევე 6 მუნიციპალიტეტისათვის (დედოფლისწყარო-სიღნაღი, ადიგენი, ამბროლაური, წალკა-თეთრიწყარო) ჯამში 188 500 ჰა ფართობისთვის.

მომზადდა ტექნიკური დავალებები და მიმდინარეობს მომსახურების შესყიდვა 2024-2025 წლებში დამატებით 4 მუნიციპალიტეტში (საგარეჯო, გურჯაანი, თიანეთი, ოზურგეთი) ჯამში 126 730 ჰა ფართობზე ტყის ინვენტარიზაციის განხორციელების უზრუნველსაყოფად.

2013-2024 წლებში ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოები 866 030 ჰა ფართობზე განხორციელდა და განახლებულია მონაცემები სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მართვას დაქვემდებარებული ფართობის 50%-სთვის.

ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოების უწყვეტობის უზრუნველსაყოფად კვალიფიციური ახალგაზრდა კადრის მომზადებისთვის სააგენტომ შეიმუშავა სპეციალური სამთვიანი პროგრამა. 2019-2024 წლებში გადამზადდა სატყეო განათლების მქონე 62 ახალგაზრდა, რომლებიც ტყის ინვენტარიზაციის სამუშაოებზე დასაქმდა.



ტყითსარგებლობა

- სააგენტოს მიერ სამეურნეო და მოვლითი ჭრებით დამზადებულია 74 474 კბმ მერქნული რესურსი;
- საბიუჯეტო ორგანიზაციების მომარაგების მიზნით მიწოდებულია 17 334,6 კბმ მერქნული რესურსი;
- მოსახლეობის სათბობ შემაზე მოთხოვნილების დაკმაყოფილების მიზნით სოციალური ჭრის ტყეკაფებიდან გაცემულია 178 000 კბმ მერქნული რესურსი.

ინფრასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებები

მოსახლეობის და კერძო სექტორის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გამარტივების, ასევე, ხანძარსაწინააღმდეგო პრევენციისა და სატყეო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მოეწყო 6.4 კმ და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 111.7 კმ სატყეო სამეურნეო გზას.

გარემონტდა და კეთილმოეწყო რეგიონული სატყეო სამსახურების 2 ადმინისტრაციული შენობა და მიმდინარეობს 3 ადმინისტრაციული შენობის მშენებლობა და რემონტი.

მოსახლეობის და კერძო სექტორის მერქნულ რესურსზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით აშენდა 6 საქმიანი ეზო 6 მუნიციპალიტეტში. მიმდინარეა და წლის ბოლოსთვის დასრულდება 10 საქმიანი ეზოს მშენებლობა. ჯამში, დღეისათვის მოწყობილია 61 საქმიანი ეზო ქვეყნის მასშტაბით.



ადამიანური რესურსები და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

სააგენტოზე დაკისრებული მოვალეობებისა და სატყეო ღონისძიებების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველსაყოფად შეძენილ იქნა 34 ერთეული სატვირთო და სპეციალური საშუალებები, ასევე შესაბამისი აღჭურვილობა როგორც ტყეში საქმიანობის, ასევე საქმიანი ეზოების სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის.

ტყის მონიტორინგისა და დაცვის გაუმჯობესების მიზნით შეძენილ იქნა თანამედროვე ტექნოლოგიები დრონებისა (9 ერთეული) და ფოტოხაფანგების (300 ერთეული) სახით.

სააგენტოზე დაკისრებული უფლება-მოვალეობების ეფექტიანად შესრულებისა და მომსახურების გაწევის გაუმჯობესების მიზნით 2024 წელს შრომითი ხელშეკრულების კვოტამ 770 შეადგინა, რაც განაწილდა ქვეყნის მასშტაბით რეგიონულ სატყეო სამსახურებში. მათ შორის 105 ადამიანით დაკომპლექტდა 15 საქმიანი ეზო.



საერთაშორისო თანამშრომლობა

2024 წელს დასრულდა სლოვენის მთავრობის მიერ დაფინანსებული პროექტი „ტყის მდგრადი მართვა ადიგენის მუნიციპალიტეტში, ფაბა II“. პროექტი 2023-2024 წლებში მიმდინარეობდა და შედეგად ადიგენის მუნიციპალიტეტში სამ ლოკაციაზე მოეწყო ეკოტურისტული ინფრასტრუქტურა (საფეხმავლო ბილიკები, საკემპინგე, საპიკნიკე და თავშესაფრები კოტეჯების სახით), სხვადასხვა მიმართულებით გადამზადდა, როგორც ეროვნული სატყეო სააგენტოს თანამშრომლები, ასევე ადგილობრივი მოსახლეობა და პროფესიული კოლეჯის მასწავლებლები. გაუმჯობესებული სტანდარტების მიხედვით მომზადდა 5 კმ სატყეო გზის პროექტი და პროექტის მიხედვით განხორციელდა გზის მოწყობისა და რეაბილიტაციის სამუშაოები. შეძენილ იქნა საქმიანი ეზოს ოპერირებისა და ტყეში უსაფრთხოდ სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო ტექნიკა და აღჭურვილობა.

თანამშრომლობის გაგრძელების უზრუნველსაყოფად მომზადებულია საპროექტო განაცხადი მესამე ფაზისთვის, რაც მოიცავს სააგენტოს და ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების გაძლიერებისთვის საგანმანათლებლო, მრავალმიზნობრივი ტყითსარგებლობისა და ენერგოეფექტურობის განვითარებისკენ მიმართულ აქტივობებს.

კლიმატის მწვანე ფონდის (GCF), გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის, შვეიცარიის კონფედერაციის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის მიერ დაფინანსებული მიმდინარე პროექტის - ECO.Georgia-ს ფარგლებში, „გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებასა“ (GIZ) და სააგენტოს შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელდა პროექტით შეთანხმებული აქტივობები 8 სამიზნე მუნიციპალიტეტში (ახმეტა, თელავი, ყვარელი, დედოფლისწყარო, თიანეთი, ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაური), მათ შორის სრულად აღიჭურვა და ადამიანური რესურსებით დაკომპლექტდა 15 საქმიანი ეზო, საერთაშორისო სტანდარტის მიხედვით მოეწყო სატყეო სამეურნეო გზა ზემო სურებში, შეძენილ იქნა ტექნიკა და აღჭურვილობა სატყეო სამეურნეო სამუშაოებისათვის, განხორციელდა სააგენტოს თანამშრომელთა გადამზადება სხვადასხვა მიმართულებით და სხვა.



ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

anrs.gov.ge



სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს საქმიანობის ძირითად მიზანს წარმოადგენს მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანისა და გარემოს დაცვა.

აღნიშნული მიზნის შესაბამისად, სააგენტო შეიმუშავებს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სფეროში კანონმდებლობის პროექტებს, თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან, ახორციელებს ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზაციასა და ინსპექტირებას, ასევე, რადიოაქტიური ნარჩენების მართვასა და ბირთვულ ან/და რადიოლოგიურ საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას.

კანონმდებლობის შემუშავების სფეროში სააგენტოს საქმიანობა

რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის სფეროში მოქმედი სახელმწიფო პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოს განმსაზღვრელი „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონი 2012 წელს იქნა მიღებული. ტექნოლოგიების განვითარების შედეგად წარმოშობილი საჭიროებებისა და მოქმედი რეგულაციების საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის მიზნით, სააგენტომ შეიმუშავა „რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა მიიღო 2023 წლის 16 ივნისს. კანონის მოსალოდნელი ზოგადი შედეგი მარეგულირებელი რეჟიმის გაუმჯობესებაა, მისი ეფექტიანობის უზრუნველყოფის გზით, რაც აუცილებელია ადამიანისა და გარემოს დასაცავად მაიონებელი გამოსხივების მავნე ზემოქმედებისაგან.

როგორც ცნობილია, მაიონებელი გამოსხივების წყაროები (როგორც რადიოაქტიური წყარო, ისე გენერატორი) აქტიურად გამოიყენება განათლებაში, მეცნიერებაში, მრეწველობაში, მედიცინაში, კლიმატის ცვლილებასთან ბრძოლის სფეროში და სხვა მიმართულებით და მასასადამე, ადამიანთა ყოველდღიური მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. ტექნოლოგიური პროგრესისა და წარმოშობილი საჭიროებების პარალელურად, იზრდება მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენების მასშტაბიც და რაოდენობაც.

მიუხედავად დამახასიათებელი ბენეფიტებისა, მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენება დაკავშირებულია რისკებთან, გააჩნია რა პოტენციური, მაგნე ზემოქმედება მოახდინოს ადამიანსა და გარემოზე. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ყველა ჩამოთვლილი მიმართულებით წყაროებთან საქმიანობის რეგულირებას. მაიონებელი გამოსხივების წყაროების გამოყენებით მიღებულმა სარგებელმა უნდა გადაწონოს მაგნე ზემოქმედების რისკები - აღნიშნული პრინციპის უზრუნველყოფა რეგულირების, მარეგულირებელი მოთხოვნების დადგენის, შესრულების კონტროლისა და იძულებითი ღონისძიებების იმპლემენტაციის მიზანი.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს მოთხოვნების შესაბამისად, სააგენტომ შეიმუშავა ტექნიკური რეგლამენტის - „მაიონებელი გამოსხივების წყაროებთან მოპყრობისადმი რადიაციული უსაფრთხოების ნორმებისა და ძირითადი მოთხოვნების“ ცვლილების პროექტი, რომელიც წარედგინა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს შემდგომი პროცედურების განსახორციელებლად.

სააგენტოში შეიმუშავდა და დამტკიცდა „სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს 2024-2029 წლების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.“

ინტეგრირებული მართვის სისტემის დანერგვის მიზნით, სააგენტოს სტრუქტურული ქვედანაყოფების დებულებით განსაზღვრული ფუნქცია-მოვალეობების შესაბამისად, განხორციელდა თითოეული სტრუქტურული ქვედანაყოფის მიერ პროცედურების აღწერა. შეიმუშავდა აღნიშნული პროცედურების სამუშაო ვერსიები. შემდეგ ეტაპზე დაგეგმილია შეიმუშავებული დოკუმენტების დამტკიცება და პრაქტიკაში გამოყენება მარეგულირებელ კანონმდებლობაში აღწერილი პროცედურების უფრო ეფექტურად განხორციელებისა და სააგენტოს ყოველდღიური საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით.

ასევე, აღსანიშნავია, რომ სააგენტომ შეიმუშავა საქართველოს მთავრობის დადგენილებების პროექტები „ბირთვული და რადიოაქტიური მასალების არალეგალურ მიმოქცევაზე რეაგირების წესი“ და „ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციის დროს ნიმუშების აღების წესი“.

ავტორიზაციის სამსახურის საქმიანობა

ბირთვული და რადიაციული საქმიანობების სახელმწიფო რეგულირების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი კომპონენტია აღნიშნული საქმიანობის ავტორიზაცია, რომელიც გულისხმობს ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემას.

2024 წელს გაიცა ბირთვული და რადიაციული საქმიანობის 71 ლიცენზია, უარი ეთქვა - 3 ორგანიზაციას, გაუქმდა 64 ლიცენზია.


ლიცენზიის მფლობელ 99 ორგანიზაციას მიეცა ლიცენზიის ფარგლებში საქმიანობის გაფართოების უფლება, რაც გულისხმობს სააგენტოს სპეციალისტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვას არსებული სიტუაციის რადიაციული დაცვის, ბირთვული უსაფრთხოებისა და დაცულობის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით და შესაბამისი დასკვნის მომზადებას.

ლიცენზიის ფარგლებში გაიცა 35 ნებართვა მაიონებელი გამოსხივების წყაროების იმპორტ-ექსპორტზე, ტრანზიტსა და შექენა-გადაცემაზე. ნებართვის გაცემაზე უარი ეთქვა - ერთ ორგანიზაციას.

საქართველოს კანონმდებლობისა და სალიცენზიო პირობების შესაბამისად ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ყოველწლიურად, პირველი აპრილიდან პირველ მაისამდე, სააგენტოს წარუდგინოს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება:


- ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ლიცენზიის მფლობელი პირების რაოდენობამ, ვისაც ეკუთვნოდა 2024 წელს პირველი აპრილიდან პირველ მაისამდე 2023 წლის ანგარიშგების ჩაბარება, შეადგინა - 957.
- სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება დროულად ჩააბარა - 854 ორგანიზაცია.
- სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება არ ჩააბარა - 103 ორგანიზაცია (ამ რაოდენობაში შედის 12 ორგანიზაცია, რომელიც არის გაკოტრების რეჟიმში, ლიკვიდირებული ან რეაბილიტაციის რეჟიმშია).
- სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება დაგვიანებით (30 აპრილის შემდეგ) ჩააბარა 28 ორგანიზაციამ.
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმის გამოწერის თაობაზე გაგზავნილი იქნა - 90 შეტყობინება, საიდანაც სააგენტოში დაბრუნდა 49 შეტყობინება (სხვადასხვა მიზეზის გამო).
- გამოწერილი იქნა 41 ოქმი ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ.

ავტორიზაციის სტატისტიკური მონაცემები (2023-2024 წელი)



შენიშვნა: მონაცემები დამუშავებულია მიმდინარე წლის პირველი დეკემბრის მდგომარეობით.

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება (2022-2023 წელი)



ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის საქმიანობა

ბირთვული და რადიაციული საქმიანობის ავტორიზებული პირების მიერ საქმიანობის განხორციელებისას სალიცენზიო პირობების შესრულების კონტროლისა და ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების პირობების დარღვევის გამოვლენის მიზნით 2024 წლის გეგმური ინსპექტირების პროგრამით დაგეგმილი 120 ინსპექტირებიდან განხორციელდა 108 ინსპექტირება. ინსპექტირება გაუქმდა 12 ობიექტზე (საქმიანობის შეჩერებისა და ლიცენზიის გაუქმების მიზეზით).

საერთო ჯამში, ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურმა განახორციელა 119 ინსპექტირება: 108 გეგმური და 11 არაგეგმური, როგორც სამედიცინო, ასევე არასამედიცინო პროფილის მქონე ორგანიზაციებში.

ჩატარებული ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამობა 34 ორგანიზაციაში, რაზედაც შედგენილი იქნა 57 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. გამოწერილი ოქმების შესაბამისმა ჯამურმა თანხამ შეადგინა 34 600 ლარი. დარღვევები გამოვლინდა ინსპექტირების ობიექტების 28.57%-ში. ხოლო 2023 წელს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შეუსაბამობა გამოვლინდა 20 ორგანიზაციაში, რაზედაც შედგენილი იქნა 34 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი. 2023 წელს გამოწერილი ოქმების ჯამურმა თანხამ შეადგინა 17 700 ლარი.

გამოვლენილი სამართალდარღვევები განაწილდა შემდეგნაირად:

592 მუხლის 1-ლი ნაწილით გამოიწერა 12 ოქმი (რადიაციულ უსაფრთხოების საკითხებში გადაზღვრების ვალდებულების დარღვევა);

592 მუხლის მე-2 ნაწილით გამოიწერა 17 ოქმი (ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობაში განხორციელებული ცვლილებების შეუტყობინებლობის და დოკუმენტაციის წარმოების წესის დარღვევა);


592 მუხლის მე-3 ნაწილით გამოიწერა 17 ოქმი (მონიტორინგის ხელსაწყოების გამოყენების ვალდებულების დარღვევა);

592 მუხლის მე-5 ნაწილით გამოიწერა 2 ოქმი (ბირთვული და რადიაციული ობიექტის, რადიოაქტიური წყაროების ფიზიკური დაცულობის დარღვევა);

592 მუხლის მე-6 ნაწილით გამოიწერა 7 ოქმი (საქმიანობის გაფართოების შესახებ შეტყობინების ვალდებულების დარღვევა);


592 მუხლის მე-8 ნაწილით გამოიწერა 2 ოქმი (არა-ავტორიზებული ბირთვული და რადიაციული საქმიანობის წარმოება).

ინსპექტირების შედეგები




გამოვლენილი დარღვევები ძირითადად ეხებოდა: ლიცენზიის მფლობელის მიერ ბირთვული და რადიაციულ საქმიანობისას დოკუმენტაციის წარმოების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შეუსაბამობას, ასევე რადიაციული უსაფრთხოების საკითხებში პერსონალის გადამზადების კანონმდებლობით დადგენილი ვადების დარღვევასა და ბირთვულ და რადიაციულ საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი ცვლილების შესახებ შეტყობინების მარეგულირებელი ორგანოსათვის წარდგენის ვალდებულების დარღვევას. ასევე დარღვევები დაფიქსირდა ბირთვული და რადიაციული ობიექტის, რადიოაქტიური წყაროების ფიზიკური დაცულობის დარღვევის შემთხვევა. ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის მიერ გამოვლინდა ორი არა ავტორიზებული საქმიანობის ფაქტი.

გამოვლენილი სამართალდარღვევების დინამიკა ასკ-ის 592 მუხლის ნაწილების მიხედვით:



ინსპექტირებისა და გამოვლენილი დარღვევების დინამიკა 2019-2024 წლების მიხედვით



საანგარიშო პერიოდში ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტების მიერ განხორციელდა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებზე, საბაჟო და სატრანსპორტო ტერმინალებზე რადიაციული განგაშის შემთხვევებზე და შემოსულ შეტყობინებებზე - 21 რეაგირება.

- 2024 წლის 19 მარტს რეაგირების მიზნით განხორციელდა ქ. ფოთის პორტში, სატვირთო მანქანების რადიოლოგიური შემოწმება, რომლებმაც რადიაციულ პორტალურ მონიტორში გავლისას გამოიწვიეს რადიაციული განგაში.
- 2024 წლის 30 მარტს განხორციელდა რეაგირება ბათუმის აეროპორტში, რადიაციულ პორტალურ მონიტორში მგზავრის გავლისას გამოწვეული განგაშის საფუძველზე.
- 2024 წლის 28 მაისს მოსახლეობის მოთხოვნის საფუძველზე განხორციელდა რეაგირება რადიოლოგიური გაზომვების მიზნით წალენჯიხის რაიონის, ქალაქი ჯვრის, ოჯანეს უბნის, ე. ფიფიას 23 ში მდებარე მოქალაქე ბესიკი ჭკადუას საცხოვრებელი სახლის ტერიტორიაზე.
- 2024 წლის 16 ივნისს განხორციელდა რეაგირება შპს „Maika.ge“-ს მაღაზიაში (წერეთლის გამზირი N2) საბჭოური წარმოების დობიმეტრი DP-5-ზე დამონტაჟებული რადიოაქტიური ნივთიერების ამოღების მიზნით.
- 2024 წლის 6 აგვისტოს განხორციელდა ბათუმის პორტში ორი სატვირთო ავტომობილის რადიაციული შემოწმება, რომლებმაც რადიაციულ პორტალურ მონიტორში გავლისას გამოიწვიეს რადიაციული განგაში.
- 2024 წლის 27 აგვისტოს განხორციელდა რეაგირება სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრდაზვერვის დეპარტამენტიდან შემოსული შეტყობინების საფუძველზე.
- 2024 წლის 25 სექტემბერს მოქალაქის მომართვის საფუძველზე განხორციელდა ქ. ბათუმში, გონიოს დასახლება, ანდრია პირველწოდებულის N56 მისამართის მიმდებარე ტერიტორიის რადიაციული მონიტორინგი.
- 2024 წლის 15 ოქტომბერს განხორციელდა საბჭოური წარმოების დობიმეტრზე DP-5-ზე დამონტაჟებული რადიოაქტიური ნივთიერების ამოღება.






2024 წლის განმავლობაში ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის სპეციალისტებმა განხორციელეს სააგენტოს დებულებით განსაზღვრული სერვისები - რადიომეტრიული გაზომვები, კერძოდ:

- 2024 წლის 1-იანვარს განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება;
- მოქ. გ. ფოჩხუას მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა 100 მ2 საცხოვრებელი ფართის დობიმეტრიული გაზომვები;
- მოქ. გ. გედევანიშვილის მოთხოვნის საფუძველზე, ჩატარდა კომერციული ფართის დობიმეტრიული გაზომვები;
- 2024 წლის 29 აგვისტოს განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება;
- 2024 წლის 15 სექტემბერს განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება.
- 2024 წლის 16 დეკემბერს განხორციელდა საქართველოს ტერიტორიაზე ტრანზიტით მიმავალი მე-7 კლასის ტვირთის მქონე სარკინიგზო ვაგონებზე განთავსებული კონტეინერების შემოწმება.


გარემოს რადიაციული მონიტორინგი

ინსპექტირებისა და რეაგირების სამსახურის მიერ 2024 წლის განმავლობაში განხორციელდა გარემოს ბუნებრივი რადიაციული ფონის მონიტორინგი, გარემოს რადიაციული ფონის მონიტორინგის ავტომატური სადგურების საშუალებით ლოკაციებზე: თბილისი, თელავი, მესტია, სარფი, ფოთი.

გარემოს რადიაციული მონიტორინგის შედეგების ვიზუალიზაცია 2024 წლის განმავლობაში ადგილმდებარეობის მიხედვით (დოზის სიმძლავრე განსაზღვრულია მკვზ/სთ-ში)



გარემოს მონიტორინგის სადგურების მონაცემების შედარება ლოკაციების მიხედვით



გარემოს რადიაციული მონიტორინგის შედეგად ქ. თბილისში საშუალო მონაცემებით ბუნებრივმა რადიაციულმა ფონმა შეადგინა: 0.096 მკბვ/სთ-ში, თელავში - 0.114 მკბვ/სთ-ში, მესტიაში - 0.171 მკბვ/სთ-ში, სარფში - 0.097 მკბვ/სთ-ში, ფოთში - 0.074 მკბვ/სთ-ში. ყველა სადგურისთვის საშუალო თვიური ბუნებრივი რადიაციული ფონი მერყეობს: 0.106 მკბვ/სთ-დან 0.114 მკბვ/სთ-მდე. ბუნებრივი რადიაციული ფონის მაჩვენებლების განსხვავება გამოწვეულია გეოგრაფიული და გეოლოგიური პირობებით. რადიაციული ფონის ანომალური გადახრა არ დაფიქსირებულა, დობის სიმძლავრის მნიშვნელობა თვეების მიხედვით ერთგვაროვანია, არ ჰქონდა ადგილი რადიოლოგიურ განგაშს და შესაბამისად არც რადიოლოგიური ინციდენტის განვითარებას.

2020 წელს ევროკავშირის მიერ მხარდაჭერილი პროექტის „ბირთვული ავარიის შემთხვევაში საქართველოს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მზადყოფნის გაძლიერება“ ფარგლებში სააგენტოს გადმოეცა 1 000 000 ევროს ღირებულების მობილური ლაბორატორია. მობილურ ლაბორატორიაში დამონტაჟებული მოწყობილობების საშუალებით შესაძლებელია წყლის, ნიადაგისა და ჰაერის ნიმუშების აღება და ლაბორატორიული კვლევისა და ანალიზის სავსე პირობებში ჩატარება.

2024 წელს მობილური ლაბორატორიის მეშვეობით გურიასა და სამეგრელოში განხორციელდა რადიაციის ფონური მაჩვენებლების მონიტორინგი. აღნიშნულ რეგიონებში რადიაციული ფონის მომატება არ დაფიქსირებულა.



საქართველო რადიაციის მონიტორინგის საერთაშორისო სისტემას შეუერთდა

საქართველო ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს რადიაციის მონიტორინგის საერთაშორისო სისტემას (IRMIS) შეუერთდა. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მფლობელობაში არსებული გარემოს რადიაციული ფონის მონიტორინგის სადგურებიდან გამა გამოსხივების დოზის სიმძლავრის მაჩვენებლები ავტომატურად მიეწოდება IRMIS სისტემას და მიმდინარე რეჟიმში აისახება საერთაშორისო რუკაზე.

საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებების გათვალისწინებით შექმნილი IRMIS სისტემა მნიშვნელოვანი მექანიზმია ბირთვული ან რადიოლოგიური საგანგებო სიტუაციების ადრეული შეტყობინებისა და რეაგირების მართვის პროცესში. სისტემაში ჩართული სახელმწიფოების მონაცემები ბუნებრივი რადიაციული ფონის მიმდინარე რეჟიმში მონიტორინგისა და შესაბამისად, ეფექტიანი გადაწყვეტილებების დროული მიღების შესაძლებლობას იძლევა.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ინციდენტებისა და საგანგებო სიტუაციების ცენტრის დირექტორის განცხადებით, ამგვარი ჩართულობა მნიშვნელოვნად აძლიერებს საერთაშორისო თანამშრომლობას მოსახლეობისა და გარემოს დაცვის მიზნებისთვის.

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს მიერ რადიაციული ფონის მონიტორინგის სადგურებზე განხორციელებული ტექნიკური ღონისძიებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის შედეგად, საქართველომ შეიძინა IRMIS სისტემის რიგით 50-ე კონტრიბუტორი სახელმწიფოს სტატუსი.

რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტის საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში, დეპარტამენტმა განახორციელა აქტივობები რადიოაქტიური ნარჩენების მართვის 2017-2031 წლების ეროვნული სტრატეგიის სამოქმედო გეგმის, საერთაშორისო პროექტებისა და დებულებით განსაზღვრული საქმიანობის შესაბამისად.

ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ეროვნული პროექტის GEO/9/015 ფარგლებში მოწვეულ ფრანგ და გერმანელ ექსპერტებთან ერთად, რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტერიტორიაზე მოწყობილ მსუბუქი კონსტრუქციის შენობაში, განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების კასრებში დამწნეხი და ნარჩენების მასელექცირებელი მოწყობილობის ინსტალაცია. ორივე დანადგარი მომავალში გადატანილი იქნება რადიოაქტიური ნარჩენების გადამამუშავებელ საწარმოში, მისი აშენების შემდგომ.



2024 წელს, „გაერთიანებული კონვენცია გამოყენებულ საწვავთან მოპყრობის უსაფრთხოებისა და რადიოაქტიურ ნარჩენებთან მოპყრობის უსაფრთხოების შესახებ“ მოთხოვნათა შესაბამისად, შემუშავდა ეროვნული მოხსენება, რომელიც წარდგენილი იქნა განსახილველად ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს შესაბამის დანაყოფში. ეროვნულ მოხსენებაში ასახულია საქართველოში რადიოაქტიური ნარჩენების მართვის სფეროში ბოლო სამი წლის განმავლობაში განხორციელებული ქმედებები.


2024 წელს ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს ყოველწლიური 68-ე გენერალური კონფერენციის ფარგლებში რადიოაქტიური ნარჩენების მართვის დეპარტამენტის სპეციალისტების მიერ მომზადებული და წარდგენილი იქნა მოხსენება „ისტორიული რადიოაქტიური ნარჩენების მართვის საუკეთესო პრაქტიკა საქართველოში“.



აშშ ენერჯეტიკის დეპარტამენტის მხარდაჭერით სრულად განახლდა რადიოაქტიური ნარჩენების საცავის ელექტრო გაყვანილობა და ფიზიკური დაცვის სისტემები.



საანგარიშო პერიოდში, მარეგულირებელი ორგანოსთან შეთანხმებული დეკომისიის გეგმის შესაბამისად, განხორციელდა სსიპ საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს მეორადი სტანდარტების ლაბორატორიის კუთვნილი AGAT-M დანადგარის დემონტაჟი. დანადგარი შეიცავდა 83 კიური აქტივობის Co60 რადიოაქტიურ წყაროს, რომელიც მოთავსებულია 600 კგ გადარიბებული ურანის თავაკში (600 კგ). გადარიბებული ურანის თავაკი რადიოაქტიურ წყაროსთან ერთად ჩახსნილი იქნა დანადგარიდან და უსაფრთხოების ზომების დაცვით განთავსებული იქნა რადიოაქტიური ნარჩენების საცავში. აღნიშნული რადიოაქტიური წყაროს ტრანსპორტირება განხორციელდა სააგენტოს კუთვნილი, შესაბამისი დაცვის მქონე, სატრანსპორტო საშუალებით.



2024 წელს შვედეთის რადიაციული უსაფრთხოების მარეგულირებელი ორგანოს მხარდაჭერით განხორციელდა რადიოაქტიური ნარჩენების სამარხის ტეროტორიაზე არსებული მიწისქვეშა ავზის რეკონსტრუქცია, რომლის მიზანი იყო ავზის გამოყენება რადიონუკლიდებით დაბინძურებული ნიადაგის შესანახად. თავდაპირველად ჩატარდა დაგეგმილი ღონისძიებების უსაფრთხოების შეფასება. უსაფრთხოების ზომების გაზრდის მიზნით, ავზის თავზე დამონტაჟდა ბეტონის კონსტრუქცია მოძრავი ჰორიზონტალური სახურავით.

მიწისქვეშა ავზში განთავსებული იქნა საქართველოს მასშტაბით მოჭრილი და შეგროვებული რადიაციულად დაბინძურებული ნიადაგი:

- დაბა ანასეულის ჩაისა და სუბტროპიკულ მცენარეთა კვლევის ყოფილი ინსტიტუტი - 16 ჩანთა და 200 ლიტრის მოცულობის 28 კასრი
- ქუთაისი - 16 ჩანთა და 200 ლიტრის მოცულობის 5 კასრი
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი - 200 ლიტრის მოცულობის 4 კასრი

საანგარიშო პერიოდში, რადიოაქტიური ნარჩენების საცავში, განხორციელდა 60 ერთეული რადიოაქტიური წყაროს კონდიცირება.



რადიაციულად დაბინძურებული ტერიტორიის დეკონტამინაცია

2023 წელს რადიოაქტიური წყაროების საძიებო ღონისძიების დროს რადიოლოგიური მონიტორინგის შედეგად ქ. ქუთაისში, მეტალურგიული ქარხნის (შპს „ამბიკონ სტილს“) ტერიტორიაზე აღმოჩენილი იქნა რადიოაქტიური ნივთიერებით ($Cs137$) დაბინძურებული 3 ლაქა. 2024 წელს სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელდა ამ დაბინძურებული ტერიტორიების დეკონტამინაცია. აღნიშნული ტერიტორიიდან მოჭრილი და შეგროვებული იქნა რადიაციულად დაბინძურებული ნიადაგი, რის შემდეგაც განხორციელდა წარმოქმნილი ნარჩენების ტრანსპორტირება და განთავსება რადიოაქტიური ნარჩენების საცავში უსაფრთხოების მოთხოვნების შესაბამისად.



ბირთვული მასალების კონტროლი

ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, განხორციელდა ბირთვული მასალების მფლობელი 6 ორგანიზაციის ინსპექტირება, აღრიცხვიანობაში დარღვევები არ გამოვლენილა.

„ბირთვული იარაღის გაუვრცელებლობის შესახებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით გარანტიების გამოყენების თაობაზე“ საქართველოს რესპუბლიკის და მისი დამატებითი ოქმის შესაბამისი ანგარიშები წარდგენილია ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოში დადგენილი პერიოდულობის შესაბამისად.

წარმატებით ჩატარდა ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს გარანტიების დეპარტამენტის წარმომადგენლების მიერ განხორციელებული ინსპექტირება საქართველოში არსებული ბირთვული მასალების კონტროლის შესახებ.

დარიშხანის შემცველი ნარჩენების სისტემური მართვა

ლენტეხის რაიონში არსებული დარიშხანის შემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ადგილებზე რთული ეკოლოგიური ვითარება გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან არის ცნობილი. ლენტეხში სამთო-ქიმიური ქარხნები აშენდა და ფუნქციონირება დაიწყო გასული საუკუნის 30-იან წლებში. საწარმომ 90-იანი წლების დასაწყისიდან შეწყვიტა ფუნქციონირება, მადნის ამოღება და გადამუშავება. ქარხნები დაინგრა და ათასობით ტონა დარიშხანშემცველი ნარჩენები მიტოვებული იქნა ღია ცის ქვეშ ყოველგვარი კონტროლის გარეშე.

2022 წლის 30 დეკემბრის საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე, სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო განისაზღვრა დარიშხანის შემცველი მადნის გადამუშავებით წარმოქმნილი ნარჩენების განთავსების ადგილების სისტემური მართვის, მოვლა-პატრონობის, ფიზიკური დაცვის კომპლექსური სისტემის შექმნისა და ფუნქციონირების განმახორციელებელ ორგანოდ. შესაბამისად, შევიდა ცვლილება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 24 დეკემბრის N237 ბრძანებით დამტკიცებულ სსიპ - ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს დებულებაში.

სააგენტოს მიერ შესწავლილი იქნა წინა წლებში განხორციელებული შეფასებები და ადგილზე არსებული ვითარება. ცანა 1, ცანა 3 და ურავი 1 ტერიტორიები გადმოეცა (მოსარგებლედ დარეგისტრირდა) სააგენტოს. არსებული მდგომარეობიდან გამომდინარე, უსაფრთხოების ზომების უზრუნველსაყოფად განისაზღვრა პრიორიტეტები და განხორციელდა პირველადი დაცვითი ღონისძიებები.

მიღებული იქნა გადაწყვეტილება, ლენტეხის მუნიციპალიტეტში არსებული დარიშხანის შემცველი ნარჩენებით დაბინძურებული ტერიტორიების გაწმენდისა და მათი უსაფრთხო განთავსების მიზნით, ცანა 3 ლოკაციაზე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სარკოფაგის აშენების შესახებ.

პირველ ეტაპზე, 2023 წლის ოქტომბერში, დასრულდა დარიშხანის შემცველი ნარჩენებით დაბინძურებული სამი ლოკაციის, კერძოდ, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ცანა 1, ცანა 3 და ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ურაკი 1 შემოღობვა, რითიც შეზღუდული იქნა სახიფათო ტერიტორიაზე ადამიანისა და ცხოველების დაშვება, შესაბამისად გაიზარდა უსაფრთხოების ზომები მოსახლეობისა და გარემოს დაცვის მიზნით. შემოღობილი ტერიტორიების კარებზე და ღობეზე განთავსებულია შესაბამისი საფრთხის ნიშნები.



ცანა 1



ურაკი 1

შემოღობვის დასრულების შემდეგ, ცანა 1 და ცანა 3 მიმდებარე ტერიტორიაზე, შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის შესაბამის დანაყოფთან (ქბრბ სამმართველო) ერთად, განხორციელდა ღობის გარეთ დარჩენილი დარიშხანის შემცველი კასრების შეგროვება და დაცულ ტერიტორიაზე განთავსება.



ზემოთ აღწერილი სამუშაოების გარდა, სააგენტომ პარალელურად განახორციელა შემდეგი ქმედებები:

- შემუშავდა დარიშხანის შემცველი ნარჩენების სარკოფაგის პროექტი;
- შემუშავდა დოკუმენტაცია გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მისაღებად, რის შემდეგაც სააგენტომ მიიღო გარემოზე ზემოქმედების ნებართვა;
- სარკოფაგის მშენებლობის დასაწყებად სააგენტომ მიიღო, კანონმდებლობის შესაბამისად, მშენებლობის ნებართვა;
- სააგენტომ გამოაცხადა ტენდერი მეორე ეტაპის განსახორციელებლად.

სარკოფაგის პროექტი

მეორე ეტაპის ფარგლებში, მიმდინარე წლის ნოემბერში, დასრულდა სამუშაოები სარკოფაგის აღმოსავლეთით, მდინარე ყორულდაშის, მონოლითური რკინაბეტონის ნაპირსამაგრი ჯებირის, წყალგამტარი არხისა და სალექარის მშენებლობა. კერძოდ, მოეწყო 224 მეტრი სიგრძის დამცავი ჯებირი, რომელიც დაიცავს სარკოფაგს წარეცხვისაგან წყალდიდობის შემთხვევაში. ტერიტორიის დასავლეთ ნაწილში გაკეთდა 350 მეტრის სიგრძის რკინაბეტონის არხი, რომელიც უზრუნველყოფს სარკოფაგის ტერიტორიის დაცვას დატბორვისა და დაჭაობებისგან.



2025 – 2026 წლებში იგეგმება სარკოფაგის მშენებლობის მესამე და მეოთხე ეტაპების განხორციელება. 2026 წელს ლენტეხის მუნიციპალიტეტში დასრულდება სარკოფაგის მშენებლობა, შესაბამისად დარიშხანის ნარჩენებით შექმნილი, მრავალწლიანი, პრობლემა სრულად იქნება მოგვარებული.



სააგენტოს სპეციალისტების რადიაციული დაცვა

ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს სპეციალისტების მიერ, ადამიანისა და გარემოს რადიაციისგან დაცვის მიზნით, ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მათ მიერ მიღებული დასხივების დოზები არ აღემატება დადგენილ წლიურ მაჩვენებლებს.



გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი



des.gov.ge

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი უზრუნველყოფს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში სახელმწიფო კონტროლის განხორციელებას საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, მათ შორის, მის ტერიტორიულ წყლებში, კონტინენტურ შელფსა და განსაკუთრებულ ეკონომიკურ ზონაში.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 10 მაისის N26 ბრძანებით დამტკიცებული დებულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობების ფარგლებში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებად განისაზღვრა - გარემოს დაბინძურებისა და ბუნებრივი რესურსებით უკანონო სარგებლობის პრევენცია, გამოვლენა და აღკვეთა, მათ შორის, ხე-ტყის კონტროლის გაძლიერება ხე-ტყის უკანონო მოპოვების, ტრანსპორტირებისა და გადამუშავების ფაქტების პრევენცია, გამოვლენა, აღკვეთა; გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის სფეროში გაცემული ლიცენზიებით, გზშ-ის სფეროში გაცემული შესაბამისი აღმჭურველი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების კონტროლი.

ასოცირების ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებების შესრულებისა და გარემოსდაცვითი სტანდარტების ევროპულ მოთხოვნებთან დაახლოებასთან ერთად, დეპარტამენტის წინაშე ახალი ამოცანები დაისახა:

- საავტომობილო ბენზინის ხარისხობრივი ნორმების ან/და დიზელის საწვავის შემადგენლობის ნორმების კონტროლი;
- პლასტიკის პარკების, ბიოდეგრადირებადი და კომპოსტირებადი პარკების წარმოებისას ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნების შესრულებაზე კონტროლი;
- მაცივარაგენტზე მომუშავე სტაციონარული მოწყობილობის მფლობელის, ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო მოწყობილობების ან თბური ტუმბოების მომსახურე პირების მიერ ვალდებულებათა შესრულების კონტროლი.
- გააქტიურდა საქმიანობა ატმოსფერული ჰაერის დაცვის მოთხოვნების კონტროლის მიმართულებით. სამრეწველო სექტორიდან გარემოს დაბინძურების პრევენციისა და შემცირების მიზნით, მიმდინარეობს გაფრქვევების უწყვეტი ინსტრუმენტული თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში (airMonitoring) ჩართული მსხვილი დამაბინძურებელი ობიექტების მუდმივი მონიტორინგი. ამ ეტაპზე ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია 34 საწარმო.



ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით უმნიშვნელოვანესია ისიც, რომ 2023 წლიდან დეპარტამენტის ფუნქციებს დაემატა ხილული გამონახოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების გამონახოლქვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის კონტროლი. გარემოსდაცვითი სამართალდარღვევების ფაქტების პრევენციის, შემაკავებელი გარემოს შექმნის მიზნით, გატარდა არაერთი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილება:

- გამკაცრდა სანქციები შავი ზღვის დაბინძურებაზე - 2024 წლის 1 ოქტომბრიდან, 65 ათასი ლარიდან 100 000 ლარამდე გაიზარდა ჯარიმა გემიდან, სხვა მცურავი საშუალებებიდან, პლატფორმიდან, მილსადენებიდან ან ზღვაში ხელოვნურად აგებული სხვა კონსტრუქციიდან ზღვის დაბინძურებაზე;
- 2024 წლის 1 ოქტომბრიდან ელექტროშოკური მოწყობილობა „თევზჭერის ელექტროიარაღად“ დაკვალიფიცირდა და მის უკანონო ბრუნვაზე მკაცრი სანქციები დაწესდა.

ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგები

2024 წელს ინსპექტირებისა და პატრულირების შედეგად გამოვლინდა გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 8 282 ფაქტი. მათ შორის:

- 7 717 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტი, რომლებზეც შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმები და გადაიგზავნა შესაბამის სასამართლოებში განსახილველად;
- 565 სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნების მქონე ფაქტი, რომლებიც გადაეცა საგამოძიებო ორგანოებს შემდგომი რეაგირებისთვის.



2024 წელს, მიმდინარე მონაცემებით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ფაქტების განხილვის შედეგად სამართალდამრღვევებზე დაკისრებული ჯარიმის თანხამ 7 710 737 ლარი შეადგინა. გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის შედეგად გარემოსთვის მიყენებულმა ზიანის დაანგარიშებულმა ოდენობამ კი - 4 087 507 ლარი.

გარემოს დაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

დეპარტამენტის მიერ გამოვლინ და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის დარღვევის 8 282 ფაქტი:

2024 წელი

- ადმინისტრაციული – 7 717 ფაქტი;
- სისხლისსამართლის – 565 ფაქტი.



დიაგრამა: სამართალდარღვევათა გამოვლენა რეგიონების მიხედვით, 2024 წ.

დიაგრამა: სამართალდარღვევა თასტრუქტურა, 2024 წ.

2024 წელი

• გამოწერილია 5563 საჯარიმო ქვიტარი ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ან სხვაპირისთვის სამართავად გადაცემისთვის.

მომზადებულია ანალიტიკური სამსახურის მიერ

რეგულირების ობიექტების ინსპექტირება

2024 წელს განხორციელდა 3333 რეგულირების ობიექტების (ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის, გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მფლობელი სუბიექტების, გარემოსდაცვით ტექნიკურ რეგლამენტებს დაქვემდებარებული საწარმოების) ინსპექტირება განხორციელდა, მათ შორის, - 392 ობიექტის საქმიანობის გარემოსდაცვით კანონმდებლობასთან შესაბამისობის გეგმიური და არაგეგმიური შემოწმება:

- 78 - გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, ან ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნას, ან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებას დაქვემდებარებული ობიექტი;
- 4 - ხე-ტყის დამზადების სპეციალური ლიცენზია;
- 7 - სოჭის გირჩით სარგებლობის ლიცენზია;
- 7 - სამონადირეო მეურნეობის, თევზჭერის სპეციალური ლიცენზია;
- 23 - გმო სახეობების იდენტიფიცირების მიზნით სასოფლო-სამეურნეო ნათესებიდან ნიმუშების აღება/შემოწმება;
- 2 - „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი თეთრყვავილას ბოლქვებით სარგებლობის ლიცენზია;
- 271 - საქართველოს ნავსადგურებში შემოსული გემების ინსპექტირება.

2024 წელს 215 რეგულირების ობიექტს წარედგინა ადმინისტრაციული მიწერილობები - მათი საქმიანობის ინსპექტირების ან ანგარიშგების და სხვა პროცესში გამოვლენილი დარღვევების გონივრულ ვადაში აღმოსაფხვრელად სავალდებულო ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების მიზნით.

პრევენციული ღონისძიებები

- მრგვალი ხე-ტყის გადამამუშავებელი საამქროების კონტროლი - 2024 წლის განმავლობაში ხორციელდებოდა პრევენციული ღონისძიებები არარეგისტრირებული სახერხი საამქროების ფუნქციონირების, ასევე უკანონოდ მოპოვებული ხე-ტყის გადამამუშავების ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და აღკვეთის მიზნით: მერქნული რესურსების მართვის ელექტრონულ სისტემაში, კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულია მრგვალი ხე-ტყის (მორის) გადამამუშავებელი 798 საამქრო. 2024 წლის განმავლობაში გამოვლინდა 93 არარეგისტრირებული, უკანონო სახერხი საამქრო.
- შავი ზღვის დაბინძურების კონტროლი - შავი ზღვის დაცვის კონვენციური სამმართველოს მიერ MARPOL 73-78 კონვენციის შესაბამისად: განხორციელდა საქართველოს ნავსადგურებში შემოსული 271 გემის ინსპექტირება გარემოსდაცვითი მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით; გამოვლინდა გემებიდან ზღვის დაბინძურების 16 შემთხვევა.
- გენმოდიფიცირებული ორგანიზმების კონტროლი - 2024 წელს ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, განხორციელდა 25 შემოწმება, ფიზიკური და იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებში დათესილი ან/და სასაწყობო მეურნეობებში ნიმუშების აღებისა და მათში ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების სახეობების იდენტიფიცირების მიზნით. ლაბორატორიული კვლევის შედეგად, მხოლოდ 1 ნიმუშში გამოვლინდა გმო მარკერები და საქმე, შემდგომი რეაგირებისთვის გადაეცა შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს.



- საწვავის ხარისხის კონტროლი - 2024 წელს საავტომობილო ბენზინისა და დიზელის საწვავის ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ ნორმებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, თბილისსა და საქართველოს რეგიონებში შერჩევითი წესით განხორციელდა ბენზინისა და დიზელის საწვავის სინჯების აღებისა და ლაბორატორიული კვლევის პროცედურები 18 ობიექტიდან, მათ შორის 11 ნავთობსაცავიდან და 7 ავტოგასამართი სადგურის რეზერვუარიდან. კვლევის შედეგად, დადგენილი ნორმების დარღვევა გამოვლინდა 8 შემთხვევაში და მოხდა შესაბამისი რეაგირება.

საავტომობილო საწვავის ხარისხის კონტროლი




2024 წლის დეკემბერი

ავტოგასამართ სადგურებზე საწვავის სინჯების აღება -

- 50 სინჯი - დიზელის
- 15 სინჯი - ბენზინი

- ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების კონტროლი - 2023 წლის 4 სექტემბრიდან ქვეყნის 4 დიდ ქალაქში - თბილისში, ქუთაისში, რუსთავსა და ბათუმში, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის თანამშრომლები გზებზე მოძრავი ავტოსატრანსპორტო საშუალებების ხილული გამონაბოლქვის კონტროლს ახორციელებენ. 2024 წელს გამოვლინდა ავტოსატრანსპორტის გამონაბოლქვის დადგენილ ნორმასთან შეუსაბამობის 5 563 შემთხვევა. მათგან, თბილისში დაწერილია 2 827 საჯარიმო ქვითარი, ქუთაისში - 900, ბათუმში - 947, რუსთავში კი - 889 ფაქტი.

2024 წელი - გამოწერილია 5563 საჯარიმო ქვითარი ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალების მართვისთვის ან სხვა პირისთვის სამართავად გადაცემისთვის.



■ თბილისი 2827 ■ ქუთაისი 900 ■ ბათუმი - 947 ■ რუსთავი 889

ცხელი ხაზი

2024 წელს „ცხელ ხაზზე - 153“ მიღებულია 2671 შეტყობინება გარემოს დაცვის სფეროში სამართალდარღვევების თაობაზე, რაზედაც დეპარტამენტის მიერ განხორციელდა შესაბამისი რეაგირება და გატარდა კანონმდებლობით დადგენილი ზომები.

კონტროლის ელექტრონული მექანიზმების განვითარება

გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში აქტიურად ვითარდება და ინერგება კონტროლის თანამედროვე ტექნოლოგიები და ელექტრონული მექანიზმები. სამართალდარღვევათა ფაქტების პრევენციის, გამოვლენისა და დროულად აღკვეთის მიზნით აქტიურად გამოიყენება ახალი ტექნოლოგიები - დრონები, ფოტოხაფანგები; გარემოსდაცვითი პატრულირებისა და სწრაფი რეაგირების ეკიპაჟები სრულად აღჭურვილია სამკერდე ვიდეოკამერებით, ვიდეორეგისტრატორებით, პლანშეტური კომპიუტერებით. გააჩნიათ მაღალი გამავლობის ავტომანქანები, ბაგები, მცურავი საშუალებები (კატერები და გასაბერი ნავები) შიდა წყალსატევებზე ბრაკონიერობასთან საბრძოლველად; კატარღები შავი ზღვის აკვატორიაში ინსპექტირებისთვის;

დეპარტამენტში მოქმედებს მერქნული რესურსების მართვის, სახერხი საამქროების მართვის, შავ ზღვაში სამრეწველო თევზჭერის ელექტრონული სისტემები, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელთა მეშვეობით მეწარმეები ონლაინ-რეჟიმში ახორციელებენ თავისი პროცესების მართვას, ხოლო ინსპექტორები - მათი საქმიანობის ზედამხედველობას.

შემუშავდა და 2023 წლის 4 სექტემბრიდან ხილული გამონაბოლქვის მქონე სატრანსპორტო საშუალებების კონტროლის ელექტრონული სისტემა და საჯარიმო ქვითრების გადახდების კონტროლის ელექტრონული სისტემა.

2024 წლიდან შეიქმნა საქართველოს ტერიტორიაზე მაცივარაგენტების იმპორტის, ექსპორტის, რეალიზაციის და მოხმარების ელექტრონული აღრიცხვა-სისტემატიზაციის, ანგარიშგებისა და კონტროლის ერთიანი სისტემა, კერძოდ, დაინერგა მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემა - სადაც ქაღალდის ჟურნალების ნაცვლად ინფორმაციების ასახვის ვალდებულება აქვთ როგორც 3 კგ და მეტ მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობის მფლობელებს, ისე ამ მოწყობილობების მომსახურე ორგანიზაციებსა და ინდემწარმეებს; ექსპორტ/იმპორტიორებს, რეალიზატორებსა და რეციკლირების ორგანიზაციებს.

ქვეყანაში ხე-ტყისა და მისგან მიღებული პირველადი გადამუშავების პროდუქტის მოძრაობის, მიკვლევადობისა და კონტროლის გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო სამინისტროში მოქმედი მერქნული რესურსების მართვის ელექტრონული სისტემისა და შემოსავლების სამსახურის ზედნადებების ელექტრონული სისტემის ინტეგრირება - აღნიშნული ღონისძიების შედეგად სრულად გამოირიცხა ხე-ტყის სასაქონლო ზედნადებში ხე-ტყის მონაცემების გაყალბების, ხე-ტყის მრავალჯერადი გასხვისების რისკი; გაუმჯობესდა ხე-ტყისა და პროდუქტის პირველადი გადამუშავების პროდუქტის მიკვლევადობა.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო

mepa.gov.ge

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის დეკლარაცია

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების დეპარტამენტის აქტიური ჩართულობით, საქართველოს პარლამენტთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით მომზადდა „სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტმა 2024 წლის 12 ივნისს მესამე მოსმენით მიიღო.

კანონი ემსახურება სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროში, საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწას, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებში არსებული კანონშემოქმედებითი პრაქტიკის მსგავსად, მოაწესრიგებს საქართველოში სოფლის მეურნეობის მოწყობას, პოლიტიკის მართვას და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, კერძოდ: კანონი განსაზღვრავს საქართველოში სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების მართვის სტრუქტურას მმართველი ორგანოს, გადამხდელი სააგენტოსა და მონიტორინგის კომიტეტის (უწყებათშორისი საკოორდინაციო საბჭოს) როლისა და კომპეტენციის განსაზღვრის გზით. კანონი აგრეთვე ადგენს პოლიტიკის განხორციელების ეფექტური მართვისა და მონიტორინგისთვის საჭირო სისტემებსა და მონაცემთა ბაზებს, როგორცაა ინტეგრირებული ადმინისტრირებისა და კონტროლის სისტემა და მისი ელემენტები - მიწის ნაკვეთების იდენტიფიცირების სისტემა, ფერმერული მეურნეობებისა და ცხოველთა რეესტრები.

ეკონომიკური კვლევა და მონაცემთა ანალიზი

- 2024 წელს სისტემატიურად ხორციელდებოდა საგარეო ვაჭრობის მონაცემთა ანალიზი. აღსანიშნავია, რომ აგროსასურსათო პროდუქციით საგარეო ვაჭრობაში დადებითი ტენდენციები იკვეთება, კერძოდ, 2024 წელს აგროსასურსათო პროდუქციის საგარეო ვაჭრობის გეოგრაფიული არეალი გაფართოვდა და ექსპორტი განხორციელდა 107 ქვეყანაში. საექსპორტო ქვეყნების ზრდასთან ერთად 2024 წელს, გაზრდილია აგროსასურსათო პროდუქციის ექსპორტის ღირებულებაც და 1 680 მლნ აშშ დოლარს შეადგენს, რაც 243 მლნ აშშ დოლარით (17%) აღემატება 2023 წლის წლიურ მაჩვენებელს და 1 169 მლნ აშშ დოლარით (229%) აღემატება 2012 წლის მაჩვენებლებს.

- 2024 წელს, ძირითად საექსპორტო პროდუქტებს წარმოადგენდა სპირტიანი სასმელები, ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური და მტკნარი წყლები, უალკოჰოლო გაზიანი სასმელები, თხილი, სხვა ხერხით დამზადებული ან დაკონსერვებული ხილი, ცოცხალი ცხვრები, მოცვი, ციტრუსი, კურკოვანი ხილი, დანის ფოთოლი და სხვა პროდუქტები.
- 2024 წელს, საქართველოდან ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტირებულია 180 მლნ აშშ დოლარის ღირებულების აგროსასურსათო პროდუქცია. 2024 წელს აგროსასურსათო პროდუქციის მთლიან ექსპორტში ევროკავშირის ქვეყნების წილი 11%-ს შეადგენს.
- სოფლის მეურნეობის მიმართულებით ქვეყანაში არსებული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა სამი ბროშურა - „სოფლის მეურნეობა რიცხვებში“, „საქართველოს მეცხოველეობა რიცხვებში“, „საქართველოს მემცენარეობა რიცხვებში“. აღნიშნული აერთიანებს ქვეყანაში არსებულ ოფიციალურ სტატისტიკურ ინფორმაციას ერთ სივრცეში პროდუქტების მიხედვით.
- დარგში არსებული მდგომარეობის ანალიზისთვის არსებული სტატისტიკური მაჩვენებლების საფუძველზე, შესაბამისი პერიოდულობით ხორციელდებოდა სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობების ან/და სასოფლო დასახლებებში მცხოვრები მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი ანგარიშების მომზადება, მათ შორის ეროვნული ანგარიშების, სამუშაო ძალის, ბიზნეს სექტორის, ფასების, მემცენარეობისა და მეცხოველეობის შესახებ ანალიზები;
- კომპეტენციის ფარგლებში, სხვადასხვა ქვეყნებთან თანამშრომლობისა და საერთაშორისო სავაჭრო/ეკონომიკური ხასიათის მთავრობათაშორისი ხელშეკრულებების პროექტების შემუშავებისთვის რეგულარულად მზადდებოდა როგორც პარტნიორ ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობების ამსახველი შესაბამისი ანალიტიკური მასალა, ასევე აღნიშნული ქვეყნის შესახებ ზოგადი საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტი.
- მომზადდა დაფნის, მოცვის, ბლისა და ალუბლის შესახებ ბაზრის ანალიზი, რაც მოიცავდა არსებული პროდუქტისთვის როგორც ქვეყნის, ასევე მსოფლიოში არსებული მდგომარეობის, წარმოების, ძირითადი იმპორტიორი და ექსპორტიორი ქვეყნების ანალიზს, საექსპორტო ბაზრების იდენტიფიცირებას და სხვა სახის ინფორმაციას.
- მარკეტინგული წლის მიხედვით (წარმოების შესაბამისად), ყოველკვირეულად/ყოველდღიურად მზადდებოდა ძირითადი საექსპორტო ხილისა და ბოსტნეულის ექსპორტის შესახებ საინფორმაციო დოკუმენტები. ასევე, ყოველდღიურად მომზადდა მარცვლეული კულტურების იმპორტის შესახებ ინფორმაცია.
- შემუშავდა და დამტკიცდა ფერმის ანგარიშგების მონაცემთა ქსელის (FADN) სისტემის 2025 წლის სამოქმედო გეგმა.

სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები და სოფლის განვითარება

- ევროკავშირის ბაზრის საერთო ორგანიზების (CMO) რეგულაციასთან სრული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, მომზადდა „საქართველოში ევროკავშირის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ბაზრის საერთო ორგანიზების (CMO) 1308/2013 რეგულაციასთან სრული შესაბამისობის 2025 წლის სამოქმედო გეგმის“ პროექტი, რომელიც დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 26 დეკემბრის N 2-924 ბრძანებით.
- „თემზე დაფუძნებული ადგილობრივი მხარდაჭერის პროგრამის“ შესაბამისად, 2024 წელს, სამინისტრომ მიიღო 21 ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის ავტორიზაციის მაძიებლების განცხადება.
- სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებისა და ფერმერთა თანამშრომლობის ალტერნატიული მექანიზმების შექმნა/განვითარების კუთხით, კოოპერატივების მართვასთან, მათ შორის კოოპერატივის წევრების მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცედურების გაციფრულებისა და შედეგად, ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით, შეიმუშავებულ იქნა კოოპერატივების ელექტრონული მართვის მოდულის შექმნის კონცეფცია.
- პარალელურად, ფერმერთა თანამშრომლობის ალტერნატიული მექანიზმების შექმნისა და ფერმერთა შორის ურთიერთთანამშრომლობის მხარდასაჭერად, ევროკავშირის 1308/2013 რეგულაციის შესაბამისად, მიმდინარეობს მუშაობა მწარმოებელთა ორგანიზაციების (POs), მათი ასოციაციებისა და დარგობრივი ორგანიზაციების (IBOs) სამართლებრივ რეგულირებაზე

მემცენარეობის განვითარება

- სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების განვითარების მიზნით, მომზადებულია წინადადებები (policy brief) ლურჯი მოცვის, ხორბლის, სიმინდის, პომიდვრისა და ატმის წარმოებაში არსებული მდგომარეობისა და განვითარების პერსპექტივების შესახებ.
- შემუშავდა „საქართველოს მეჩაიეობის განვითარების კონცეფცია“, რომლის მიზანია საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტიანად გამოყენების, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობის შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლებისა და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა.
- შემუშავებულ იქნა პოლიტიკის დოკუმენტი და პროგრამა „ქართული ბოსტნეული სათბურებიდან“ (უკვე ამოქმედებულია), რომლის მიზანია თანამედროვე კლიმატ გონივრული ტექნოლოგიების დანერგვის გზით ქვეყნის მასშტაბით ბოსტნეული კულტურების წარმოების გაზრდა.

მეცხოველეობის განვითარება

- შემუშავდა მეფუტკრეობის მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს საფუტკრე მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას - სკების თანადაფინანსებას. პროგრამისთვის შემუშავდა და განისაზღვრა სკის ტიპები და პარამეტრები. პროგრამა დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 1 აგვისტოს N249 დადგენილებით.
- მსხვილფეხა მეცხოველეობის განვითარების მხარდაჭერის მიმართულებით, (შეღავათიანი აგროკრედიტის ქვეკომპონენტი), შემუშავდა ფერმის კრიტერიუმები კერძოდ: ფერმის აღჭურვილობისათვის საჭირო მინიმალური დანადგარ-მოწყობილობების ჩამონათვალი, დასაშვები ტექნიკა, ფერმის-სადგომის საორიენტაციო-მინიმალური პარამეტრები, რეკომენდირებული ჯიშების ჩამონათვალი, ნორმატიული აქტების ჩამონათვალი: ცხოველთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის, წარმოების ჰიგიენისა და სურსათის უვნებლობის მოთხოვნების მიმართულებით, რომელიც დამტკიცდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 1 თებერვლის N2-63 ბრძანებით.
- შეღავათიანი აგროკრედიტის მეცხოველეობის მიმართულების ოპტიმიზაციის მიზნით შემუშავდა მინიმალური მოთხოვნები მეღორეობის ფერმებისთვის, კერძოდ შემუშავდა ფერმის კრიტერიუმები, პროცესში დამუშავდა ევროკავშირის დირექტივა „ღორების დაცვის მინიმალური სტანდარტი“ (Directive 2008/120/EC of 18 December 2008 laying down minimum standards for the protection of pigs) და FAO-ს გაიდლაინი - ცხოველების სადგომის მოწყობის შესახებ.
- სამთომეცხოველეობის განვითარების მიმართულებით შემუშავდა საპროექტო წინადადება, რომელიც მიზნად ისახავდა სამთო პირობებში საკვებწარმოებისთვის საჭირო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობას, სამთო მაღალმთიანი ზონების ეფექტურად გამოყენებას მეცხოველეობის განვითარებისათვის.

აკვაკულტურის განვითარება

- შემუშავებულ იქნა პროგრამა „თევზის ბუნებრივი მარაგების ზრდა მდგრადი მეთევზეობის და აკვაკულტურის განვითარებისთვის“, რომლის მიზანია საქართველოს თევზის ბუნებრივი რესურსების ინვენტარიზაცია, პერსპექტიული თევზის სახეობების და წყლის ეკოსისტემების ფონდის განსაზღვრა, თევზის რესურსების მდგომარეობის ეკოლოგიური და ეკონომიკური შეფასება.
- გრძელდება მუშაობა პროგრამაზე „ღია თევზსამეურნეო განათლება“ რომლის მიზანია აკვაკულტურის დარგის სპეციალისტების მომზადება, გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება
- შემუშავებულია საქართველოს თევზსამეურნეო რეესტრის შექმნის მიზნით წინადადებები. საქართველოს თევზმომშენებლთა ასოციაციასთან ერთად დაწყებულია აკვაკულტურის მეურნეობების აღრიცხვისა და ინვენტარიზაციის სავლეუ სამუშაოები.

სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკის კოორდინაცია

- მომზადდა საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წწ. სტრატეგიის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 2023 წლის მონიტორინგის ანგარიში. დოკუმენტი ატვირთულია სამინისტროს ვებ-გვერდზე: <https://mepa.gov.ge/Ge/Reports>.
- მომზადდა სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების 2021-2027 წლების სტრატეგიის 2024-2027 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის 2024 წლის 20 მაისის N705 განკარგულებით.
- მომზადდა „ხედვა 2030“ საქართველოს განვითარების სტრატეგიის 2023 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში და 2024 წლის სამოქმედო გეგმის 6 თვის ანგარიში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ აქტივობებთან დაკავშირებით.
- მომზადდა „ხედვა 2030“ - საქართველოს განვითარების სტრატეგიის 2025 წლის სამოქმედო გეგმის პროექტი გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციას მიკუთვნებულ აქტივობებთან დაკავშირებით.
- სამოქალაქო კომიტეტის ფარგლებში სოფლის განვითარების პოლიტიკის საკითხებზე სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან ჩატარდა სამი შეხვედრა.

სურსათის კოლიტიკის დეკლარაცია

სურსათის უვნებლობის სამმართველო

DCFTA-ის ფარგლებში შემუშავებული საკანონმდებლო მიახლოების სიის შესაბამისად მომზადდა და დამტკიცდა:

- საქართველოს მთავრობის 2024 წლის 13 ივნისის N190 დადგენილება „ღივების წარმოებისთვის განკუთვნილი თესლებისა და ღივების მიკვლევადობის შესახებ მოთხოვნების“ დამტკიცების თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2024 წლის 13 ივნისის N191 დადგენილება „ცხოველის ან/და მცენარის ახალი ჯიშის განსხვავებულობაზე, ერთგვაროვნებასა და სტაბილურობაზე გამოცდის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 23 დეკემბრის N587 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;
- „ღივების მწარმოებელი ბიზნესოპერატორის აღიარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 ივლისის N215 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის - გამონაკლისი წესები თხევადი ზეთებისა და ცხიმების საზღვაო ტრანსპორტირებასთან დაკავშირებით“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 ივლისის N216 დადგენილება;
- „სურსათზე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული დასაშვები განაცხადის ჩამონათვალის, გარდა განაცხადისა, რომელიც ეხება დაავადების რისკის შემცირებასა და ბავშვთა განვითარებასა და ჯანმრთელობას“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 11 ივლისის N227 დადგენილება;
- „სურსათში კოკციდიოსტატების ან ჰისტომონოსტატების შემცველობის მაქსიმალური დონის, გამოწვეული ცხოველის საკვებში მათი არამიზნობრივი, გარდაუვალი გადატანის შედეგად“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 10 ივლისის N223 დადგენილება;
- „ტექნიკური რეგლამენტის - მასალები და ნაკეთობები რეგენერირებული ცელულოზის ფირისაგან, რომლებიც განკუთვნილია სურსათთან შეხებისათვის“ დამტკიცების თაობაზე. საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 აპრილის N124 დადგენილება.
- „სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის სფეროებში სახელმწიფო კონტროლისა და სხვა ოფიციალური საქმიანობის განხორციელების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 29 იანვრის N24 დადგენილება;

DCFTA-ის ფარგლებში შემუშავებული საკანონმდებლო მიახლოების სიის შესაბამისად მომზადებული პროექტები და ცვლილებების პროექტები:

- ვეტერინარული პრეპარატების წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- სპეციალური წესები კომპეტენტური ორგანოების მიერ ცხოველებზე, ცხოველური წარმოშობის პროდუქტებზე და გასამარავლებელ (გენეტიკურ) მასალაზე განხორციელებული სახელმწიფო კონტროლის შესახებ, კომპეტენტური ორგანოს მიერ განხორციელებული შემდგომი ქმედებები მსხვილფეხა საქონლის, ცხვრისა და თხის იდენტიფიკაციისა და რეგისტრაციის წესების შეუსრულებლობის შემთხვევაში ან მსხვილფეხა საქონლის ქვეყანაში ტრანზიტით გავლისას გამოვლენილ შეუსაბამობაზე წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2023 წლის 12 ივლისის ბრძანება N2-533-ში ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტი „ტყის სარეპროდუქციო მასალების იმპორტის, ექსპორტისა და წარმოების წესის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე;
- საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „წესები, რომლის თანახმადაც შესაძლებელია დაშვებული იქნეს იმ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების თესლის ბაზარზე განთავსება, რომელზეც წარდგენილია განაცხადი საქართველოს ტერიტორიაზე გასაფრცვლებლად დაშვებული სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ჯიშების ეროვნული კატალოგში რეგისტრაციისათვის“;
- საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სასოფლო-სამეურნეო კულტურების და ბოსტნეული და ბალჩეული კულტურების სახეობების ჯიშების სახელწოდებების შესაბამისობის თაობაზე“.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან დინამიურობის უზრუნველსაყოფად მომზადებული ცვლილებები:

- „ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 29 დეკემბრის N605 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის პროექტი;
- სურსათის/ცხოველის საკვების არაორგანიზებული წარმოების წესის დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2020 წლის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „ტექნიკური რეგლამენტის - თევზის ვირუსული ჰემორაგიული სეპტიცემიისა (VHS) და სისხლმბადი ქსოვილის ინფექციური ნეკროზის (IHN) გამოვლენისა და დადასტურებისთვის ნიმუშის აღების გეგმებისა და დიაგნოსტიკის მეთოდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N636 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;

ივროკავშირის კანონმდებლობასთან დინამიურობის უზრუნველსაყოფად დამტკიცებული ცვლილებები:

- „ტექნიკური რეგლამენტი - სურსათში/სურსათზე და/ან წარმოებული შესაბოლო არომატიზატორების წარმოებისათვის გამოსაყენებლად (ავტორიზებული) დაშვებული შესაბოლო არომატიზატორების პირველადი პროდუქტების შესახებ“ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 სექტემბრის N479 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 5 ივნისის N212 დადგენილება „ტექნიკური რეგლამენტის - სასურსათო დანიშნულების ცხოველებში ფარმაკოლოგიურად აქტიური ნივთიერებების (სუბსტანციების) ნარჩენების ანალიზის მეთოდების განხორციელების, ნიმუშის აღებისა და შედეგების ინტერპრეტაციის წესის დამტკიცების შესახებ“ - დამტკიცდა საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 თებერვლის N45 დადგენილებით.

შემუშავდა მთავრობის დადგენილების პროექტები:

- „ცოფის პრევენციის მიზნით 2024 - 2028 წლებში გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „ვეტერინარისა და ვეტერინარი ტექნიკოსის პროფესიული კომპეტენციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- „ვეტერინარისა და ვეტერინარი ტექნიკოსის საქმიანობისთვის სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდის ჩატარებისა და მათი პროფესიული განვითარების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- ცვლილება გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2-422 ბრძანებაში (ცვლილებით განახლდა ან/და დაემატა დაახლოებით 15-მდე სერტიფიკატი ექსპორტისათვის);
- ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტთან დაკავშირებული სამუშაო ჯგუფის ფარგლებში ინსენერაციასთან დაკავშირებული პირველადი პროექტის მოსამზადებლად წინა სამუშაოები;
- საქართველოს კანონის პროექტის „საძოვრების მართვის შესახებ“.

დამტკიცებული ცვლილებები და სხვა კანონმდებლარე ნორმატიული აქტები:

- ტექნიკური რეგლამენტის - „ფრინველის ხორცის მარკეტინგული მოთხოვნების დამტკიცების შესახებ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის N340 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2024 წლის 27 დეკემბრის N446 დადგენილება;
- საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამები;

- „ვეტერინართა და ვეტერინარ ტექნიკოსთა პროფესიული განვითარებისა და სასერტიფიკაციო საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ - საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანება;
- ტექნიკური რეგლამენტის - ორგანულ (ბიოლოგიურ, ეკოლოგიურ) წარმოებაში გამოსაყენებლად დაშვებული პროდუქტებისა და ნივთიერებების შესახებ დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 აპრილის N125 დადგენილება;
- „სურსათის შეწირულობისა და გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 აპრილის N161 დადგენილება;
- სურსათით საქველმოქმედო საქმიანობის ავტორიზაციის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 აპრილის N149 დადგენილება;
- „მაკონტროლებელი ორგანოების ავტორიზაციისა და ზედამხედველობის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 25 სექტემბერის ბრძანება N2-773;
- „გაერთიანების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ“ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 25 სექტემბერის ბრძანება N2-772;
- ტექნიკური რეგლამენტის - მცენარეული ზეთების შესახებ დამტკიცების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2024 წლის 30 დეკემბერის N471 დადგენილება.

მომზადდა სვლილგების პროექტი:

- ტექნიკური რეგლამენტის - „ცხოველური წარმოშობის არასასურსათო დანიშნულების პროდუქტისა (მათ შორის, ცხოველური ნარჩენების) და მეორეული პროდუქტის, რომლებიც არ არის გამიზნული ადამიანის მიერ მოხმარებისათვის, ჯანმრთელობისა და ამ საქმიანობასთან დაკავშირებული ბიზნესოპერატორის აღიარების წესების“ დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი.

განხილული და შეთანხმებული იქნა სხვადასხვა სამინისტროის, საქველმოქმედო დაწესებულების მიერ მომზადებული ნორმატიული აქტები და სხვა დოკუმენტები:

- „2022-2023 წლებში საქართველოში აფლატოქსინ M1-ის შემცველი ნედლი რძით წარმოებული რძის და რძის ნაწარმის მოხმარებით განპირობებული საქართველოს მოსახლეობის ჯანმრთელობის რისკის შეფასების“ თემატური მოკვლევის ანგარიშები;
- 2025-2026 წლების ჯანმრთელობის უსაფრთხოების ეროვნული მულტისექტორული სამოქმედო გეგმის (NAPHS) შემუშავებაში მონაწილეობის მიღება;
- გარემოს ტყვიით დაბინძურების შეფასება საქართველოში, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის რისკის შეფასების სამსახურის მიერ სხვადასხვა პროექტის ფარგლებში სამინისტროს მისამართით გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ინფორმაცია;

- „აზიური ფაროსანას წინააღმდეგ გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2021 წლის 28 იანვრის N124 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის განკარგულების ცვლილების პროექტი;
- „საქართველოში წარმოებული და იმპორტირებული ვეტერინარული პრეპარატების სახელმწიფო რეგისტრაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 ივლისის N327 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი;
- სურსათის უვნებლობის სტრატეგიულ დოკუმენტი - საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგიის განხორციელება - ARDSG-FS 2024- 2027“;
- სურსათის ბანკის შექმნის თაობაზე;
- „ვეტერინარულ კონტროლს დაქვემდებარებული პროდუქტების ექსპორტის დროს გამოსაყენებელი ვეტერინარული (ჯანმრთელობის) სერტიფიკატის ფორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2021 წლის 12 აპრილის N2-422 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტი;
- „შინაური ცხოველების დაცვის შესახებ“ ევროპული კონვენცია;
- „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებათა შენობა-ნაგებობების მშენებლობის სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის ბრძანების პროექტი;
- ვეტერინარიის ინტეგრირებული სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის დაგობრივი მახასიათებლის პროექტი.

სოფლის მეურნეობის და სხვა სამინისტროების მიერ შექმნილ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა

- შინაგან საქმეთა სამინისტროს ქბრბ საფრთხეების, ქიმიური უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის ფარგლებში;
- სტანდარტიზაციის ეროვნული სააგენტოს „სურსათის ტექნიკური კომიტეტის“ ფარგლებში;
- სსიპ აკრედიტაციის ეროვნული საბჭოს შემადგენლობაში;
- შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით შექმნილი ანტიმიკრობული რეზისტენტობასთან დაკავშირებული უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში;
- სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებით შექმნილი „საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პროგრამის“ შემუშავების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში;

- მაიონებული გამოსხივების, რადიოაქტიური ნივთიერებების ტრანსპორტირების და ნარჩენების უსაფრთხოების სფეროში მდგრადი განათლებისა და ტრენინგების ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბების მიზნით უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის ფარგლებში;
- განათლების ხარისხისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის ბრძანებით შექმნილ „ვეტერინარიის მიმართულების უმაღლესი განათლების დარგობრივ საბჭოს“ ფარგლებში;
- ფინანსთა სამინისტროს მიერ შექმნილ საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობის სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში მონაწილეობის მიღება;
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22.11. ბრძანება N2-1128-ით შექმნილი საქართველოს მცენარეთა დაცვის დარგის განვითარების მხარდაჭერის მიზნით შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოს მუშაობაში მონაწილეობა;
- პროფესიულ და უმაღლეს სასწავლებლებში მცენარეთა დაცვის სპეციალობის განათლების საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფში მონაწილეობის მიღება.

საერთაშორისო ორგანიზაციებთან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობა:

- FAO - GM Foods Platform-ის ფარგლებში;
- WTO- SPS-ის ფარგლებში;
- ENPARD-ის პროექტის ფარგლებში;
- UNIDO -ს პროექტის ფარგლებში;
- სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაცია (მომხმარებელთა უფლებების დაცვა, სტრატეგიული განვითარებისა და კვლევების ცენტრი, გარემო და რისკი, ევრაზიის თანამშრომლობის ფონდი, დარგობრივი და პროფესიული ასოციაციები და სხვა);
- ამერიკის შეერთებული შტატების ჯანმრთელობისა და ადამიანის სერვისების დეპარტამენტის დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრი (CDC);
- ICARS-ანტიმიკრობულ რეზისტენტობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტის საერთაშორისო ცენტრი;
- ამერიკის შეერთებული შტატების სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის (USDA) მიერ კალიფორნიის სახელმწიფო უნივერსიტეტი (მცენარეთა დაცვის განათლების საკითხების თაობაზე).

სხვა საქმიანობები

- „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის, ვეტერინარული და ფიტოსანიტარიული სახელმწიფო კონტროლის 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების პროექტის განხილვა და რეკომენდაციების მომზადება;
- სამუშაო შეხვედრები სამუშაო ჯგუფის ფარგლებში, არასამთავრობო და სამიზნე ჯგუფებთან (ბიზნესოპერატორები, დარგობრივი ასოციაციები);
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში, მომზადდა ასოციირების შესახებ შეთანხმებისა და ასოციირების დღის წესრიგის განხორციელების 2021 წლის ეროვნული სამოქმედო გეგმის CBRN (ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული, ბირთვული) აქტივობების შესრულების 6 თვის და წლიური ანგარიშები;
- ქბრბ საფრთხეების შემცირებისა და უსაფრთხოების მართვის გაეროს მეგობართა ჯგუფის მიერ მომზადებული რეზოლუციის პროექტში ევროკავშირის მიერ შეტანილი ცვლილებების თაობაზე შენიშვნები;
- მცენარეთა დაცვის დარგის განვითარების მხარდაჭერის მიზნით შექმნილი სამეთვალყურეო საბჭოს საქმიანობის ფარგლებში განათლების სამუშაო ჯგუფის და DCFTA-ის ფარგლებში მცენარეთა დაცვაში შემუშავებული პროექტების თაობაზე წლიური ანგარიში;
- ლაქებიანი ჭიჭინობელას *Lycorma delicatula*-ს ფიტოსანიტარიული რისკის შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის წევრობა;
- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 16 ოქტომბრის N630 დადგენილების „ტექნიკური რეგლამენტის - ციტრუსოვანთა ჩინური ხარაბუზას *Anoplophora chinensis* (Forster) წინააღმდეგ ბრძოლის წესის დამტკიცების თაობაზე“ ამოქმედების ვადის ცვლილების შესახებ ფიტოსანიტარიული რისკის შეფასების მიზნით შექმნილი კომისიის წევრობა;
- „ცხოველთა ჯანმრთელობის ეროვნული პროგრამის“ სამეთვალყურეო საბჭო - საგანგებო გეგმები შემდეგი დაავადებებისთვის: თურქული, ფრინველის გრიპი, აფრიკულის ცხელება, ნიუკასლი და სხვა.

სურსათის ინდუსტრიის და ვაჭრობის ხელშეწყობის სამმართველო

- ექსპორტიორების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა და სამინისტროს ვებგვერდზე ატვირთული მოცვის, ციტრუსისა და კურკოვანი კულტურების ექსპორტის გზამკვლევი. განხილვის პროცესშია კაკლოვანი კულტურების; თევზის ზეთის, ფქვილის და თევზის საკვების; ჩაის; შინაური ბინადარი ცხოველისა და სასურსათო დანიშნულების ცხოველის საკვების ექსპორტის გზამკვლევი;
- პროდუქციის მიხედვით (მანდარინი, ლიმონი, ფორთოხალი, მოცვი, ატამი/ვაშლატამა) შემუშავდა მსოფლიოში არსებული ტენდენციებისა და პოტენციური საექსპორტო ბაზრების ანალიზი;
- განხორციელდა აზერბაიჯანის, სომხეთის, არაბთა გაერთიანებული საემიროების, კატარის, იორდანის და საუდის არაბეთის ბაზრების მიმოხილვა და პოტენციური საექსპორტო პროდუქციის ანალიზი;
- ერთი ბიზნესოპერატორის მიერ წარმოებულ პროდუქტს მიენიჭა ხარისხის ნიშანი - „ბიოპროდუქტი“ (შპს მეამა). მარკეტინგულ საბჭოში განსახელვად გაგზავნილია 3 კომპანიის მოთხოვნა ხარისხის ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებით;
- საანგარიშო პერიოდში ჩატარდა აგროსასურსათო პროდუქტების 8 გამოფენა-გაყიდვა, მათ შორის, 6 გაეროს სურსათის და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) მხარდაჭერით, სადაც წარდგენილი იყო ხარისხის ნიშნით ნიშანდებული პროდუქცია.
- განახლდა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრში „საქპატენტი“ რეგისტრაცია დასრულებულია და „საქპატენტის ვებგვერდზე“ გამოქვეყნებულია:
 - „კახური შაშხი“ (რეგისტრაციის N 31; 19./12/2024)
 - „გორის ვაშლი“ (რეგისტრაციის N29; 19./12/2024)
 - „სვანური მარილი“ (რეგისტრაციის N30; 19./12/2024)
- საქპატენტის სამრეწველო საკუთრების ოფიციალურ ბიულეტენებში გამოქვეყნებულია:
 - „ტრადიციული რაჭული ლორი“ - სპეციალური გამოშვება 4(22) 19.12.2024
 - „საქართველოს მთიანეთის ტრადიციული ლუდი“ - 20 (647) 28.10.2024.

- გეოგრაფიულ აღნიშვნად რეგისტრაციისთვის შემუშავდა „გურჯაანის ატმის“, „გორის ბლის“, „საზანოს ყველისა“ და „ასხის მთის სულგუნის“ სპეციფიკაციები, რომლებიც განსახილველად გაიგზავნა მარკეტინგული საბჭოს წევრებთან და სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრში;
- საქართველოში რეგისტრირებული გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელების პროდუქციის დაცვის მიზნით, წლის განმავლობაში, აქტიური თანამშრომლობა მიმდინარეობდა ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან;
- შემუშავდა ლუდის კონცეფცია;
კონცეფცია მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, მათ შორის, ლუდის წარმოებას, განაწილებას, მოხმარებას, პოპულარიზაციას. კონცეფციის დოკუმენტით რეკომენდებული ნაბიჯების გადადგმის შედეგად, ქვეყანაში ხელი შეეწყობა ტრადიციული ლუდის წარმოების კულტურის განვითარებას, კონკურენტუნარიანი სასმელის წარმოებასა და რეალიზაციას, გასტროტურიზმში ახალი ორგანიზებული მარშრუტის გაჩენას, მთაში ლუდის მწარმოებელი მცირე საწარმოების შექმნის წახალისებას, ახალი სამუშაო ადგილების შექმნას, მომიჯნავე სექტორების განვითარების შესაძლებლობას, საქართველოში წარმოებული ლუდის გაყიდვებისა და ლუდის ექსპორტის ზრდას.
- მომზადდა შემუშავებული და დამტკიცებული პოლიტიკის დოკუმენტი „სურსათის ნარჩენების მართვის კონცეფცია“ - საქართველოს მთავრობის 2024 წლის 26 დეკემბრის N 444 დადგენილება.

მელიორაციისა და მიწის მართვის ღვაწი

ჰიდრომელიორაცია

1. მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით დაიწყო „საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტი“ (GRAIL). პროექტის ღირებულებაა 150 მილიონი დოლარი. ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში დეტალური პროექტის მომზადება და სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკურ ზედამხედველობაზე კონტრაქტი გაფორმდა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიასთან. დაიწყო საპროექტო-საძიებო სამუშაოები შერჩეულ სარწყავ სისტემებზე და დამშრობ მასივზე. პროექტის მიზანია განსაზღვრულ 27 000 ჰექტრამდე ტერიტორიებზე (ხუთი სარწყავი და ერთი სადრენაჟე სისტემა) ირიგაციის და დრენაჟის სერვისების და სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაუმჯობესება, ირიგაციის და მიწის მართვის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, საგრანტო პროგრამებით ფერმერების მხარდაჭერა მდგრადი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის დანერგვასა და წყლის რესურსების მართვაში. ახალი ჰიდროლოგიური და სასოფლო-სამეურნეო საინფორმაციო ცენტრის (HAIC) ჩამოყალიბების მიზნით, შერჩეულ იქნა საერთაშორისო კომპანია;
2. ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB), საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით დაიწყო „ბემო სამგორის საირიგაციო პროექტი“. პროექტის ღირებულებაა 90 მილიონი ევრო. პროექტის მიზანია გარდაბნისა (ქვემო ქართლი) და საგარეჯოს (კახეთი) მუნიციპალიტეტში, ასევე, სამგორის რაიონში (თბილისი), ჯამში 19 000 ჰექტარზე საირიგაციო ქსელების სრული რეაბილიტაცია/მოდერნიზაცია, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის ხარისხის გაზრდა, ადგილობრივი მოსახლეობისთვის სურსათის ხელმისაწვდომობისა და რეგიონულ ბაზრებზე ქართული პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა, კლიმატის ცვლილებისადმი მდგრადი საირიგაციო სისტემების დანერგვა. პროექტის განხორციელების შედეგად, 11,500 საოჯახო მეურნეობას და 1200 საშუალო და მსხვილ ფერმერულ მეურნეობას, ჯამში, 26,000 ადამიანზე მეტს, ექნება წვდომა რეაბილიტირებულ სარწყავ ინფრასტრუქტურაზე;
3. აზიის განვითარების ბანკისა (ADB) და საქართველოს მთავრობის თანადაფინანსებით დაიწყო პროექტი „კლიმატგონივრული ირიგაციის სექტორის განვითარების პროგრამა“. პროექტის ღირებულებაა 57,755 მილიონი ევრო. პროექტის მიზანია ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მარცხენა მაგისტრალური არხისა და შიდა ქსელების სრული რეაბილიტაცია-მოდერნიზაცია და სარწყავი წყლის მიწოდების გაუმჯობესება საგარეჯოს და ნაწილობრივ გურჯაანის მუნიციპალიტეტებში (კახეთი) 7300 ჰა ფართობზე, ასევე, კლიმატის ცვლილების პირობებში წყლის რესურსების ეფექტიანი გამოყენება, წყალმომხმარებელთა ორგანიზაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობა;

4. საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (AFD) და საქართველოს მთავრობას შორის 20 აგვისტოს ხელი მოეწერა ირიგაციისა და სოფლის მეურნეობის განვითარების მიმართულებით 17,5 მილიონი ევროს ოდენობის საგრანტო პროექტს. გრანტი გამოიყოფა ევროკავშირის მიერ და მოხმარდება ზემო სამგორის და ქვემო სამგორის საირიგაციო პროექტების თანადაფინანსებას. პროექტი მიზნად ისახავს წყლის რესურსების მართვის, ირიგაციის, მიწის მართვისა და სოფლის მეურნეობის სფეროებში ქვეყნის ინსტიტუციურ გაძლიერებას, პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავებაში მხარდაჭერას, ამასთანავე ფერმერთა გაძლიერებას სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებაში თანამედროვე სტანდარტების დანერგვის გზით.

მიწის რესურსების მდგრადი მართვა და დაცვა

1. „საძოვრების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი გადამუშავდა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შენიშვნებისა და წინადადებების მიხედვით;
2. მომზადდა საძოვრების მდგრადი მართვის პოლიტიკის სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების დოკუმენტი;
3. დმანისის, გურჯაანისა და ყაზბეგის საპილოტე მუნიციპალიტეტებში მომზადდა საძოვრების მართვის გეგმები და საძოვრების მართვის ბიზნესმოდელები. დეგრადირებულ საძოვრებზე განხორციელდა აღდგენის ღონისძიებები: ნაკვეთები შემოიღობა ელექტროლობებით და დაინერგა როტაციული ძოვება, მოეწყო ცხოველების დასარწყულებელი და გაშენდა ცხოველების საჩრდილობელი;
4. ახალციხის მუნიციპალიტეტში საძოვრების მდგრადი მართვის მიზნით:
 - საძოვრების იდენტიფიცირებისა და კატეგორიზაციის ფარგლებში, GIS ანალიზისა და სავლე სამუშაოების შედეგად, შესწავლილ იქნა რეგისტრირებული, მაგრამ საძოვრის კატეგორიის არმქონე და არარეგისტრირებული მიწის ნაკვეთები, რომლებიც მოსახლეობის მიერ პრაქტიკულად გამოიყენება ან შეიძლება გამოყენებულ იქნას საძოვრად. გამოვლინდა და სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების საძოვრის კატეგორიის მიწის ნაკვეთებად დარეგისტრირდა 2625 ჰა, ხოლო სათიბის კატეგორიით - 212 ჰა. რეგისტრირებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებიდან საძოვრის კატეგორია მიენიჭა 8105 ჰა მიწას;
 - შეფასდა ახალციხის მუნიციპალიტეტში საძოვრების პროდუქტიულობის/დეგრადაციის ტენდენციები;
 - განხორციელდა ახალციხის მუნიციპალიტეტში საძოვრების ზონირება და იდენტიფიცირებული იქნა საერთო სარგებლობისა და საზაფხულო საძოვრები;

- შემუშავებულ იქნა საძოვრების მართვის გეგმა ახალციხის მუნიციპალიტეტისათვის. მომზადდა საძოვრების მართვის დეტალური გეგმები 15 შერჩეული სოფლისათვის. აღნიშნული 15 სოფლიდან შეირჩა 4 სოფელი (ტყემლანა, მუგარეთი, ხაკი და ანდრიაწმინდა). ადგილობრივ მოსარგებლებთან მჭიდრო კონსულტაციებით, მომზადდა საძოვრების აღდგენისა და ინფრასტრუქტურის მოწყობის გეგმა, რომელიც განხორციელდება 2025 წელს;
 - გამოიცა ახალციხის მუნიციპალიტეტის საძოვრების ატლასი. იგი წარმოადგენს საძოვრებთან დაკავშირებული თემატური რუკების (ზოგადი ფიზიკური რუკა, მოსახლეობის განაწილების, ნალექების განაწილების, ჰიდროლოგიისა და ირიგაციის, ტყეებისა და დაცული ტერიტორიების, ნიადაგებისა და მცენარეული საფარის რუკები) სისტემატურ კრებულს. ატლასი ასევე მოიცავს რუკებს, რომლებიც ასახავს ახალციხის მუნიციპალიტეტში საძოვრების მდგომარეობის შეფასების შედეგებს და მუნიციპალიტეტის საზღვრებში არსებული საძოვრების პროდუქტიულობისა და დეგრადაციის ტენდენციებს.
5. მომზადდა და გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მიერ დაფინანსდა ორი პროექტი, რომელთა მიზანია დედოფლისწყაროს, ონის, ამბროლაურის, ტყიბულის, საჩხერის და ჭიათურის მუნიციპალიტეტებში დეგრადირებული ეკოსისტემების აღდგენა, ბიომრავალფეროვნების დაცვა, ბუნებრივი რესურსებით მდგრადი სარგებლობა, მიწის მდგრადი მართვის პრაქტიკის დანერგვა, საძოვრების მართვის გაუმჯობესება, დეგრადირებული ნიადაგების აღდგენა ბუნებაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებებით, მიწათსარგებლობის დაგეგმვის გზით;
 6. ჩამოყალიბდა მიწის დეგრადაციის ნეიტრალური ბალანსის (LDN) ეროვნული მიზნები;
 7. გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციის (UNCCD) პროექტის „ტყის სამშვიდობო ინიციატივა“ ფარგლებში, სამხრეთ კავკასიაში ტრანსსასაზღვრო თანამშრომლობაზე საქართველოში სამი საკონსულტაციო სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, რომლის დროსაც შემუშავდა რეგიონული (საქართველო, აზერბაიჯანი, სომხეთი) საპროექტო წინადადებები. პრიორიტეტად განისაზღვრა ნიადაგების რუკის შექმნა, რომელიც საფუძვლად დაედება დეგრადირებული ტერიტორიების აღდგენასთან დაკავშირებულ რეგიონულ პროექტებს;
 8. 2024 წლის 2 დეკემბრიდან 13 დეკემბრის ჩათვლით, საქართველოს დელეგაცია მონაწილეობდა საუდის არაბეთის სამეფოში, ქ. ერ-რიადში გაეროს გაუდაბნობასთან ბრძოლის კონვენციის მხარეთა მე-16 კონფერენციაში (COP 16). საქართველო არჩეულია ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონის თანათავმჯდომარედ;

9. მსოფლიო ბანკისა და საქართველოს მთავრობის მიერ თანადაფინანსებული „საქართველოს მდგრადი სოფლის მეურნეობის, ირიგაციის და მიწის პროექტის“ (GRAIL) ფარგლებში:
- მომზადდა მიწის კონსოლიდაციის კონცეფცია და ტექნიკური დავალება, რომლის მიზანია მიწის კონსოლიდაციის სტრატეგიისა და კანონმდებლობის მიღება, კონსოლიდაციის საპილოტე პროექტების განხორციელება და კონსოლიდაციის ეროვნული პროგრამის შემუშავება;
 - მიწის საინფორმაციო სისტემის (LIS) ჩამოყალიბების მიზნით შერჩეულ იქნა საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია, რომელმაც უნდა უზრუნველყოს არსებული სიტუაციის ანალიზი და საჭიროებების შეფასება, მიწის საინფორმაციო სისტემის დიზაინის შემუშავება და მისი ჩამოყალიბების საგზაო რუკის მომზადება.
10. მელიორაციისა და მიწის მართვის დეპარტამენტში ჩამოყალიბდა ნიადაგის მდგრადი მართვის სამმართველო, რომლის ფუნქციაც არის ნიადაგის მდგრადი მართვის პოლიტიკის განსაზღვრა, რაც ითვალისწინებს ქვეყანაში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირებას, ანალიზს და მათი გადაჭრის გზების გამოვლენას. სამმართველოს მიერ მომზადდა 2024-2025 წწ. სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს მიზნის მიღწევის ამოცანებს;
11. ჩატარდა კვლევა ტარიბანას ველის ტერიტორიაზე დამლაშებული ნიადაგების რაციონალურად გამოყენების შესახებ;
12. 2024 წელს, ესპანეთში, ბარსელონას უნივერსიტეტში საქართველოს დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ხმელთაშუაზღვის გეომეცნიერთა (გეოლოგები, ნიადაგმცოდნეები, გეომორფოლოგები, გეოფიზიკოსები, გეოქიმიკოსები და ა.შ.) მე-4 წლიური კონფერენციაზე, სადაც წარდგენილ იქნა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ განხორციელებული პროექტის შედეგები, რომელიც შეეხებოდა საქართველოში კლიმატის მკვეთრი ცვლილების აქტიურ ზონაში დამლაშების ეკოლოგიური გამოწვევის საკითხს.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი

გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი კოორდინირებს უწევდა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წყლის რესურსების მართვის, ატმოსფერული ჰაერის დაცვისა და კლიმატის ცვლილების სფეროებში სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებას. ასევე, მონაწილეობდა და კოორდინაციას უწევდა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი მრავალმხრივი გარემოსდაცვითი ხელშეკრულებებისა და პროცესების, გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDGs) ეროვნულ დონეზე განხორციელებას და მჭიდროდ თანამშრომლობდა შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

დეპარტამენტში შეიქმნა გარემოსდაცვითი პოლიტიკის კოორდინაციის სამმართველო, რომლის კომპეტენციაში შედის როგორც სამინისტროს დარგობრივი გარემოსდაცვითი პოლიტიკის დოკუმენტების კოორდინაცია, ასევე სხვა სახელმწიფო უწყებებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მათ მიერ შესამუშავებელი პოლიტიკის დოკუმენტების გარემოსდაცვითი ნაწილის მოსამზადებლად.

დეპარტამენტი შედგება 5 სამმართველოსგან: კლიმატის ცვლილების სამმართველო, წყლის სამმართველო, ატმოსფერული ჰაერის სამმართველო, მდგრადი განვითარების სამმართველო და გარემოსდაცვითი პოლიტიკის კოორდინაციის სამმართველო.

ატმოსფერული ჰაერის დაცვა

- ატმოსფერული ჰაერის ხარისხის გაუმჯობესებისა და ჰაერის დაბინძურების პრობლემის მოსაგვარებლად შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2024 წლის 17 სექტემბრის N1361 განკარგულებით დამტკიცდა თბილისის აგლომერაციის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის გეგმა 2024-2026 წლებისთვის. ასევე, ევროკავშირის მხარდაჭერით მომზადდა საბაზისო კვლევა შავი ზღვის ზონაში ჰაერის დაბინძურების კუთხით არსებული მდგომარეობის შესახებ, რომლის საფუძველზეც შემუშავდა შავი ზღვის ზონის ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მართვის 2025-2027 წლების გეგმის პროექტი. მიმდინარეობს გეგმის პროექტის საბოლოო ვერსიის შემუშავება.
- შემუშავდა და საქართველოს მთავრობის 2024 წლის 3 აპრილის N127 დადგენილებით დამტკიცდა „ზოგიერთ საღებავში, ლაქსა და ავტოსატრანსპორტო საშუალების გადაღების პროდუქციაში აქროლადი ორგანული ნაერთების (აონ) შემცველობის, აგრეთვე მათი იმპორტისა და ბაზარზე განთავსების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი“. გაიმართა შეხვედრა ლაქ-საღებავების მწარმოებლებთან, იმპორტიორებთან და დისტრიბუტორებთან ახალი საკანონმდებლო ვალდებულებების გაცნობის მიზნით. აგრეთვე, აღნიშნულ საკითხებთან დაკავშირებით, 2024 წლის 19 აპრილს სსდ ზედამხედველობის დეპარტამენტისა და სსიპ შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლისთვის ჩატარდა ტრენინგი.

- ტრანსპორტის სექტორიდან გაფრქვევების შემცირების მიზნით, 2024 წლის 1 იანვრიდან საქართველოს მთავრობის 2023 წლის 28 ივნისის N238 დადგენილების საფუძველზე ამოქმედდა ავტომობილის ემისიის ევრო 5 სტანდარტი მსუბუქი ავტომობილებისთვის (M1) და მიკროავტობუსებისთვის (M2), რომლის ფარგლებშიც დაწესებული გაფრქვევების ზღვრულ ნორმებთან შესაბამისობის თაობაზე 16370 ავტომობილისთვის გაცემულია დასკვნა.
- ჩატარდა ინერტული მასალების ამოღებისა და მსხვრევის შედეგად ჰაერის დაბინძურების შემცირების მსოფლიოში არსებული შემარბილებელი პრაქტიკის მოკვლევა. აღნიშნული მოკვლევისა და ჩატარებული შიდა განხილვების საფუძველზე, სამსხვრევეებიდან ჰაერის დაბინძურების შემცირების სავალდებულო ღონისძიებების შემოღების მიზნით შემუშავდა „გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N17 დადგენილებაში ცვლილების პროექტის სამუშაო ვერსია, რომლის შიდა განხილვა მიმდინარეობს.
- ევროკავშირის დაფინანსებით დაიწყო პროექტები: „ჰაერის ხარისხის ინსტრუმენტებისა და ავტომობილების ემისიის სტანდარტების გაუმჯობესება საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობის უკეთესი დაცულობისთვის“ და „ჰაერის ხარისხი მოქალაქეთა ჯანმრთელობის უკეთ დასაცავად“, რომელთა მიზანია ჰაერის ხარისხის მონიტორინგის ქსელის გაფართოება და სამინისტროს მხარდაჭერა ატმოსფერული ჰაერის დაცვის სფეროში ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებად.
- შემუშავდა ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევების 2022 წლის ანგარიში (NFR) და წარედგინა ჰაერის კონვენციის ოქმის (EMEP) სამდივნოს.
- საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 აგვისტოს N286 დადგენილების საფუძველზე, 2024 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა მაცივარაგენტების კვოტირების სისტემა. 2024 წლის განმავლობაში გაიცა „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის 1987 წლის ოქმით გათვალისწინებული ნივთიერებების იმპორტის, ექსპორტის, რეექსპორტისა და ტრანზიტის 67 ნებართვა. მაცივარაგენტების მართვის პროცესის გაუმჯობესებისთვის ამოქმედდა მაცივარაგენტების მართვის ელექტრონული სისტემა. მომზადდა და გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის ოზონის სამდივნოში გაიგზავნა მონრეალის ოქმით რეგულირებული ნივთიერებების მოხმარების შესახებ 2020-2023 წლის ანგარიში.
- „ოზონის შრის დამშლელ ნივთიერებათა შესახებ“ მონრეალის ოქმის განხორციელების მრავალმხრივი ფონდის დაფინანსებით, მონრეალის ოქმით რეგულირებული ნივთიერებების მართვის ელექტრონული სისტემის გამოყენების და სამაცივრო და ჰაერის კონდიციონერების სექტორში საუკეთესო თანამედროვე პრაქტიკის სწავლების მიზნით მაცივარაგენტზე მომუშავე მოწყობილობების, გათბობის, ვენტილაციის, ჰაერის კონდიციონერებისა და სამაცივრო სისტემების ტექნიკოსებისთვის ორ ეტაპად ჩატარდა ტრენინგები, რომლის ფარგლებში სულ გადამზადდა 200-მდე ტექნიკოსი. განახლებულ რეგულაციებთან დაკავშირებით 11 ტრენინგი ჩატარდა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ინსპექტორებს და 3 ტრენინგი ჩატარდა მეტაჟე ოფიცრებს, რომლის ფარგლებშიც გადამზადდა 143 ინსპექტორი და 39 მეტაჟე ოფიცერი.

- 2024 წლის 16 ივლისს პოლიტიკის დიალოგის მრგვალი მაგიდის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრის მონაწილეებმა განიხილეს სამაცივრო ტექნიკის, ჰაერის კონდიციონერებისა და თბური ტუმბოების სექტორის წინაშე მდგარი გამოწვევები, რომელთა გადაწყვეტა საჭიროა უწყებების ერთობლივი ძალისხმევით.
- მონრეალის ოქმის განხორციელების მრავალმხრივი ფონდის დაფინანსებით, დაიწყო საქართველოს კიგალის ცვლილების განხორციელების გეგმის (KIP) პროექტის I ეტაპი, რომელიც მიზნად ისახავს წყალბადფტორნახშირბადების (HFC) მოხმარების შემცირების კონკრეტული ზომების, სტრატეგიებისა და აქტივობების იდენტიფიცირებას. პროექტის ფარგლებში მომზადდა კვლევის სამუშაო ვერსია საქართველოში HFC-ების მოხმარების რაოდენობის დასადგენად. აგრეთვე, მომზადდა ანგარიშები ენერგოეფექტურობის, სტრატეგიული კომუნიკაციის, საკანონმდებლო ბაზისა და პოლიტიკის მიმოხილვის მიმართულებით.

წყლის რესურსების მართვა

- 2024 წლის 17-18 იანვარს გაიმართა წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის ეროვნული პოლიტიკური დიალოგის საკოორდინაციო კომიტეტის მე-10 სხდომა (National Policy Dialogue on Integrated Water Resources Management - 10th session), რომელიც მიზნად საქართველოში წყლის რესურსების მართვის სფეროში დაგეგმილი რეფორმების ხელშეწყობას; კერძოდ, ევროკავშირის წყლის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციას და წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის პრინციპების დანერგვას, აგრეთვე, გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის სამუშაო პროგრამების ფარგლებში თანამშრომლობას და „2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისათვის (SDG 6.5)“ დოკუმენტით გათვალისწინებული მიზნობრივი მაჩვენებლების მიღწევას.
- 2024 წელს განახლდა და წყლის ეროვნული პოლიტიკის დიალოგის მე-10 სხდომის (NPD 10) ფარგლებში წარდგენილ იქნა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მიერ 2021 წელს მომზადებული დოკუმენტი - „საქართველოს წყლის პოლიტიკის ხედვის შემუშავება“, რომელიც ასახავს წყლის რესურსების მართვის სფეროში არსებული დირექტივებისა და მათთან დაახლოებისთვის საჭირო მოთხოვნებს.
- მომზადდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის აღსრულების მიზნით 2024-2025 წლებში განსახორციელებელ ღონისძიებათა პროგრამა - საგზაო რუკა (RoadMap).
- 2024 წელს მომზადდა „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის მთავრობის დადგენილების პროექტები - 1. სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის დამტკიცების შესახებ; 2. სააუზო მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ.

- გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მიერ დამტკიცდა ბრძანება „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტიდან გამომდინარე სამართლებრივი აქტების შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. სამუშაო ჯგუფის ადმინისტრაციულ, ორგანიზაციულ და ანალიტიკურ მხარდაჭერაზე პასუხისმგებელია გარემოსა და კლიმატის ცვლილების დეპარტამენტი.
- „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესახებ ცნობიერების დონის ამაღლების მიზნით, გაიმართა საინფორმაციო შეხვედრები საქართველოს რეგიონებში (ქვემო ქართლის მხარე, კახეთის მხარე, იმერეთის მხარე, სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარე, გურიის მხარე). რეგიონული ფორუმები მიზნად ისახავს საზოგადოების ინფორმირებას წყლის რესურსების მართვის ახალი კანონის სიახლეების შესახებ.
- ევროკავშირის პროექტის „ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემები“ (EU4Environment: Water Resources & Environmental Data) ფარგლებში ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მხარდაჭერით ჩატარდა სიტუაციის ანალიზი ზედაპირული წყლის ობიექტებიდან წყალაღებასთან დაკავშირებული მოსაკრებლის დადგენის მიზნით.
- მომზადდა ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის სახელმძღვანელოს პირველადი პროექტი. აღნიშნული სახელმძღვანელოს შემუშავება მნიშვნელოვანი წინაპირობაა ნიტრატების დირექტივის ჰარმონიზაციის კუთხით, რაც გათვალისწინებულია „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ საქართველოს კანონით.
- ევროკავშირის წყლის კანონმდებლობასთან შესაბამისობის და საქართველოს „წყლის რესურსების მართვის შესახებ“ კანონის აღსრულების მიზნით შემუშავდა მდინარე რიონის და მდინარე ენგურის სააუზო უბნების მართვის გეგმების პროექტები.
- „ევროკავშირი გარემოსთვის - წყლის რესურსები და გარემოსდაცვითი მონაცემების“ (EU4Environment: Water Resources and Environmental Data) პროგრამის მხარდაჭერით, მიმდინარე წლის 23 სექტემბერს გაიმართა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) წყლის კონვენციის „წყალი და ჯანმრთელობის პროტოკოლის“ სამუშაო ჯგუფის მე-3 სხდომა.
- მომზადდა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოსა და სომხეთის რესპუბლიკის გარემოს სამინისტროს ჰიდრომეტეოროლოგიისა და მონიტორინგის ცენტრს შორის ხრამი-დეხედას მდინარის აუზის ერთობლივი მონიტორინგის შესახებ შეთანხმების პროექტის საბოლოო ვერსია.

კლიმატის ცვლილება

- შემუშავდა კლიმატის ცვლილების ეროვნული 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის 2023 წლის ანგარიში კლიმატის ცვლილების სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ელექტრონული პროგრამის საშუალებით.
- შემუშავდა კლიმატის ცვლილების ეროვნული 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის საბოლოო შეფასება - გაანალიზდა შესრულებული ქმედებები და დოკუმენტის განხორციელების დროს წარმოქმნილი ხარვეზები, ჩამოყალიბდა გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორების გზები და შემუშავდა რეკომენდაციები შემდგომი მსგავსი დოკუმენტების მომზადება/განხორციელებისთვის.
- საქართველოს მთავრობის 2024 წლის 29 მარტის N113 დადგენილებით დამტკიცდა კლიმატის ცვლილების ეროვნული 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს კლიმატის ცვლილების შერბილების კუთხით ქვეყნის მიერ 2024-2025 წლებში დაგეგმილ აქტივობებს შემდეგ 7 სექტორში: ენერჯის გენერაცია და გადაცემა, ტრანსპორტი, შენობები, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების მართვა და სატყეო სექტორი.
- შემუშავდა კლიმატის ცვლილების ეროვნული 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის 2024 წლის 6 თვის სტატუს ანგარიში.
- დაიწყო საქართველოს ეროვნულად განსაზღვრული წვლილის (NDC) დოკუმენტის განახლება, ე.წ. NDC 3.0-ის მომზადება. გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) და NDC პარტნიორობის (NDC Partnership) მხარდაჭერით შემუშავდა დოკუმენტის სამუშაო ვერსია. განისაზღვრა 10 სამუშაო ჯგუფი - ადაპტაცია, სოფლის მეურნეობა, ჯანდაცვა, განათლება, ნარჩენები, ენერჯის გენერაცია და გადაცემა, მრეწველობა, შენობები, ტრანსპორტი და მიწათსარგებლობა, ცვლილება მიწათსარგებლობაში და სატყეო მეურნეობა (LULUCF). აღნიშნულ სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველა დაინტერესებულ მხარეს. NDC 3.0 დოკუმენტისა და სამუშაო ჯგუფების მუშაობის პირველი შედეგების წარდგენის მიზნით, 4 ნოემბერს საჯარო შეხვედრა გაიმართა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. აღნიშნული დოკუმენტით საქართველო იღებს ვალდებულებას, 2030 წლისთვის შეამციროს სათბურის აირები 47%-ით 1990 წლის მაჩვენებელთან შედარებით. რაც ხელს შეუწყობს ქვეყნის მიერ დასახულ მიზანს, რომ 2050 წლისათვის მიღწეულ იქნას კლიმატნიეტრალურობა ევროკავშირის დღის წესრიგის შესაბამისად.
- გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციისადმი (UNFCCC) ანგარიშგების ფარგლებში შემუშავდა პირველი ორწლიური გამჭვირვალობის ანგარიში (1st BTR) და წარედგინა UNFCCC-ის სამდივნოს. ასევე, მომზადდა მეხუთე ეროვნული შეტყობინება (5NC).
- ქალაქ ბაქოში (აზერბაიჯანის რესპუბლიკა) გაიმართა გაეროს კლიმატის ცვლილების ჩარჩო კონვენციის მხარეთა რიგით 29-ე კონფერენცია (COP29), სადაც დეპარტამენტის წარმომადგენლები აქტიურად მონაწილეობდნენ მოლაპარაკებების პროცესში. აღნიშნულ კონფერენციაზე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს უზრუნველყოფით, საქართველო წარმოდგენილი იყო პავილიონით, სადაც მნიშვნელოვანი მაღალი რანგის ორმხრივი შეხვედრები გაიმართა.

მდგრადი განვითარება

- მომზადდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) „გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციასთან ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულებაზე ხელმისაწვდომობის შესახებ“ კონვენციის (ორჰუსის კონვენცია) რიგით მე-7 ეროვნული ანგარიშის პირველადი ვერსია, რომელიც ელექტრონულად გავრცელდა საზოგადოების მხრიდან კომენტარების მიღების მიზნით და დაიგეგმა საჯარო განხილვა. საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2021-2024 წლებს. ანგარიშში ასახულია სამთავრობო უწყებებიდან (სამინისტროები და მუნიციპალიტეტები, საქართველოს პარლამენტი, საქსტატი), სახალხო დამცველის აპარატიდან და სასამართლოებიდან მოწოდებული ინფორმაცია. ანგარიში წარედგინება სამდივნოს 01/02/2025-მდე.
- საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროსთან თანამშრომლობით მომზადდა გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის განათლება მდგრადი განვითარებისთვის სტრატეგიის (ESD) მე-5 ეროვნული ანგარიში და ერთობლივად წარედგინა შესაბამის სამდივნოს 2024 წლის 3 დეკემბერს.
- მომზადდა ორჰუსის კონვენციის „დამბინძურებელთა გარემოში გაშვებისა და გადატანის რეესტრის შესახებ“ ოქმის (PRTRs) ვალდებულებებთან ეროვნული საკანონმდებლო ბაზისა და არსებული ინსტიტუციური შესაძლებლობების შეფასების დოკუმენტები. ამ ეტაპზე მიმდინარეობს დოკუმენტების განხილვა სამინისტროს შესაბამის დეპარტამენტებში.
- მომზადდა სამინისტროს კომპეტენციაში შემავალი გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების შესრულების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია საქართველოს ეროვნული მიმოხილვის მესამე ნებაყოფლობით ანგარიშში (VNR) ასახვის მიზნით. ანგარიში საქართველოს მთავრობის სახელით წარედგინა იქნა გაეროს მაღალი დონის პოლიტიკურ ფორუმზე (HLPF) 2024 წლის ივლისის თვეში.
- საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნინო თანდილაშვილი გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის მეექვსე სესიაზე (UNEA-6) 2 წლის ვადით გაეროს გარემოსდაცვითი ასამბლეის მეშვიდე სესიის (UNEA-7) ვიცე-პრეზიდენტად აირჩიეს.

გარემოსდაცვითი პოლიტიკის კოორდინაცია

- მომზადდა „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეოთხე ეროვნული პროგრამის“ (2022-2026 წწ) 2024 წლის 6 თვის განხორციელების პროგრეს ანგარიში.
- მომზადდა „ხედვა 2030 - საქართველოს განვითარების სტრატეგიის“ 2025 წლის სამოქმედო გეგმა გარემოს დაცვის მიმართულებით.

ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დაპარტამენტი

ნარჩენებისა და ქიმიური ნივთიერებების მართვის დეპარტამენტის კომპეტენციას განეკუთვნება ნარჩენების მართვის ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც ემსახურება ნარჩენების წარმოქმნის და მისი უარყოფითი ზეგავლენის პრევენციას და შემცირებას, ნარჩენების მართვის ეფექტიანი მექანიზმების შექმნას, ნარჩენის, როგორც რესურსის ეფექტიანი გამოყენების ხელშეწყობას და ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსთვის მათი უსაფრთხოდ განთავსების უზრუნველყოფას. დეპარტამენტი ასევე მონაწილეობს ქიმიური ნივთიერებების მართვის პოლიტიკის შემუშავებაში და წარმოადგენს ბაბელის, როტერდამის, სტოკჰოლმის და მინამატას კონვენციების მთავარ კომპეტენტურ ორგანოს.

ნარჩენების მართვა

საქართველოში ნარჩენების მართვის საკანონმდებლო ბაზა ძირითადად შემუშავებულია (ამ მიმართულებით კვლავაც გრძელდება მუშაობა). 2015 წლის 15 იანვრიდან ძალაში შევიდა საქართველოს კანონი ნარჩენების მართვის კოდექსი, რომელიც ეფუძნება საქართველო-ევროკავშირის შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ დირექტივებისა და რეგულაციების მოთხოვნებს, ასევე საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. კოდექსი ეფუძნება ნარჩენების მართვის იერარქიას (პრევენცია; ხელახალი გამოყენებისთვის მომზადება; რეციკლირება; სხვა სახის აღდგენა, მათ შორის ენერჯის აღდგენა და განთავსება) და ნარჩენების მართვის ძირითად პრინციპებს („დამბინძურებელი იხდის პრინციპი“, „სიახლოვის პრინციპი“, „უსაფრთხოების წინასწარი ზომების მიღების პრინციპი“, „თვითუზრუნველყოფის პრინციპი“).

კოდექსიდან გამომდინარე, ნარჩენების მართვის თანამედროვე სისტემის შექმნისა და დანერგვის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულია „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგია და 2022-2026 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმა“. სტრატეგია ეფუძნება საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნებსა და ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პრინციპებს.

მომზადდა და ნარჩენების მართვის კოდექსში შეტანილ იქნა ცვლილებები (2024 წლის 21 თებერვლის კანონი N4041-XIVმს-Xმპ „ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“), რომლითაც განისაზღვრა მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებასთან დაკავშირებული ახალი მოთხოვნები, მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევები და შესაბამისი საჯარიმო სანქციები. ასევე, 2024 წლის 13 დეკემბერი N157-IIIმს-XIმპ “ნარჩენების მართვის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ შესაბამისად, 2028 წლის 1 იანვრამდე გადავადდა ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული ზოგიერთი ვალდებულებები.

სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის/ების მოწყობის მიზნით, დასრულდა სამუშაოები ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან და ევროკავშირთან თანამშრომლობის რეჟიმში. განხორციელდა სახიფათო ნარჩენების მართვის ტექნიკურ-ეკონომიკური შეფასება; სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელზე შესატანი ნარჩენების ნაკადების განსაზღვრა და შეირჩა პოტენციური ტერიტორია სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობისთვის; შეფასდა და შემუშავდა რეკომენდაციები სახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელის მოწყობისა და ექსპლუატაციის ინსტიტუციური პასუხისმგებლობების შესახებ. ასევე, შემუშავდა საინვესტიციო ხარჯთაღრიცხვა.

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის რეკომენდაციებიდან გამომდინარე, შესამუშავებელია გემების რეციკლირებისა და საკანალიზაციო შლამების მართვასთან დაკავშირებული ეროვნული რეგულაციები. სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს აზიის განვითარების ბანკთან საკანალიზაციო შლამების მართვის საკითხებთან დაკავშირებით. კერძოდ, დაწყებულია პროექტი „საქართველოში საკანალიზაციო შლამის მდგრადი მართვისა და ხელახალი გამოყენების სტრატეგიის მომზადებისთვის“, რაც ითვალისწინებს: საქართველოში შლამის მართვის ამჟამინდელი მდგომარეობის შეფასებას, შლამის უსაფრთხო მართვისა და ხელახალი გამოყენების პრაქტიკისა და საქართველოში არსებული პირობებისთვის შესაფერისი ტექნოლოგიების შესახებ რეკომენდაციების მომზადებას; ეროვნული კანონმდებლობის, რეგულაციებისა და დამხმარე სახელმძღვანელოს პროექტების შემუშავებას; შლამის უსაფრთხო მართვის შესახებ შესაბამისი დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობების გაძლიერებისა და ტრენინგის პროგრამების შემუშავებას; საპილოტე პროგრამის დიზაინის/გეგმის შემუშავება მუნიციპალიტეტისთვის შლამის მართვისა და ხელახალი გამოყენების მიზნით. რაც შეეხება გემების რეციკლირების საკითხს, დეპარტამენტი საკუთარი რესურსებით ეცნობა ევროკავშირის შესაბამისი რეგულაციების მოთხოვნებსა და გამოცდილებას.

სამინისტროს კოორდინაციით დასრულდა პროექტი „ცირკულარულ ეკონომიკაზე გადასვლის პროცესში საქართველოს მთავრობის მხარდაჭერა მმართველობისა და პოლიტიკის გასაძლიერებლად“, რომელსაც ახორციელებდა საქართველოს ბუნების მკვლევართა კავშირი „ორქისი“ გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მხარდაჭერითა და შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (SIDA) დაფინანსებით. პროექტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. ასევე, ჩატარდა ცნობიერების ამაღლების სემინარები და აღნიშნული პროექტის ფარგლებში შემუშავდა ცირკულარული ეკონომიკის გზამკვლევი (Road map).

პლასტიკის ნარჩენების პრევენციასა და მართვასთან დაკავშირებით განხორციელდა პროექტები:

- პროექტის „შევაძვიროთ პლასტმასით დაბინძურება საქართველოში“ (გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP) ფარგლებში, განხორციელდა პლასტიკის ნარჩენების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიზნით დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობების გაძლიერების და პლასტიკის ნარჩენების მართვის თანამედროვე პრაქტიკის შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების ღონისძიებები.
- პროექტის „ერთჯერადი გამოყენების პლასტიკის ფინანსურად და გარემოსდაცვითი თვალსაზრისით მისაღებ ალტერნატივებზე გადასვლის ხელშეწყობა“ (გაეროს განვითარების პროგრამა - UNDP) ფარგლებში, ჩატარდა დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრები, განხორციელდა კანონმდებლობის შეფასება, ასევე, განხორციელდა ერთჯერადი პლასტიკის ალტერნატივების მიზანშეწონილობის კვლევა და მომზადდა შესაბამისი ანგარიში და რეკომენდაციები.
- მსოფლიო ბანკის (World bank) დაფინანსებით და საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიის (COWI) ადგილობრივი პარტნიორი კავკასიის რეგიონული გარემოსდაცვითი ცენტრის (RECC) მიერ, პროექტის „პლასტიკით დაბინძურების დიაგნოსტიკა და ტექნიკური დახმარება“ ფარგლებში განხორციელდა მდინარე რიონის აუზისა და მისი შენაკადების (მდინარეები: ფიჩურა, ყვირილა, ძირულა, ცხენისწყალი) პლასტიკით დაბინძურების ადგილების იდენტიფიცირება და პლასტიკის ნარჩენების რაოდენობისა და სახეობების შეფასება. პროექტის ფარგლებში შემუშავდა შესაბამისი რეკომენდაციები, რომელიც გაეცნოთ დაინტერესებულ მუნიციპალიტეტებს.

ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის „ნარჩენების მართვისა და ცირკულარული ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა საქართველოში“ ფარგლებში, საერთაშორისო ექსპერტებისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობით შემუშავდა:

- ნარჩენების პრევენციის პროგრამის პროექტი;
- ნარჩენების რაოდენობის შეფასების ანგარიში;
- სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის კონცეფციის პროექტი;
- ნარჩენების მართვისა და ცირკულარული ეკონომიკის ხელშეწყობის პოლიტიკის ინსტრუმენტების დოკუმენტი;
- განხორციელდა მწარმოებლის გაფართოებულ ვალდებულებას დაქვემდებარებული ნარჩენების ნაკადების ცირკულარობის შეფასება;
- განხორციელდა ნარჩენების მართვის მონაცემთა არსებული ბაზის (wms.mepa.gov.ge) და მგვ ელექტრონული რეესტრის (waste.mepa.gov.ge) გაუმჯობესების ღონისძიებები და მომზადდა ახალი ბაზისათვის ტექნიკური დავალება.

ლენტეხისა და ამბროლაურის მუნიციპალიტეტებში, სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტოს“ მიერ მიმდინარეობს დარიშხანშემცველი ნარჩენების უსაფრთხო განთავსების/კონსერვაციის სამუშაოები. კერძოდ, ლენტეხის მუნიციპალიტეტში ცანა 3 ობიექტზე განხორციელდა ნაპირსამაგრი ჯებირის, სალექარის და ობიექტზე არსებული ლელეს კალაპოტში მოქცევის სამუშაოები.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება

2022 წლიდან დაიწყო მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) სისტემის დანერგვა, რომელიც არის ახალი გარემოსდაცვითი მიდგომა საქართველოსთვის და განიხილება, როგორც ძირითადი ფინანსური და ეკონომიკური ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ნარჩენების სეპარირებულ შეგროვებას და რესურსად გამოყენებას, ნარჩენების ხელახალი გამოყენების, რეციკლირების და აღდგენის ტექნოლოგიების დანერგვას, ნაგავსაყრელებზე განთავსებული ნარჩენების რაოდენობის შემცირებას, ცირკულარული ეკონომიკის დანერგვას.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების დანერგვის მიზნით, საქართველოს მთავრობის მიერ, 2020 წლის 25 მაისს დამტკიცებულია 4 ტექნიკური რეგლამენტი (ნარჩენი ზეთების; საბურავების ნარჩენების; ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების ნარჩენების და ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ).

2024 წლის მდგომარეობით სამინისტროს მიერ ავტორიზებულია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (მგვ) ოთხი ორგანიზაცია:

- ა(ა)იპ „თეგეტა გრინ პლანეტი“
შესაბამისობის კოლექტიური სქემა: ნარჩენი ზეთები, ნარჩენი საბურავები, ნარჩენი აკუმულატორები.
- ა(ა)იპ „ნარჩენების მართვის ბიზნეს ასოციაცია“
შესაბამისობის კოლექტიური სქემა: ნარჩენი ზეთები, ნარჩენი საბურავები, ნარჩენი აკუმულატორები.
- ა(ა)იპ „საქართველოს მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ასოციაცია“
შესაბამისობის კოლექტიური სქემა: ნარჩენი ზეთები, ნარჩენი საბურავები, ნარჩენი ბატარეების და აკუმულატორები, ნარჩენი ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები.
- ა(ა)იპ „ამბოლი ო2“
შესაბამისობის ინდივიდუალური სქემა: ნარჩენი აკუმულატორები.

სამინისტროში ფუნქციონირებს მგვ-ის ელექტრონული რეესტრი და 2024 წლის მდგომარეობით რეგისტრირებულია 15 500-ზე მეტი მწარმოებელი.

მგვ ორგანიზაციების მიერ წინასწარი მონაცემებით 2024 წელს ჯამურად შეგროვებული და დამუშავებული იქნა:

- ნარჩენი ზეთი - 3 139 ტონა
- ნარჩენი საბურავები - 10 030 ტონა
- ნარჩენი ბატარეა და აკუმულატორი - 2 547 ტონა
- ნარჩენი ელექტრო და ელექტრო მოწყობილობები - 1 540 ტონა.

ფინანსთა სამინისტროსთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდა და შევიდა ცვლილება ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის N994 ბრძანებაში მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციისათვის გადაცემული სასაქონლო მატერიალური ფასეულობების ჩამოწერასთან დაკავშირებით.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების ოთხი ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 30 ივლისის N2-668 ბრძანებით დამტკიცებული იქნა ზეთების, საბურავების, ელექტრო და ელექტრო მოწყობილობების, ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების შეგროვების, ხელახალი გამოყენების, აღდგენისა და რეციკლირების სამიზნე მაჩვენებლების გამოთვლის მეთოდოლოგია.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების ფარგლებში შემუშავებულია „ხმარებიდან ამოღებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების ნარჩენების მართვის“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, სადაც გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის შენიშვნები და უახლოს პერიოდში წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობაში დასამტკიცებლად.

შემუშავებულია „მეფუთვის ნარჩენების მართვის შესახებ“ ტექნიკური რეგლამენტის პროექტი, მიმდინარეობს დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები, რის შემდეგაც წარდგენილი იქნება საქართველოს მთავრობაში დასამტკიცებლად.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციების მიერ განხორციელდა ცნობიერების ასამაღლებელი კამპანიები მედიის, ვებგვერდის, სოციალური ქსელის საშუალებით. გაიმართა შემეცნებითი და ინტერაქციული ლექციები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან (სკოლები, უმაღლესი სასწავლებლები). მგვ ორგანიზაციებმა მონაწილეობა მიიღეს მასშტაბურ ფესტივალებში, როგორც არის «სპორტ ფესტი» და «ილიაუნის სამეცნიერო პიკნიკი», სადაც გამოყენებული იქნა მოსახლეობის წახალისების ინსტრუმენტი. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია სპეციფიკური ნარჩენების შეგროვების ლოკაციების შესახებ. ჯამში, მგვ ორგანიზაციების მიერ გაიმართა 150-ზე მეტი ცნობიერების ამაღლების კამპანია.

სამინისტროს მიერ დაინტერესებული მხარეების ჩართულობით (მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების ორგანიზაციები, საჯარო, კერძო და არასამთავრობო სექტორი) ჩატარდა გაფართოებული შეხვედრები (სულ 5 შეხვედრა).

ქიმიური ნივთიერებების მართვა

მიმდინარეობს ქიმიური ნივთიერებების მართვის კანონმდებლობის შემუშავება და ნივთიერებების მართვის თანამედროვე სისტემების დანერგვა. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულება და ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსიდან გამომდინარე რეკომენდაციები ითვალისწინებს ქიმიური ნივთიერებების მართვის სფეროში კანონმდებლობის შემუშავებას და მიღებას.

აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროექტის „ქიმიური უსაფრთხოების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება საქართველოში“ ფარგლებში შემუშავდა „ქიმიური ნივთიერებების და ნარევების შესახებ“ კანონპროექტი „ქიმიური ნივთიერებების რეგისტრაციის, შეფასების, ავტორიზაციისა და შეზღუდვების შესახებ“ (REACH) N 1907/2006 და „ქიმიური ნივთიერებების და ნარევების კლასიფიკაციის, ეტიკეტირებისა და შეფუთვის შესახებ“ (CLP) N 1272/2008 ევროკავშირის რეგულაციების მოთხოვნების შესაბამისად. გაიმართა კანონპროექტის განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან, გრძელდება შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების განხილვა. მიმდინარეობს რეგულირების ზეგავლენის შეფასება (RIA).

საქართველოს პარლამენტის 2023 წლის 31 მაისის N3005-XIმს-Xმპ დადგენილებით რატიფიცირებული იქნა ვერცხლისწყლის შესახებ მინამატას კონვენცია. „ვერცხლისწყლის შესახებ“ მინამატას კონვენციიდან გამომდინარე მომზადდა „წინასწარი დასაბუთებული თანხმობის გაცემის საფუძველზე ვერცხლისწყლისა და ვერცხლისწყლით გამდიდრებული პროდუქტების იმპორტის, ექსპორტისა და ტრანზიტის განხორციელებისა და რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ კანონქვემდებარე აქტის პროექტი, ჩატარდა განხილვები დაინტერესებულ მხარეებთან, მიმდინარეობს შენიშვნების და წინადადებების განხილვა და დადგენილების პროექტი უახლოეს პერიოდში იქნება წარდგენილი მთავრობაში დასამტკიცებლად.

შემუშავდა საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „ცალკეული საშიში ქიმიური ნივთიერებების და პესტიციდების ექსპორტ-იმპორტის წესისა და წინასწარ დასაბუთებული თანხმობის პროცედურის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 13 ივნისის N263 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე. აღნიშნული ცვლილებით დადგენილება შესაბამისობაში იქნება მოყვანილი როტერდამის და სტოკჰოლმის კონვენციებში ბოლო წლებში შესულ ცვლილებებთან. დადგენილების პროექტი უახლოეს პერიოდში წარედგინება საქართველოს მთავრობას დასამტკიცებლად.

სტოკჰოლმის კონვენციის ფარგლებში მიმდინარეობს მდგრადი ორგანული დამბინძურებლების შესახებ ეროვნული სამოქმედო გეგმის განახლების ღონისძიებები.

გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის - „პოლიქლორირებული ბიფენილებისგან თავისუფალი ელექტრომომარაგება საქართველოში“ განხორციელდა ელექტრომომარაგების სექტორში არსებული 5000-მდე მოწყობილობის ინვენტარიზაცია პოლიქლორირებული ბიფენილების (პბ) შემცველობაზე, შემუშავდა მონაცემთა ბაზა. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცდა 2022 წლის 15 დეკემბრის N575 დადგენილება, რომლითაც განისაზღვრა პბ შემცველი მოწყობილობების და ზეთების მართვის წესები და ნორმები. პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციის - გაეროს ინდუსტრიული განვითარების ორგანიზაციის (UNIDO) მიერ დაწყებულია დაბინძურებული ზეთების დამუშავების მიზნით, შესაბამისი ტექნოლოგიების შერჩევა.

დეპარტამენტის მიერ 2024 წელს განხორციელდა ცნობიერების ამაღლების შემდეგი ღონისძიებები:

- შემოსავლების სამსახურის საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებისათვის ჩატარდა 2 ტრენინგი - ბაბელის, როტერდამის, სტოკჰოლმისა და მინამატას კონვენციების, ასევე მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების მოთხოვნების შესახებ;
- ე. ბათუმის, ე. ქუთაისის და ე. თბილისის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებისათვის ჩატარდა 3 საინფორმაციო შეხვედრა სამშენებლო და ნგრევის ნარჩენების მართვის საკითხების შესახებ;
- იმერეთისა და კახეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებისათვის ჩატარდა 2 ტრენინგი პლასტმასის ნარჩენების მართვის, ნარჩენების მართვის კოდექსისა და ნარჩენების მართვის ეროვნული სამოქმედო გეგმით მუნიციპალიტეტებისათვის დადგენილი ვალდებულებების შესახებ.

დეპარტამენტის მიერ განხილული იქნა:

- ნარჩენების მართვასთან დაკავშირებულ საქმიანობის რეგისტრაციაზე შემოსული 1065 განაცხადი; რეგისტრაცია გაიცა 325 კომპანიაზე.
- განხილული იქნა 923 ნარჩენების მართვის გეგმის პროექტი;
- 66 განაცხადი ნარჩენების ტრანსსასაზღვრო გადაზიდვებთან დაკავშირებით;
- გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარმოდგენილი 168 განაცხადი (სკრინინგი, სკოპინგი, გზშ);
- დეპარტამენტის მიერ ჯამში განხილული იქნა 3000- მდე კორესპონდენცია.

ბიომრავალფეროვნებისა და საბუნებრივი რესურსების დაცვის სტრატეგია

ტყის პოლიტიკის სამმართველო

- დამტკიცდა „საქართველოს ტყის კოდექსის“ 2025 წლამდე განსაზღვრული ყველა კანონქვემდებარე აქტი.
- შემუშავდა „ჭალის ტყეების აღდგენის“ ეროვნული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის პირველადი სამუშაო ვერსია.
- საქართველოს მთავრობას წარედგინა შუამდგომლობა 1600 ჰექტარი ჭალის ტყის ფართობისთვის ტყის სტატუსის მინიჭების შესახებ.
- ტყის ეროვნული აღრიცხვის ანგარიშის საფუძველზე:
 - შემუშავდა საქართველოს სატყეო სექტორის საგზაო რუკა 2024-2030
 - მომზადდა პოლიტიკური რეკომენდაციები ტყეების ეკოლოგიური გაუმჯობესებისა და სექტორის განვითარებისთვის
 - გაცემული რეკომენდაციების 20% ასახულია ტყის მართვის ორგანოების საქმიანობაში.
- კლიმატის მწვანე ფონდის პროექტის ფარგლებში:
 - მომზადდა დოკუმენტები ტყის მართვაში მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების გაძლიერებისთვის
 - შემუშავდა ტყის მართვაში საზოგადოების გაუმჯობესებული მონაწილეობის კონცეფცია
 - შემუშავდა სატყეო განათლების კონცეფცია და დაფინანსდა პროფესიული კოლეჯები
- საერთაშორისო თანამშრომლობის კუთხით:
 - აიტვირთა ტყის ეროვნული აღრიცხვის მონაცემები FRA-სა და Pan-European პლატფორმებზე
 - საქართველო გახდება ENFIN-ის ოფიციალური პარტნიორი
 - ხელი მოეწერა ევროპის ტყის მე-9 მინისტრიალის რეზოლუციასა და დეკლარაციას
 - სამინისტრომ მონაწილეობა მიიღო UNFF19-ის შეხვედრაში
- SIDA-ს პროექტის ფარგლებში მომზადდა:
 - რუსთავის ჭალის ტყეების განვითარების სტრატეგია და სამოქმედო გეგმა (250 ჰა)
 - ალაზნის ეკო-დერეფნისა და ჭალის ტყეების კონსერვაციის გენერალური და აღდგენის გეგმა (16,383 ჰა)
 - ალავერდის ჭალის ტყეების განვითარებისა და აღდგენის გეგმა (264 ჰა)

დაცული ტერიტორიების კოლიტიკის სამმართველო

- 2024 წლის მდგომარეობით, საქართველოს დაცული ტერიტორიების ქსელი მოიცავს 100 დაცულ ტერიტორიას საერთო ფართობით 927,729 ჰექტარი, რაც ქვეყნის საერთო ფართობის 13.3%-ს შეადგენს. გარდა ამისა, დამტკიცებულია ზურმუხტის ქსელის 66 ტერიტორია, საერთო ფართობით 1,306,748 ჰა, ქვეყნის ტერიტორიის 18.7%. ზურმუხტის ქსელის 48% ფარავს ეროვნულ დაცულ ტერიტორიებს. დღეისათვის, ეროვნული დაცული ტერიტორიებისა და ზურმუხტის ქსელის საერთო ფართობი აღემატება ქვეყნის ტერიტორიის 23%-ს.
- დამკიცდა საქართველოს კანონი „გურიის ეროვნული პარკის შექმნისა და მართვის შესახებ“, რომლის შესაბამისადაც დაარსდა გურიის ეროვნული პარკი (15 310 ჰა).
- საქართველოს პარლამენტს წარედგინა კანონპროექტი „თუშეთის, ბაწარა-ბაბანეურის, ლაგოდეხისა და ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების შექმნისა და მართვის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს თუშეთის დაცული ლანდშაფტის სოფელი ტბათანით გაფართოებას.
- მიმდინარეობდა სვანეთისა და სამგრელოს გეგმარებითი დაცული ტერიტორიების დაარსებისთვის და რაჭის ეროვნული პარკის გაფართოებისთვის საჭირო სამუშაოები; აგრეთვე მიმდინარეობდა რიონის გეგმარებითი აღკვეთილის დაარსებისთვის საჭირო სამუშაოები. შედეგად, მთავრობას წარედგინა რიონის გეგმარებითი აღკვეთილის კანონპროექტი „რიონის აღკვეთილის შექმნისა და მართვის შესახებ“.
- ღია, ინკლუზიური და თანამშრომლობით გარემოში სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების ფარგლებში, შემუშავდა დაცული და სხვა კონსერვაციული ტერიტორიების კონცეფციის სამუშაო ვერსია.
- აქტიურად მიმდინარეობდა დაცული ტერიტორიებისა და ზურმუხტის ქსელის მართვასთან დაკავშირებული სხვადასხვა გეგმისა და ანგარიშის მომზადების პროცესი. მათ შორის, შემუშავდა ზურმუხტის ქსელის 9 დამტკიცებული ტერიტორიის მართვის გეგმა. აგრეთვე, დამტკიცდა ხუთი დაცული ლანდშაფტის დროებითი რეგულირების წესი. შემუშავდა 4 დაცული ტერიტორიის მართვის ეფექტიანობის შეფასების ინსტრუმენტის (METT) ანგარიში.
- „სამი ალამნის ბიოსფერული რეზერვატის კოორდინირებული და ეფექტური მართვის შესაძლებლობების გაძლიერება“ პროექტის ფარგლებში, გაიცა მცირე გრანტები სოციო-ეკონომიკური პროექტების, მათ შორის, ინოვაციური და ტრადიციული სოფლის მეურნეობის პრაქტიკის მხარდაჭერის მიზნით.

ბიომრავალფეროვნების სამმართველო

- **მდგრადი თევზჭერის პოლიტიკის განსაზღვრა**

მეთევზეობის სფეროს, მათ შორის, თევზჭერის სექტორის მდგრადი მართვის უზრუნველყოფის და ამ კუთხით სამართლებრივი ბაზის ოპტიმიზაციის მიზნით, მომზადდა მდგრადი მეთევზეობის ეროვნული კონცეფციის დოკუმენტი. 2025 წელს დაგეგმილია კონცეფციის საჯარო განხილვის ჩატარება, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობით. იგეგმება მდგრადი მეთევზეობის ეროვნული კონცეფციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება.

- **ნადირობის სისტემის ჩამოყალიბება**

2024 წლის განმავლობაში, სსიპ ველური ბუნების ეროვნულ სააგენტოსთან თანამშრომლობით, აქტიურად მიმდინარეობდა „ნადირობის შესახებ“ კანონპროექტის საბოლოო ვერსიის მომზადებისა და დაინტერესებულ მხარეებთან განხილვის პროცესი. კანონპროექტის საბოლოო ვერსიის მომზადება 2025 წელსაა დაგეგმილი.

- **ინვაზიური სახეობების მართვის პოლიტიკის შემუშავება**

მომზადდა ინვაზიური სახეობების მართვის კონცეფციის საბოლოო დოკუმენტი. კონცეფციის მიზანია საქართველოში უცხო ინვაზიური სახეობების გონივრული მართვის სისტემის ჩამოყალიბების საფუძვლების შექმნა, რათა თავიდან იქნას აცილებული ამგვარი სახეობების უარყოფითი გავლენა ადგილობრივ სახეობებზე, ეკოსისტემებსა და ადამიანის კეთილდღეობაზე. დაგეგმილია კონცეფციის საჯარო განხილვის ჩატარება, დაინტერესებული საზოგადოების მონაწილეობით და მისი მინისტრის ბრძანებით დამტკიცდება 2025 წელს.

- **„წითელი ნუსხის“ განახლების პროცესის კოორდინაცია**

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების კომისიის მიერ მომზადებული ინფორმაციის საფუძველზე, შემუშავდა „საქართველოს წითელი ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 თებერვლის N190 დადგენილებაში ცვლილებების პროექტი, რომელიც გულისხმობს „წითელი ნუსხის“ განახლებას, შერჩეული სახეობების მიხედვით. ამჟამად დასრულების ეტაპზეა ზოგიერთი სპეციფიური საკითხის კორექტირების პროცესი, რისი მიზანშეწონილობაც გამოიკვეთა დაინტერესებულ მხარეებთან განხილვის შემდგომ. განახლებული წითელი ნუსხის დამტკიცება 2025 წელსაა დაგეგმილი.

- **სახეობათა აღდგენის გეგმა**

სახეობათა აღდგენის ეროვნული გეგმა დამტკიცდა „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ სახეობათა გადარჩენის პრაქტიკულ ღონისძიებათა წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 21 ოქტომბრის N2-804 ბრძანებით. დოკუმენტი განსაზღვრავს ეროვნულ დონეზე აღსადგენი სახეობების ნუსხას და ამ სახეობებისთვის საკონსერვაციო გეგმების შემუშავების წესებს, მეთოდებს, რეკომენდაციებსა და ვალდებულებას. ამჟამად აქტიურად მიმდინარეობს 6 პრიორიტეტული სახეობისთვის (ირემი, ნიამორი, ქურციკი, გარიელი, ქათმისნაირები, კალმახი) ინდივიდუალური აღდგენის გეგმების შემუშავების პროცესი, რომელიც გამომდინარეობს სახეობათა აღდგენის გეგმიდან. შერჩეული პრიორიტეტული სახეობებისთვის მომზადებული აღდგენის გეგმების დამტკიცება დაგეგმილია 2025 წელს.

- **გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტები**

2024 წელს, ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტმა, გარდა სხვა კორესპონდენციისა, განიხილა გარემოზე ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებული 300-ზე მეტი დოკუმენტაცია, რომელიც მოიცავს: სკრინინგისა და სკოპინგის ანგარიშებს, მონიტორინგისა და პირობების შესრულების ანგარიშებს, გარემოზე ზემოქმედების, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასებისა და ბურმუხტის ქსელზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშებს.

- **ბიომრავალფეროვნების საკითხების ტურიზმის სექტორებში ინტეგრაციის უზრუნველყოფა**

2024 წლის განმავლობაში შემუშავდა ბიომრავალფეროვნებაზე ტურიზმის უარყოფითი ზემოქმედების შემცირების სახელმძღვანელო, რომლის ერთ-ერთი მთავარი მიზანია ტურიზმის განვითარების გეგმებსა და პროექტებში ბიომრავალფეროვნების საკითხების ინტეგრირების გაუმჯობესებისა და ტურისტული ობიექტების ფუნქციონირების პროცესში ბიომრავალფეროვნებაზე ზემოქმედების შემცირების ხელშეწყობა.

- **კვლევები ფრინველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის**

2024 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში გაგრძელდა ფრინველთა სხვადასხვა ჯგუფისთვის კვლევები, მათი დაცვის ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელების მიზნით. ფრინველთა პოპულაციების მდგომარეობის შესახებ განახლებული ინფორმაცია ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე ანგარიშების განხორციელების, ასევე, სანადირო სახეობებისა და მათი მოპოვების მდგრადი ლიმიტების დადგენის შესაძლებლობასაც მოგვცემს.

- **„აგრობიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სოფლებში“**

ბიომრავალფეროვნებისა და სატყეო დეპარტამენტი 2024 წლის განმავლობაში აქტიურად იყო ჩართული პროექტში „აგრობიომრავალფეროვნების მდგრადი მართვა სამცხე-ჯავახეთის რეგიონის მოწყვლად ეკოსისტემებსა და სოფლებში“. პროექტის ფარგლებში ფერმერებს დასათესად გადაეცათ ქართული ენდემური „წითელი დოლის“ ჯიშის 30 ტონაზე მეტი ხორბალი, რომელიც 80 ჰა-ზე დაითესა. აგრეთვე, ახალციხისა და ასპინძის მუნიციპალიტეტებში ბენეფიციარებს გადაეცათ ადგილობრივი ჯიშის ვაზის 26 ათასზე მეტი ნერგი.

- **სახეობათა აღდგენის ღონისძიებები**

2024 წელს განხორციელდა მდინარეების დათევზიანება 650 ათასზე მეტი თვალის სტადიაზე მყოფი ქვირითით. პარალელურად, მიმდინარეობს ფრინველებისა და ძუძუმწოვრების პოპულაციების აღდგენის მიზნით ღონისძიებებიც. 2025 წლისთვის დაგეგმილია 3200 ხობის, 2200 კაკბისა და 700 გნოლის ბუნებაში გაშვება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქურციკის პოპულაციის აღდგენას, რომელმაც 2024 წლისთვის დაახლოებით 500 ინდივიდს მიაღწია.

- **ქმედებები თევზისა და სხვა ჰიდრობიონტების დაცვის მიზნით**

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტთან ერთად განხორციელდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები ელექტროშოკური აპარატების გამოყენებით უკანონო თევზჭერის აღმოფხვრისა და წყლის ბიომრავალფეროვნების დაცვის მიზნით, კერძოდ: 2024 წელს, „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილებების შედეგად ელექტროშოკური მოწყობილობები დაკვალიფიცირდა როგორც იარაღი და განისაზღვრა ტერმინი თევზმიმზიდი ელექტროშოკური მოწყობილობა, რომლის გამოყენება დასაშვებია მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი მიზნით თევზჭერისთვის, ხოლო თევზჭერის ელექტროიარაღი, რომელიც წარმოადგენს ყველა სხვა, ქარხნულად ან კუსტარულად დამზადებულ ხელსაწყოს, რომლის მუშაობის პრინციპია ელექტროდენით წყლის ცოცხალი ორგანიზმების მოზიდვა ან/და მათი სიცოცხლისუნარიანობის ან ფიზიკური აქტივობის დაქვეითება ან/და მათი დახოცვა, აიკრძალა. „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ცვლილება შევიდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში. ზემოაღნიშნული ცვლილებების ძირითადი მიზანია ბრაკონიერობის საწინააღმდეგო ღონისძიებების გაძლიერება.

ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სამმართველო

- **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სამმართველოს შექმნა**

შეიქმნა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სამმართველო, რომელის ძირითადი ამოცანებია ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის მეთოდოლოგიების შემუშავება-დანერგვა, შედეგების ანალიზი და რეკომენდაციების მომზადება, ასევე უწყებათშორისი კოორდინაციის გაძლიერება ეროვნულ დონეზე.

- **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემის საკოორდინაციო საბჭო**

შეიქმნა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ერთიანი სახელმწიფო სისტემის საკოორდინაციო საბჭო. საბჭო ხელს უწყობს ქვეყანაში მიმდინარე ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროცესების კოორდინაციას. 2024 წლის განმავლობაში ჩატარდა მონიტორინგის საბჭოს ორი შეხვედრა, სადაც გაიცა რეკომენდაციები წითელი ნუსხის განახლებასთან და სახეობათა ეროვნული გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით.

- **ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ელექტრონული პლატფორმა**

დაიწყო მუშაობა ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ელექტრონული პლატფორმის შემუშავებაზე. წლის განმავლობაში შემუშავდა ტექნიკური დავალება, რომლის საფუძველზე შემუშავდება ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ელექტრონული პლატფორმა.


- **ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემა (FIMS)**

დაიხვეწა და ფუნქციურად გაუმჯობესდა ტყის საინფორმაციო და მონიტორინგის სისტემის ტყის მართვის გეგმების შედგენის მოდული. ასევე, შემუშავდა სატყეო ოპერაციების მოდულის „ტყის დაცვის, მოვლისა და აღდგენის და ტყითსარგებლობის“ ქვემოდულის პირველადი სამუშაო ვერსია.

იურიდიული დეპარტამენტი

2024 წელს სამინისტროს მიერ მომზადებული და მისაღებად წარდგენილი არის:

- 8 საქართველოს კანონის პროექტი
- 72 საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი
- 135 საქართველოს მთავრობის განკარგულების პროექტი.



საქართველოს გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის სამინისტრო